

# კვირის პალიტრა

№ 50 (410) ◆ 16 – 22 დეკემბერი, 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ნიღ დიდი ნინდანების კვირაა




17 დეკემბერი

ნინდა ბაკბაჩის,

19 დეკემბერი

ნინდა ნიკოლოზის

ხსენების დღეა



## „კალისივიკი ვითოდავით აფხაზებზე წამოკედაა პატივგულა...“

– ბოდენის დოკუმენტი რუსეთის ფედერაციამ პრაქტიკულად დაბლოკა.  
– ძალით აფხაზებს ისევე ვერ გაგაკეთებინებთ ვერაფერს, როგორც რუსები ვერ აკეთებინებენ ჩვენებს.  
– პირადად მე უფრო სხვა ვერსიას ვიზიარებ, – მავანს ფულის შოვნა მოუნდა და ამიტომ ატყდა ხმაური, ბორჯომის საბადო ილუპებო. გარკვეულ რისკს ნებისმიერი პროექტი შეიცავს... **გვ.3 რევაზ ადამია**

## ვხდით, რესპუბლიკაში გერაქში არ მოხდა...

„სამართალდამცავებმა ისიც არ იციან, რომ ჟურნალისტს ვიდუკამერა არ უნდა დაუმტვირონ...“

ინფორმაცია, რომ თბილისის ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას (ვერ დაგაკონკრეტებ) მზადდებოდა ტერორისტული აქტი, მართლაც იყო...

ვერ გეტყვით, რომელი შეიარაღებული ჯგუფი აპირებდა ამის გაკეთებას. ეს შეიძლება ყოფილიყო საქართველოში დესტაბილიზაციის ნებისმიერი მოსურნე. ამიტომ ყველაფრის ჩვენებზე გადაბრალება არ შეიძლება. **გვ.11**



დედაქალაქში მომრავლდა ე. წ. „პრიუტები“, ანუ ღამის გასათევები. სწორედ იქ იკრიბებიან საეჭვო პირები და სამომავლო დანაშაულებს გეგმავენ.

## ინგოვიკი სან ახალ ვიხე-პრევიკითან



– რომელი შენობის დანგრევასაც მოითხოვს საზოგადოებრივი აზრი, დავანგრევთ. დამნაშავეები პასუხს აგებენ კომპენსაციის გადახდით თუ სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიხედვით. როცა პარიზის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ბასტილია დანგრეულიყო, დაანგრეს. **გვ.7**

რაზეც თბილისელები მიგვიითებენ, ბასტილიასავით დავანგრევთ.

## ჯეკ-პოპი! ამ ნოვრის რეიტინგი 200-ლარიანი საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგი **გვ.35**

## უხსოვანებელთა „პურიანი თაფლი“ თუ რუსული დახვეწის პურიანი საპირი „ოინები“?!

თვითმხილველთა ნაამბობი

მოულოდნელად, მარჯვენა მხრიდან, ზებ-გერთი სიჩქარით დაგვეწია ორი „ამოუცნობი მფრინავი ობიექტი“, გავესწრეს, ჩვენს ცხვირწინ მკვეთრად შემოტრიალდნენ, ისე გვერდით ჩაგვიქროლეს და გაქრნენ...

## სამხედრო თემაზე

**გვ.8**



**„კვირის პალიტრა“**  
**ქალის მოსახლეობის კარგადი 2003**  
**სარეკლამო!**  
 მას, ვინც ...

გოდერძი ჩოხელი: **გვ.17**  
*ჩიხუო ხელ ქოთა ვეაღუ, ნაჩი ვეძოხვიო დუღანა, ქერი ვეჩქვებ ვეჯეაქორ სოკვილოზ ვეჩიჭვეხანა.*

**ქვები ლავიკანკანს... ისინი ვეღარ ილაღებენ... **გვ.14****

## 13 წლის გოგონა 10 წლის ბიჭი მოკლა



„ვეზიზღებოდით და ივიტოვ“ **გვ.5**

გაოგნებული ღვირი, გამთოხნაპს კი უღარ ვეჯელიათ...

„სამი დღე და ღამე ეშმაკი მესიმბრებოდა და მეუბნებოდა – ვინმე მოკალი, ვინმე მოკალი... მას მაინც მოკლე დღე ჰქონდა და ჩუმად, მოგყუებით ღამე გარეთ გამოვიყვანე და...“

## დედობრევი კახასტროვან ნინასწავიფეველაინ...

რეკეტი მრავალშვილიან დედებსაც ჰყოლიათ **გვ.6,24**

...საქართველოში უახლოეს მომავალში, ხალხი გაცილებით უკეთეს პირობებში იცხოვრებს, მაგრამ ყოველივე ეს ფუჭი იქნება... გარდაუვალია ქართველი ერის კატასტროფულად შემცირება, რისი შეჩერება შეიძლება ვერც მოხერხდეს...



## „თხნაჩი სამშობლოს ჩა ვუთხანი, ამას ჩომ მოვთხოვს...“ **გვ.10**

...ძალე ამ ამბებს ცხრა აპრილის ტრაგედია მოჰყვა, მერე აფხაზეთის ომი და სამეგრელოში კრიმინალთა თარეში. უყურა მოხუცმა, უყურა და საშველი რომ არ დაადგა ქვეყნის დაღაგებას, ადგა და ისევე წავიდა ყინულებში, ამჯერად უკვე თავისი ნებით, რადგან სამშობლო მას სულ სხვა სახით წარმოედგინა. ახლა ამ სამშობლოს ის მისჯილი სამშობლო ამჯობინა.

# დიდი ნინდანათა პაღლი გვფარავღეს!




11 სექტემბრის ტრაგედია სტერეოტიპების მსხვერვისა და საერთაშორისო პროცესების ახლებურად გადარჩების ბიძგი გახდა. ტერორიზმის საფრთხემ მსოფლიო უფრო ნაკლებად რეალისტული და ერთიანი გახდა. ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე ზოგიერთმა ქვეყანამ განსაკუთრებული როლი და ფუნქცია შეიძინა. „პოლიტიკური მიზანშეწონილობის ფაქტორმა“ სამხრეთისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების სტრატეგიული მნიშვნელობა ერთი-ორად გაზარდა, ტერორიზმთან ბრძოლის პარალელურად ნატოს საზღვრების გაფართოება სამხრეთის რეგიონის ქვეყნებს ევროატლანტიკური ალიანსში განწევრების მეტ შანსს აძლევს. ამ კონტექსტში განიხილავთ საქართველოს საკითხსაც. დღეს არცთუ შორეულ პერსპექტივად მოჩანს ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრების შესაძლებლობა, თუმცა ამ ფონზე არც მრავალი ხელის შემშლელი ფაქტორის არსებობის (თუ სამომავლოდ წარმოშობის) გაუთვალისწინებლობა ივარგებს. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ ატეხილი ხმაური, მოუგვარებელი ტერიტორიული პრობლემები, კონფლიქტის კერები — არცთუ სახარბილო დივიდენდა ნატოში შესვლის წინ. ჩვენს უამრავ პრობლემას სათავეს თუ კარგად დაუძებნით, აღმოჩნდება, რომ ჩვენს ბედოვლათობას ჩრდილოელმა მეზობელმა კარგად ნააშველა ხელი. აქამდე რუსეთი არ მორიდებია საერთაშორისო არენაზე ანტიკორუფციული პოზიციებით „თავის მოწონებას“ და არც ის იქნება განვიადებული, თუ ვიტყვით, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი უამრავი საკითხის მოუგვარებლობა რუსი დიპლომატების აქტიურობა. თუმცა ყოველივე ამის ფონზე მოულოდნელი იყო გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტისგან მადლიერების სიტყვები და კიდევ უფრო უცნაურად გამოჩნდა თავდაცვის მინისტრის, ივანოვის სახეცვლილება, რომელმაც ქართველ კოლეგებზე საქმარის სიტყვები არ დაიშურა. რუსებისთვის ყარაჩაელი დამნაშავეების გადაცემის შემდეგ პრეზიდენტმა შეგანდნაძემაც გაგვაოცა, როცა მშვიდად გვამცნო, — რამდენიმე დღის წინ ქვეყნის პირველ პირზე ტერაქტის განხორციელების საშიშროება არსებობდა. ასეთი მოვლენების ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ეთიკურად გამოიყურება პარტიათა შუღლი და ქართველი პოლიტიკოსების დაუცხრომელი თემა — ერთმანეთის განქიქების მცდელობები. თუმცა ერთ ჩვენს რესპონდენტს, გაეროში საქართველოს ელჩს **რამაზ აბაშიას** დაუვჯერებ, ქართულ პოლიტიკაში უჩვეულო არაფერი ხდება. შინადაპირისპირებები დემოკრატიული განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნების სენი ყოფილა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს ელჩს უპირველესად სამშობლოში ჩამოსვლის მიზეზი ვკითხეთ:

მენტის ძირითადი პუნქტი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს. ამიტომაც, ბუნებრივია, აფხაზეთი მისი წინააღმდეგნი არიან. მათ ჩაატარეს ე.წ. რეფერენდუმი, აირჩიეს პრეზიდენტი და აცხადებენ, — დამოუკიდებელი ქვეყანა ვართო. ცვდილობთ საერთაშორისო საზოგადოება ჩვენს პოზიციასზე დავაყენოთ და, შესაბამისად, აფხაზეთზე გავიგონ, რას ფიქრობენ ამ კონფლიქტის მოგვარების გზებზე გაერო და მთელი მსოფლიო. თუ ამის მერეც არ წამოვლენ აფხაზეთი მოლაპარაკებებზე და არ მიიღებენ ამ დოკუმენტს, გაერო სხვა მეთოდების გამოყენებაზე დაიწყებს ფიქრს. შესაძლოა გაეროს დებულების მე-7 თავიც ამოქმედდეს, რომელიც ძალისმიერი გზით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს.

— რამდენად ცნობილია, ლაპარაკობენ სანქციებზეც. შესაძლოა სანქციები გამოიყენონ არძინას რეჟიმის მიმართ, რომელიც

## „კალისიოკი ვითოდავით აფხაზეთზე ზემოქმედება უპატივებელი“



### შესაძლოა გაეროს დებულების მე-7 თავიც ამოქმედდეს, რომელიც ძალისმიერი გზით მშვიდობის დამყარებას ითვალისწინებს

ამასთან, არა ძალით, არამედ პოლიტიკური მოლაპარაკებებით. აფხაზეთმა საქართველოში უნდა იცხოვროს და საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ, ძალისმიერი მეთოდებით მათზე ზემოქმედება უმართებულოა. ძალით მათ ისევე ვერ გააკეთებინებ ვერაფერს, როგორც რუსები ვერ აკეთებინებენ ჩვენებს.

### იც იგნორირებას უკეთებს საერთაშორისო საზოგადოების აზრს.

— კონკრეტულ სანქციებზე ჯერჯერობით არ არის ლაპარაკი. უშიშროების საბჭოს შევთავაზებ დსთ-ის მიერ 1996 წლის 19 იანვარს მიღებული დოკუმენტის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთისთვის ფრენის, საზღვაო მიმოსვლის, რომელიმე სახეობის იარაღის მიწოდებისა და ეკონომიკური კავშირების შეზღუდვას. დღეს აფხაზეთს ყველაფერი ფოთის საბაჟოს გავლით უნდა მიეწოდებოდეს. პრეზიდენტის

ბრძანებით ჰაერი მათთვის გადაკეტილია, ასევე არ უნდა მუშაობდეს მათი რკინიგზის ხაზი, მაგრამ — ეს ბრძანება არ სრულდება. გაერო ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მის ყველა განცხადებას და რეზოლუციაში განხატულია, რომ საქართველოს იურიდიულად ის საზღვრები უნდა ჰქონდეს, რომელთაც ის 1991 წელს გამოეყო საბჭოთა კავშირს. ოფიციალურად საქართველოს საზღვრებს აღიარებს რუსეთიც, მაგრამ დღეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები ისეთი არ არის, როგორც 11 წლის წინ იყო. ჩვენი მისიისა და გაეროს მცდელობა იქით არის მიმართული, რომ ქვეყნის ფაქტობრივი მდგომარეობა იურიდიულად შეესაბამებოდეს. ამ საკითხზე საქართველოს მეგობარ ქვეყნებს: აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და გერმანიას ერთნაირი პოზიცია აქვთ, განსხვავებული შეხედულებას მხოლოდ რუსეთი აფიქსირებს.

— პირადად თქვენ მიმართ რუსები არცთუ კეთილგანწყობილი არიან — რუსთა და მკაცრად ელჩის სახელი და გიგანდეს. რით დაიმსახურეთ მათი გულისწილობა? — ეს იმიტომ მოხდა, რომ შევეცადე უშიშროების საბჭოსა და გაეროსთვის სიმართლე დამენახებინა — თუ რატომ არიან აფხაზეთი არაკონსტრუქციული, რომ მათ ზურგი მოსკოვში აქვთ. რატომ არის აფხაზეთის 80% რუსეთის მოქალაქე და იმაზეც მივუთითე, რომ ამით რუსეთმა საფრანგეთსა და გერმანიას საქართველოს შემთხვევაში აფხაზეთში თავისი მოქალაქეების დაცვა მოითხოვოს; ანუ შევეცადე გაეროსთვის მივუჩვენებინა, რუსების დეკლარირებული პრინციპები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე მხოლოდ სიტყვიერია და როცა მისი განხორციელების საკითხი დგება, რუსეთის პოზიცია რადიკალურად იცვლება-მეთქი. ჩანს რუსების ორმაგი სტანდარტიც — ჩვენები ტერორისტები არიან, აფხაზეთი კი — მოსაფრთხილები. ჩემს რუს კოლეგებს არ მოსწონთ საერთაშორისო არენაზე ასეთი გულახდილი ლაპარაკი. ამიტომაც არ მოუფიქვარ თვალში, თუმცა ჩემი მიზანი არ არის რუსებს თავი მოვანონო.

— პარლამენტში თქვენი ანგარიშის მოსმენისას აფხაზეთის დეპუტატები ერთმნიშვნელოვნად განაცხადებდნენ, რომ მოლაპარაკებების გზამ არ გაამართლა, ისინი უკვე ძალისმიერ მეთოდებს ემხრობიან.

— თუ ვინმეს ძალის გამოყენება უნდა, და შეუძლია, გამოიყენოს...

— კოსოვოს პრობლემა ნატოში ხომ სწორედ ძალისმიერი მეთოდით გადაჭრა.

— მაშინ სხვა პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი იდგა. თუ ჩვენს შემთხვევაშიც განხილავთ ასეთი მიზანშეწონილობა, შესაძლოა ნატოში ან რომელიმე სხვა ორგანიზაციაში სამხედრო ძალითაც გადაწყვიტოს პრობლემის მოგვარება.

— 11 სექტემბრის შემდეგ ტერორიზმის მიმართ მსოფლიო რადიკალურად შეურთებელი გახდა, მაგრამ ხომ არ ხედავთ საშიშროებას, რომ საქართველოში ამ ანტიტერორისტული კამპანიის ფონზე სერიოზულ კონფლიქტში აღმოჩნდეს ჩართული. არ გამოირჩევა ჩვენთვის ფაქტორი.

— პროვოცირების ალბათობა ნამდვილად არსებობდა სექტემბერ-ოქტომბერში, მაგრამ იმ ნაბიჯების შემდეგ, რაც საქართველომ გადადგა, პუტინის მადლობა ლოკაერო და გამართლებული იყო. თუმცა რამდენად გულწრფელად ყურადღება მისი სიტყვები და შეფასებები, ეს სხვა თემაა, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაში არის დადებითი მხარეც — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზებისათვის.

— როდესაც ჩვენმა პრეზიდენტმა ჩვენების ხელით განხორციელებული ტერაქტების საშიშროებაზე განაცხადა, ე.ი. ჰქონდა ამის საფუძველი.

რემოლუციაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს იურიდიულად ის საზღვრები უნდა ჰქონდეს, რომლითაც ის 1991 წელს გამოეყო საბჭოთა კავშირს. ოფიციალურად საქართველოს საზღვრებს აღიარებს რუსეთიც, მაგრამ დღეს ჩვენი ქვეყნის საზღვრები ისეთი არ არის, როგორც 11 წლის წინ იყო. ჩვენი მისიისა და გაეროს მცდელობა იქით არის მიმართული, რომ ქვეყნის ფაქტობრივი მდგომარეობა იურიდიულად შეესაბამებოდეს...

— რამდენიმე კვირის წინ ლაგოდეხში ჩატარებული სპეცოპერაცია რუსეთ-აშშ-საქართველოს თანამშრომლობის კონტექსტში განიხილება. თუმცა რუსეთისთვის ჩვენების გადაცემის მომენტი საზოგადოების ნაწილმა სტუმარმასპინძლობის ადათის დარღვევად აღიქვა.

— ყველა დამნაშავე, ჩვენში იქნება თუ ყარაჩაელი, იმ ქვეყანას უნდა გადაეცეს, სადაც დანაშაული ჩაიდინა. პარტნიორობის თემა მეტად მნიშვნელოვანია. შემთხვევითი არ არის, რომ ბუშმა და პუტინმა ამ თემაზე არაერთხელ ისაუბრეს. ორივე პრეზიდენტს კი შევარდნაძესთან ჰქონდა საუბარი.

— პანკისის ხეობის სპეცოპერაცია და მისი დამნაშავეთაგან განმედა იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ანტიტერორისტულ კოალიცია-

ში და ეს თანამშრომლობა ნამდვილად საქმიანია და არა ფუჭ სიტყვებზე აგებული.

— ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის გამო ერთმანეთს სერიოზული ძალები დაუპირისპირდნენ. არ გამოირჩევენ ხელის შემშლელ ქმედებებს რუსეთის მხრიდან და კონფლიქტის ინსპირირებას სწორედ მას მიანერვენ.

— არ გამოვიცხავ, რუსეთმა ამ ნავთობსადენის მშენებლობის წინააღმდეგ დესტრუქციულ ქმედებას მიმართოს. მათ საჯაროდ განაცხადეს, რომ არ ემხრობიან ამ ნავთობსადენის აშუშვებას. თუმცა პირადად მე უფრო სხვა ვერსიას ვიზიარებ — მავანს ფულის შოვნა მოუნდა და ამიტომ ატყდა ხმაური, — ბორჯომის საბადო ილუპებოა. გარკვეულ რისკს ნებისმიერი პროექტი შეიცავს, მაგრამ რისკი მიზანშეწონილი უნდა იყოს ყველა თვალსაზრისით. ადამიანის ნებისმიერი მოქმედება ახდენს გარემოზე ზეგავლენას და ამის გამო გულხელი უნდა დავიკრიფოთ?! როგორც მოგახსენეთ, ბორჯომის გამო ატეხილი ხმაური ნაკლებად ითვალისწინება ეკოლოგიურ საფრთხეზე განგაშს.

— კარგა ხანია, რაც ნატოში საქართველოს განწევრების საკითხზე მუშაობთ. რამდენად რეალურია ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნის მოკლე დროში მიღება ამ ორგანიზაციაში.

— ალბათ, ნატოს ნებისმიერი ბიუროკრატი იტყვის, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარეშე ეს შეუძლებელია, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს მილად ასე არ არის. როგორც მოგახსენეთ, მთავარია პოლიტიკური მიზანშეწონილობა. ფორმალური ფაქტორები — კონფლიქტების არარსებობა, ეკონომიკური სტაბილურობა, ქვეყანაში განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები რომ გვექნება, ისეა გვინდა ნატოში. ერთი წლის წინ ვინ რეაგირებდა, რომ ბულგარეთი და რუმინეთი ნატოში გაწევრების პირველ ეშელონში მოხვდებოდნენ, მაგრამ 11-მა სექტემბერმა გეოგრაფიული ვექტორი სამხრეთისკენ, შავი ზღვისკენ გადამონაცვლა, რის გამოც დღის წესრიგში საქართველოს საკითხიც დადგა. ტერორიზმთან ბრძოლა, ნავთობი, ეკონომიკური სტრუქტურების გაფართოება უდავოდ ზრდის საქართველოს როლს და ფუნქციას.

— ნოსტრადამუსი არ ვარ, ნატოში საქართველოს შესვლის დრო განვსაზღვრო. არსებობს გარკვეული პირობები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ნატოში შესვლისთვის, რაც მალე დაგეგმილია ამ მოთხოვნას, უკეთესია.

— აქამდე ნატოსთან თანამშრომლობა ხორციელდებოდა პროგრამით „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამა როდის ამოქმედდება?

— მუშაობა უკვე დაწყებულია. უშიშროების საბჭოს შედგენილი აქვს შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უახლოეს თვეებში გამოქვეყნდება და ქვეყანა იმოქმედებს შეთანხმებული, გააზრებული გეგმის მიხედვით იმისათვის, რომ დასისმალირად შემჭიდროებული ვადებში მოხდეს ნატოში გაწევრება.

— ადრე თუ გვიან საქართველო ნორმალირებული ევროპული ქვეყანა იქნება, ევროპული ფასეულობებითა და სტრუქტურებით. ეს არ არის იოლი და ხანმოკლე გზა, რომელიც შესაძლოა ერთ-ორ წელიწადში გაიარო. ევროპულმა სახელმწიფოებმა ამ გზის გავლას ასეული წლები მოანდომეს. თუმცა ამდენი დრო ჩვენ არ დაგვჭირდება. უზარმაზარი ინფორმაციული რევოლუციის პირობებში მსოფლიო უფრო პაჭარა გახდა, ვიდრე 10 წლის წინ იყო. ის, რაზეც ვლაპარაკობ, გარდაუვალია, განვითარების სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს. უფრო ზომიერი გახდება ჩვენი ჩრდილოელი მეზობელიც. რაც უნდა შევინააღმდეგოს, რუსეთი მაინც ევროპის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება, რადგან ის თავისი სტრუქტურით, ეკონომიკური კონსტრუქციით ევროპის ნაწილია. ამ ქვეყნის მესვეურთ არასწორი პოლიტიკური შეხედულებები აქვთ, თავი ისე უხსახელმწიფოდ წარმოუდგენიათ, რომელსაც დამოუკიდებლად არსებობა შეუძლია, რაც არასწორია.

— გაეროში საქართველოს მიზან კატეგორიულად მკვეთრი პოზიცია დიკავა ანრი

ჯერგენიას ნიუ-იორკში ჩასვლის თაობაზე რაიმე ალტერნატიული საშუალება ხომ არ მოიძებნა იმისათვის, რომ უშიშროების საბჭო აფხაზეთის პრობლემას უფრო საფუძვლიანად გაეცნობოდა.

— ანრი ჯერგენიას ნიუ-იორკში უშიშროების საბჭოში ჩაყვანა აფხაზეთის ხელისუფლების ლეგიტიმაციას უფრიდა. უშიშროების საბჭოში ის გამოვიდოდა, როგორც ლეგიტიმური მხარე, ამის წინააღმდეგ გამოვიდით. ლობიერებას ვუკეთებთ იდეას, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს წარმომადგენლები საქართველოში ჩამოვიდნენ. რამდენად გამოგვივა ამ ჩანაფიქრის განხორციელება, მომავალი გვიჩვენებს.

დაიჩი გრძელიშვილი იზო რიკაძე

# ვერ გავკლავ თბილისის გარეუბანს

როცა მთელი საქართველო თითქოს თავის თავს გაუბრუნდა...



გიორგი

ირაკლი

ალბათ ყველას გინახავთ თბილისის აეროპორტში თვალმწივრების გარეუბანს. მათ უცხოეთი ელოდებოდა: ზოგი ვეროპოპში აპირებდა სწავლას, ზოგიც — ამერიკაში. ელოდებოდნენ თვითმფრინავში ჩასხდომას. ზოგს თვალმწივრების სიხარულის სხივი უკიფებდა, ზოგს ცოტა სევდა შეჰპარვია.

ერთი-ორჯერ აეროპორტში მოხვედრილი შიშმა შემიპყრო. უცებ წარმოვიდგინე, რომ მთელი თბილისი მიდიოდა, სახის ყოველი ნაკვითი, გამოხედვით, ფიქრით პატარა საქართველოს ნაწილი მიდიოდა ჩვენთან... ისინი კი, წამსვლელნი, იმდენი იყვნენ, ისეთი ლამაზები, ახოვანი ბიჭები და ალვისტანა გოგონები... ვინ იცის, ვის რა ელოდა, ვინ როგორ შეინახავდა იმ პატარა თბილისსა თუ საქართველოს, აქედან ბებიებმა და ბაბუებმა, აქედან და მამებმა აკანკალებული ხელებით რომ გაატანეს, ვინ იცის, იმ ქარბორბალამ გაფანტოს კიდევ ყველაფერი, ასიმილაციას რომ ვუძახით.

ეს ფიქრი უცხო არც თქვენთვის იქნება და უკეთ გაიგებთ კიდევ, რატომ გიამბობთ ამების — **ირაკლი და გიორგი სოფელის** შესახებ. ისინი ამერიკის შვედეთში უფრო შტატების ერთ-ერთ პრესტიჟულ, ბერეას კოლეჯში სწავლობდნენ. დღეს ირაკლი კენტუის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის დიპლომატიისა და საგარეო ვაჭრობის პატერსონის უმაღლეს სკოლაში სწავლობს. მისი ინტერესების სფერო საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარების დიპლომატია გახლავთ. დეკემბერში მაგისტრატურას ამთავრებს. რამდენიმე გამოცდა ჩააბარა კიდევ. რაც ყველაზე საინტერესოა, უკვე შესთავაზეს სამსახური კენტუის შტატის სამთავრობო საბჭოში საერთაშორისო ურთიერთობების მრჩეველად, ანალიტიკოსის თანამდებობაზე.

გიორგი სოფელი ბერეას კოლეჯის მესამე კურსის სტუდენტია. ფილოსოფიას, საერთაშორისო სამართალს და სოციოლოგიას განსაკუთრებული ინტერესით სწავ-

ლობს. სამშობლოში ძმები სწორად გზავნიან წერილებს, ფოტოებს და ახლა იმ პირველნათქვამის გაგრძელებად, აეროპორტიდან უცხოეთში გამგზავრებულ ბავშვებზე რომ გიყვებოდით, მინდა ძმების წერილების ორიოდ ფრაგმენტი შემოგთავაზოთ (ფრაგმენტები ოჯახის წევრებმა მოგვანოდეს):

„ბევრს ვფიქრობ ჩემს მომავალზე. ყოველი დღე გზის გასაყარს მახლობლებს, გული მიგრძობს, რომ არჩევანი განსაკუთრებული იქნება. ჩემი შემდგომი ცხოვრება განპირობებული იქნება იმით, თუ რა გზას დავადგები მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ. მე თავად, დამოუკიდებლად უნდა მივიღო გადაწყვეტილება“ (ირაკლი).

„რა დროც არ უნდა მოვანდომო სწავლას, ბოლოს ჩემს საქართველოს უნდა დავებრუნდე. ვერ გავძლებ ბავშვობის მეგობრების, ახლობლების, მშობლებისა და მისაბაძი კაცთმოყვარეობით, ტრადიციებით, სტუმართმოყვარეობით, სულიერებით გამოჩენილი, უძველესი კულტურის თვალწარმტაცი ბუნებით დამოუკიდებელი საქართველოს მთა-ბარის, თბილისის გარეშე“ (გიორგი).

ვიცი, ზოგიერთმა შეიძლება სკეპტიკურად გაიღიოს კიდევ, ვერ დაიჯეროს, რომ ისინი დაბრუნდებიან. მაშინ, როცა მთელი საქართველო თითქოს თავის თავს გაუბრუნდა, საელჩოებთან რიგები დგას... ისინი, ვისაც ამერიკაში ცხოვრების, მუშაობის, კარიერის შექმნის დიდი შანსი აქვთ — დაბრუნდებიან...

ალბათ ზედმეტად რომანტიკული არ ვიქნები, თუ გეტყვით: დაბრუნდებიან! მათ საქართველოს პატარა ნაწილი წაიღეს აქედან სულით და ის დააბრუნებენ.

ლელა ჯიყაშვილი

# აი, ხელოვნება, როგორც შეიქმნა თქვა, ეს ჩემია, ეს ქართულია...

ხმლები... დანები... ცულები... ზოგ მათგანს უძველესი ისტორია აქვს... შიოლა ლუდუშაურს ამ ხმლით გაუბია თავი ლეკების ბელადის, კობეტას ვაჟისთვის, — მიამბობს ერთ-ერთი მასწავლებელი. შიოლა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უწესტარესის ილია II-ის წინაპარია. მათი საგვარეულო, სირცხვილუქმელი ხმალი — ვაჟკაცობისა და სიმტკიცის სიმბოლო, ახლა სიონის საკათედრო ტაძრის წინ, სამჭედლოში ჰკიდია და რამდენჯერაც იქ მისული თვალს შევაკლებ, იმდენჯერ სიამაყის საოცარი გრძობა მეუფლება — შიოლა ლუდუშაური და მისთანანი ჩემი წინაპრებიც იყვნენ. თქვენი წინაპრებიც იყვნენ, მკითხველო, იმ ვაჟკაცების წინაპრებიც იყვნენ, ახლა სამჭედლოში რომ რკინას არ აცივებენ და ისევ ხმალი ჰქვიავენ, ქართულ ხმალი. ჩვენ, ყველას, დიდი ვალი გვმართებს დიდი წინაპრებისა. თუმცა, ახლა სულ სხვა რამე მინდა გიამბოთ — სწორედ იმ სამჭედლოში, სადაც, ჩემსავით ბევრს შეუნიშნავს, რომ საოცარი სიკეთე ტრიალებს და იქიდან წამოსულს სულ მგონია, მთებსაც კი შეეძრავ. სამჭედლოში ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევარები მუშაობენ. ერთხელ შევესწარი, მუშაობდნენ და თან ხალხურ სიმღერებს მღეროდნენ. თავი უცებ სადაც სხვაგან, სხვა დროში მეგონა და არა ამ დაბეჩავებულ, მიძვებულ და სამაჯურებთან ბიჭებშიმორავლებულ საქართველოში...

გთავაზობთ ინტერვიუს ქართული საბრძოლო ხელოვნების კვლევითი ცენტრის „ჯაგირაგის“ ხელმძღვანელთან **ქაზაბერი ზარნაძის**თან:

— როდის შეიქმნა ეს უცნაური სამჭედლო?

— 1998 წელს უწმინდესსა და უწესტარესს გავაცანით ჩვენ მიერ ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორიის შესახებ მოძიებული მასალები. პატრიარქი ძალიან დაინტერესდა და შემოგვთავაზა, იქნებ პრაქტიკულად შეეცადოთ ქართული ცივი იარაღის წარმოების ტექნოლოგიების აღდგენას. ვუპასუხე, — ეს აუცილებელია, რადგან ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთს ვერ შეასრულებ, თუ საუკეთესო იარაღი არ გექნება მეთქი. უწმინდესმა დაგვლოცა, სამჭედლოსთვის ადგილიც გამოგვიყო. მას მერე ვმუშაობთ აქ.

— როგორ მოხერხდა ქართული სამჭედლო ხელოვნების შესახებ ცნობების მოპოვება?

— 1985 წლიდან ექსპედიციებს ვანაცობდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. შემორჩენილ უხუცეს მჭედლებს ანდერძით დასატოვებელი ცოდნის გადმოცემას ვთხოვდით. ქართული ხელოვნების ისტორიაში მკაფიოდ წერია, რომ მჭედლობას უძველესი ისტორია აქვს საქართველოში. მომისმინეთ: „მჭედელი დიდ ხუთშაბათს კვერს დაკრავდა გრდემლს, რათა გამთელდებინა ამირანის ჯაჭვი და კლდეზე მიჯაჭვულ გმირს არ შესძლებოდა გათავისუფლება ბორკილებისაგან...“ აი, საიდან მოდის მჭედ-

ლობის ისტორია საქართველოში. ჩვენი წინაპრები ლითონდამუშავების პიონერები იყვნენ.

— თქვენთან უძველესი საბრძოლო-სამჭედლო ხელოვნების ნიმუშები ვნახე. ნიმუშად იყენებთ?

— რომ გაიზარდო, ფესვი უნდა გქონდეს, ეს ფესვი წარსულია. თვითმყოფადობა რომ არ დაკარგო, მას უნდა მოარგო თანამედროვე ცნობიერება. ლითონის დამუშავების ხელოვნება კი არის ერთ-ერთი იმ განძთაგანი, რომელზეც შეიძლება თქვა, ეს ჩემია, ქართულია. როცა ეს საქმე წამოვიწყეთ, საჭირო გახდა იმ გარემო პირობების შექმნა, სადაც დაინტერესებული ახალგაზრდები ამ საქმის ანაბანას შეისწავლიდნენ, თავის თავს გამოავლენდნენ.

— შექმნილი ამის გაკეთება?

— დიას. უპირველესად, ბაზარი უნდა დაგვეყრო, რაც არ გაგვიჩვენებია, რადგან კონკურენტი არ გვყავდა — არავის ჰქონდა საამისო ცოდნა. რაც მთავარია, ამ ბიჭებში გაიღვივდა გენტიკურმა თვისებამ, რაც საჭირო იყო წინაპართა ტრადიციების გასაგრძელებლად.



— თქვენ 23 ნოემბერს მჭედლობა გილდია უნდა შეეყვანათ, რამ შეგიძლიათ ხელი?

— გილდია შეიქმნება, მაგრამ ჩვენ გვერქმევა „რკინის კაცთა საძმო“. ეს ტერმინი რაჭაში, სოფელ სარკინეთში მოვიპოვეთ. საქართველოს ტერიტორიაზე რკინის ორი მთავარი საბადო იყო — რაჭასა და ლაზეთში. ლაზეთის სარკინეთში იქაური მადნის მინარეგების წყალობით, ფოლადი ლურჯი გამოდიოდა, მერე ეს ფოლადი თურქებმა მიითვისეს ლაზეთთან ერთად. თავის დროზე მიზანმიმართულ პოლიტიკას ეწეოდა რუსეთიც. მათი წყალობით სომხების ხელში ჩაგვარდა ქართული ოქროსა და იარაღის წარმოების შესახებ არსებული ცოდნა, მათ შორის ლურჯი ფოლადისაც. არადა მის მისაღებად საჭირო მინარეგები მხოლოდ საქართველოშია. ვინ რა ნაგავრთვა, ახლა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. მთავარია გვახსოვდეს პრინციპი: თუ საქმეში მემკვიდრე არა გვყავს, მხოლოდ წარსულით თავის მონონება არ გვარგებს.

— მგონი, უკვე გვყავს მემკვი-

დრები. — არიან დღეს მჭედლები, მაგრამ მათი უმრავლესობა უფრო ნალბანდია. სამჭედლო ხელოვნების განადგურება ჯერ კიდევ რუსებმა დაიწყეს. ვინც იარაღს ჰქვია, ის მეომარიც არის, მეომარი ქართველი კი რუსს არ სჭირდებოდა. თანდათან დაიკარგა რკინასთან ფუსფუსის, სამ-



ჭედლო ხელოვნების კულტურა, დიდი ტრადიციების მქონე მჭედლების შეიღებო ქარხანაში მარეგის და უზარმაზარ გრდემლიმდღავერების ჩვეული დანის პირი ველარ გამოკვერეს.

— და რა შეიძლება ითქვას, ბოლოს და ბოლოს, მჭედლები გვყავს თუ არა დღეს?

— გვყავს, მაგრამ 83 წლის მოხუცს ალარ შეუძლია უროს ქნევა, მისი შთამომავალი კიდევ არ ესმარება. სვანებიც ჰქვიავენ, მაგრამ ველარ ჩამოაქვთ ცინდელიანებს თავიანთი ნამუშევარი ბარში. აქეთ, კახეთში, 78 წლის პაპაც ველარ ერევა რკინას. შემცველიც არ ჰყავს... როგორც კი ეს საქმიანობა იმძლავრებს და დაინახავენ, რომ იგი სარფინიანია, მისკენ მოზრუნდებიან.

— აქ უამრავი, თუ შეიძლება ითქვას, უღამაზესი დანაა, ვინ ყიდულობს, ქართველი თუ უცხოელი?

— ორივე. ასლან აბაშიძესაც აქვს აქ ნაჭედი დანა, ლუკოვასაც, ალიევს, ნაზარბაევს, ჩვენს პარლამენტარებსაც. ავსტრიელ პრინცს პანს სალტიმურეს გამოვუჭედე საგარეულო ხანჯალი და ჰერცოგობის სიგელიც იმიტომ მიბოძა.

— ერთი ეს მოთხარით, გრდემლითან ქალს რატომ არ უშვებთ?

— მჭედელი გრდემლითან უხუნაეს ძალებთან შედის ურთიერთობაში. საკულტო-სარიტუალო პროცესი სრულდება გრდემლითან და იქ ქალის ადგილი არ არის. თუმცა, ქალები და ბავშვები ქსოვდნენ ჯაჭვის პერანგს, კაცს მისი კეთების დროს და ჰქონდა! სვანეთში ოქრომჭედლობის ყველაზე მაღალი სკოლა ქალებისა იყო, მაგრამ იარაღის ჰედვასთან ამას ხელი არა აქვს, როგორც ქალი არ შეიძლება იყოს მღვდელი, ისე არ შეიძლება იყოს მჭედელიც. ბოლოს და ბოლოს, სხვა რომ არაფერი, გრდემლითან ქალი ქალურობას დაკარგავს.

ეკა ლომიძე



**გამოცემა «ფაქტორიტი»**  
ბათუმის მკვლევარებთან სუფთა, სასკოლო მასალის დაგეგმვა რეკლამის, უმაღლესიან ფასად რეკლამის შეგიძლიათ შეიძინოთ საგაჭრო ქსელში. ბითუმად შექმნილ მსურველებმა მოგვმართეთ მისამართზე: ქიხიყის ქ. №20.  
ტ: 26-10-13; 899 58-96-91

**წინახაახალწლო, დიდი ფასდაკლება**  
ჩაქვანაში ჩაქვანაში  
„სინამაჟი სინამაჟი“  
20 გაშვება - 50%  
35 გაშვება - 60%  
ტელ: 22-78-07

**მ**ასულ კვირას საქართველოში უპრეცედენტო ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. მარტყოფის მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლში, რომელსაც შეფობას უშიშროების სამინისტრო უწევს, 13 წლის ფიქრია ოდიშელიძემ თავში რამდენიმეჯერ ქვის ჩარტყმით მოკლა მეოთხეკლასელი თემურ უსტიაშვილი. მკვლელობა დაახლოებით ღამის პირველ საათზე, ბავშვთა სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ამჟამად გარდაბნის რაიონის პროკურატურაში ამ საქმის ირგვლივ მოკვლევა მიმდინარეობს. მკვლელობაში ეჭვმიტანილზე დანიშნულია ფსიქიკური ექსპერტიზა. თუ ექსპერტიზა დაადგენს, რომ ფიქრია ოდიშელიძე ფსიქიკურად დაავადებულია, მაშინ მას

ოდა ბავშვთან, რომელზეც ყველამ იცოდა, რომ დღე-ღამე უნდა დაღუპულიყო.

**— როგორ შეიტყვეთ ეს ამბავი, რა ვითარებაში ნახეთ ბავშვის გვამი?**

— იმ ღამით არავის არაფერი გაუგია. დილით კი ეს ამბავი გახმაურდა, ბავშვებს ეჭვი ერთმანეთზე არც მიუტანია. ყველას ეგონა, რომ მხოლოდ უცხო სულები ასეთი რამ ჩადინა. პოლიცია რომ მოვიდა, გოგონას არაფერი დაუშალავს, მაშინვე თქვა: — მე მოკვალაო.

**— მომხდარის შესახებ გარდაცვლილის დედას თუ შეატყობინეთ?**

— დედამის სამი დღე ვეძებოდი, სადაღაც სოფელში ძლივს მივაკვლიეთ. ნებართვა მოგვცა, რომ აქვე მარტყოფში დავსაფლავოთ. არანაირი საშუალება არ აქვს, რომ მიცვალებული გადავსვენებინა. მას მეორე შვილიც აქ ჰყავს — თემურის და. ფიქრია 7 თვის წინ ჩემს მოადგილეს დედამისთან გავატანე. ის იყო თანამშრომელი უკან მობრუნდა, რომ პოლიციიდან დამირეკეს: თქვენი მოსწავლე ფიქრია ოდიშელიძე თბილისში დავიჭირეთ, ჩვენთან არის და ნაიყვ-

საშინლად გაღიზიანებული არიან. პირველი, ვინც თემურის მოვიტახა, გვერდით მწოლი პატარა ელხანი გახლდათ. თემური სახლში რომ ვერ დაინახა, პალატაში მყოფ პატარასთან მოვიტახა. პატარა კი ეზოში ჩავიდა და სახლის უკან გასისხლიანებული თემურის გვამი დაინახა.

პატარას ნახვა ვერ შეეძლო, ის და რამდენიმე მოზრდილი ბიჭი მარტყოფში საფლავის გასათხრელად იყვნენ წასულნი(!). თუმცა ვესაუბრეთ ეკას, რომელმაც ფიქრიას ირგვლივ დამაფიქრებელი დეტალები დააფიქსირა.

ეკა 24 წლისაა. მას არც დედა ჰყავს და არც მამა. ამიტომ, ბავშვთა სახლის ადმინისტრაციამ აქვე დაასაქმა. უფლის ბავშვებს, მუშაობს იქვე მდებარე ფერმაში და საკუთარი შემოსავალი აქვს.

**კაბ ტალონიანი:** — „ღუმელს ვანთებ“ დი. ბავშვები ხუმრობდნენ, „უფასობანას“ თამაშობდნენ და ერთმანეთს აშინებდნენ. მოულოდნელად გიორგი მოვიდა და მითხრა — სახლის უკან ვილაყ გდიაო. ჯერ არ დაუჯერეთ. მერე მე, მამუკა და ხამზინა წავედით. ჩემს სიცოცხლეში მკვდართან ახლოს არასოდეს ვყოფილვარ. შიშისგან ინსტინქტურად გამოვიქციე. სულ გამავეებული და სისხლიანი იყო.

**— ფიქრია ურთიერთობაში როგორ იყო?**

— სულ დაფიქრებული იყო. თუ რამეს ვეჭყოდი და ნათქვამი არ მოეწონებოდა, ვარიანტი არ იყო, არ ვეგინებინეთ, ან არ ვეცემო. მე ვუბნებოდი — სულ შენს ხასიათზე ხომ არ ვიქნებო, თუ რამე შეგვემუცა, უნდა დაგვიტომო-მეთქი. არა, ის მაინც არ გვიტომობდა.

**— სკოლაში დადიოდა?**

— კი, ჩვეულებრივად.



## 13 წლის გოგონამ 10 წლის ბიჭი მოკლა „ვეზიბლებოდით და იმიტომ“

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ. ამჟამად იგი ხელნერილით არის გათავისუფლებული და დედის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, თუმცა საეჭვოა, რომ დედამ, რომელმაც შვილი უპატრონო ბავშვთა სახლში საცხოვრებლად მიიბარა, მას სათანადო ყურადღება მიაქციოს.

### მარტყოფის ბავშვთა თავშესაფარი თუ უბედურების სახლი?

ამჟამად აქ 68 უპატრონო ბავშვია, თუმცა უმეტესობას დედაც ჰყავს და მამაც. როგორც სახლის დირექტორმა **სოსო ზაუტაშვილმა** პირად საუბარში გაგვიხილა, უმრავლესობას მშობელი წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ აკითხავს. გარდა ამისა, ყოფილა შემთხვევები, როცა მშობელი ისეთი მთვრალი მოსულა, რომ შეშინებული ბავშვი იმალდა: „სოსო მასწ, სოსო მასწ, გვხვებები, ეზოში არ შემოუშვა რა“, — ასე, მხვებებიან. მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც პოლიციამ ქუჩიდან მოიყვანა. ამ მოზარდების ფსიქიკა დარღვეულია, ისინი ცხოვრების უკუღმართობისგან გაღიზიანებული, დაბრუნდნენ და, რა თქმა უნდა, აგრესიულები არიან. მარტყოფის ბავშვთა სახლში ყველაზე უმცროსი 6 წლისაა, უფროსი — 29 წლის. სოსო ზაუტაშვილი იძულებულია მოზრდილებს თავშესაფარი მისცეს, რადგან სახელმწიფოს არ ძალუძს ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, სრულწლოვანები რომ გახდებიან, ბინით უზრუნველყოს. იქნებ, ამიტომაც „იმედის კუნძულის“ იქით მათ შავი სამყარო „ხელგამოილი“ ხვდება. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ მათ შორის შეყვარებული წყვილი სახლში რომ ექნებო, ვერ ნახავთ. როგორც ბავშვთა სახლის დირექტორი მუხნება, მისი 30-წლიანი მუშაობის პრაქტიკაში დაქორწინების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

### ფიქრია ოდიშელიძეს ემშაკი ეცხადებოდა...

როდესაც 13 წლის გოგონას ჰკითხეს, რატომ მოკლა თემური, მან უპასუხა: „სამი დღე და ღამე ემშაკი მესიზმრებოდა და მეუბნებოდა — ვინმე მოკალი, ვინმე მოკალიო...“ ფიქრია, ყველაზე სუსტი, სისხლის გათვრებით დაავადებული თემურ უსტიაშვილი აირჩია. იგი მაშინ გაიტყუა გარეთ, როცა ყველას ეძინა და უბრძანა, მასთან ერთად პროდუქტების საწყობი გაეტყუა. ბიჭუნამ წინააღმდეგობა რომ გაუწია, მან ჯერ დახარჩო, მაგრამ რომ შეაჩინა მსხვერპლი კიდევ ცოცხალიაო, ლოდი დაახეთქა ზევიდან.

### ბატონო სოსო, რა გაიამბოთ ფიქრია ოდიშელიძემ, რატომ ჩაიდინა ეს დანაშაული?

— სამი დღე და ღამე სატანა შემოიჩინდა, მეც ყველაზე სუსტი ამოვარჩიე და თემურ უსტიაშვილი მოკვალაო.

თემურს მძიმე ფორმის ლეიკემია ჰქონდა და ასე თქვა: მას მაინც მოკლე დღე ჰქონდა და ჩუმი, მოტყუებით ღამე გარეთ გამოვიყვანე და...

### საერთოდ, ფიქრია როგორი ბავშვი იყო?

— აქ, ქუჩიდან, მშობლებზე და არა მარტო მათზე განაწყენებული, ცხოვრებისგან გამწარებული ბავშვები მოჰყავთ. ისინი თავისთავად ნერვიულები არიან.

### ამ შემთხვევას რაიმე კონფლიქტი თუ უძლიოდა წინ?

— არაფერი. რა კონფლიქტი უნდა ჰქონ-



პირველი თოვლი ყველას უხარია

ანეთო. სხვა რა გზა მქონდა, ისევ მარტყოფში ნამოვიყვანე. მაშინ ასეთი რამ მითხრა: დედაჩემთან ვერ გავერდები. არ შემიძლია, სულ ქუჩაში ვიქნები, თუ თქვენთან არ დამაბრუნებთ. დედამისი გამუდმებით ეჩხუბებოდა, ახლაც, პოლიციაში უთქვამს: დედასთან არ მინდა, სოსოსთან წავალ ინტერნატში. ბავშვი მოკლა და კიდევ აქ დარჩენა უნდა. ყოველთვის რთული ბავშვი იყო. აღმზრდელს ხშირად აგინებდა. ზოგჯერ ისეთ უხამს რამეს იტყოდა, რომ კაცი ვარ და მე არ გამიგონია.

### თქვენთან უფროსი ასაკისანაც არიან. არ ყოფილა შემთხვევა, რომელიმე მათგანს ერთმანეთი შეეყვარებოდა?

— არა. ხშირად მიტყვამს, იქნებ ოჯახი შექმნათ, აგერ ახლოს კოტეჯები 500გ-ად იყიდება. შეგიძენთ და იქ იცხოვრებ-მეთქი... არ უნდათ, ერთმანეთს არ კადრულობენ, წარმოგიდგინათ? მაგალითად, მარტყოფელ ბიჭს შეიძლება „ჩემი“ გოგო მოსწონდეს, ინტერნატის ბიჭს კი არა. როგორ მინდა, რომ ოჯახები შეიქმნას. კარგ ქორწილს გადავუხდოდი, მაგრამ არ შვრებიან ეს ოხრები.

### ლალი ლავილია (დირექტორის მოადგილე): „ფიქრიასთვის რამე დარღვევა რომ შეგვიქმნია, მაშინ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წავიყვანდით. გოგონა ასეთ რამეს თუ ჩაიდენდა, ვერასოდეს წარმოვიდგენდით. პირველად ვინც მოკლული ნახა, ის ბავშვი რომ ნახო, ნერვოპათოლოგი სჭირდება, ისეა შემთხვეული. წარმოვიდგინეთ, ეს ტრაგედია ალბათ მთელი ცხოვრება თვალებიდან არ ამოუვია. ნახვარი სოფელი აქ მოვიდა.“

ფიქრია (მამით ობოლი) თავის დროზე დედის განცხადების საფუძველზე განათლების სამინისტრომ გადმოგიგზავნა. თვითონ მითხრა, ხუთი თვის ვიყავი, მამა რომ დამეღუპაო.

### პაპამისი ყოფილა დუშეთიდან გადმოსახლებული, გვარი შეუცვლია იმიტომ, რომ კაცი შემოაკვდაო. დედა გვარად ტუავეა ჰყავს. ერთი წლის განმავლობაში ოსეთშიც ცხოვრობდნენ. დაკითხვაზე გაცხადებ. თვითონ მთხოვა: დალი მასწავლებელი, მე ისეთი რამე გავაკეთე, რომ ღმერთი აუცილებლად დამსჯის — არც შვილი მეღირსება და ჩემს სიცოცხლესაც რა ფასი აქვსო.

### იქნებ შიოდა და იმიტომ მოინდომა საწყობის გატყუვა?

— არა მგონია. თვითონ მოიგონა ალბათ.

### ანიკო ნიკოლოზაშვილი (დასახლისი, აღმზრდელი): ბავშვები ამ ამბით ისე არიან აღელვებული, რომ პოლიციას დროზე რომ არ აეყვანა, გააუტყავდნენ. ბიჭები ახლაც

- **მორწმუნეა ფიქრია?**
- არა. პირიქით ერთხელ ხატები დანვა.
- **რატომ გააკეთა?**
- არ ვიცი, არ მნამს და იმიტომო.
- **სხვა რელიგიის მიმდევარი ხომ არ იყო?**
- შეიძლება, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

### გარდაცვლილის დედამ ბავშვის ცხედარიც კი არ წაიღო...

ამას თემურ უსტიაშვილს დედა უკიდურესი ეკონომიური გაჭირვებით ხსნის. არადა, ჩვენი ინფორმაციით, იგი კახეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. სოფელში ყველა ყველას იცნობს და არც ის არის სადავო, რომ გაჭირვებისას ისინი მხარში უდგანან ერთმანეთს. და არა მგონია ამ საცოდაობის ფაზა დედას არ დახმარებოდნენ (!). მარტყოფის ბავშვთა სახლში რჩება თემურის პატარა და — თეონაც, რომელიც გონებაჩამორჩენილია.

### მათ ოცნებაც კი აღარ შეუძლიათ...

როდესაც დანარჩენ ბავშვებს გავესაუბრე, გაოგნებული დაერჩი. მათ ოცნებაც კი აღარ შეუძლიათ. ასეთ მდგომარეობაში კი ადამიანი მაშინ მიდის, როდესაც სულიერად ყველაზე ძალიან უჭირს და უდიდესი ტრაგედია აქვს გადატანილი. ბუნებრივია, ტკივილს, რომელიც მათი თვალებიდან მოჩანს, საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალის ვერანაირი მზრუნველობა ვერ დაუხმებს. არადა, გულდასაწყვეტია, რამდენი ადამიანია — ვისაც შვილი არ ჰყავს და ოჯახში ბავშვის ჟრიალებული სინატრელი ოცნებად ჰქცევია.

### სამრტო (12 წლის):

- **სერგო, რაზე ოცნებობ?**
- ... არაფერზე.
- **მომიყვარ, როგორ ატარებ დროს, თუნდაც ერთი დღის განმავლობაში?**
- ხან ვცუვრობთ, ხანაც ტელევიზორში მულტფილმებს ვუყურებთ, ღუმელთან ვთვებით, როცა ფეხები გაგვეყინება, წინდებს ვისდით ხოლმე და ღუმელთან ვაშრობთ. ხანაც დახუჭობანას ვთამაშობთ. კიდევ ასეთ თამაშს ვთამაშობთ, ერთმანეთს გავვიკედებით და თუ დავეწიეთ, ვვებნეთ.
- **ნიგნებს კითხულობ?**
- არა. ჯერ არა.
- **ისც, რა მოგწონს წიგნებიდან?**
- „ნაცარქექია“ და „ორი ჯუჯა“.
- **ფიქრიას იცნობდა?**
- კი. მეც მცემდა ხოლმე.
- **რატომ?**
- ვეზიბლებოდით და იმიტომ.

## რატომ მსროლას იბაბლი ჭხანს...

### რა დააშავა 11 წლის ბავშვმა?!

თბილისი თითქმის ყოველკვირა გამოავლენებელ კრიმინალურ ფაქტებს გვთავაზობს. გასულ კვირას, ვაჟა-ფშაველას №14-ში, სადარბაზოს წინ 11 წლის ირაკლი ჭხანის ცეცხლსასროლი იარაღით გულმკერდის არემი დაჭრა. რეპუბლიკურ საავადმყოფოში მას სამსაათიანი ოპერაცია ჩაუტარეს და სიკვდილს გადაარჩინეს. ამჟამად იგი რენიმიაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ექიმი-რენიმატოლოგის ლალი ტაბიძის განცხადებით, ირაკლი ჭხანის ფილტვში იყო დაჭრილი, რის გამოც მას ქსოვილი გაუყერეს. 10-15 დღეში ექიმები მისი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას ვარაუდობენ. თუმცა რამდენი ხნის შემდეგ შეძლებს სკოლაში წასვლას, ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

მომხდართან დაკავშირებით ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით საქმე აღიძრა. ამბობენ, რომ ბავშვს შურისძიების გამო(!) ესროლეს.

ირაკლი ჭხანის ბუბისთან ცხოვრობს. მკვლელობა ბუბის სადარბაზოსთან ესროლა. დედა შურისძიებისთვის კონტაქტს გაურბის. რაც შეეხება მამას, ავთანდილ ჭხანს, ჩვენი ინფორმაციით, ის რამდენიმე წელია მოსკოვშია წასული და იქ ეწევა ბიზნესს.

არაოფიციალურად რამდენიმე ვერსიაზე მიდის საუბარი. როგორც ამბობენ, წლების წინ, ავთანდილ ჭხანს მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი და მოსკოვს სწორედ ამიტომ შეაფარა თავი. საავადმყოფოში გავსაუბრეთ ჭხანის ახლო ნათესავებს, რომლებმაც გავრცელებულ ვერსიას ქორი უწოდეს. მათ ისიც კი არ იციან, რომელ მკვლელობას აბრალებენ ავთანდილ ჭხანს. „თუ მკვლელობა, რატომ არ მოქმედებს, რაღა ამ ბავშვს ესროლეს?!“ — აცხადებენ აღმფრთხილებული ნათესავები.

გარდა ამისა, გავრცელდა სხვა ვერსიებიც, რომელთაგან ერთი, ავთანდილ ჭხანის ბიზნესს უკავშირდება და მეორე კი — პირად ცხოვრებას.

„კვირის პალიტრა“ ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურის გამომძიებელს **თიანე ნათილაშვილს** ესაუბრა.

— როგორც დავადგინეთ, როცა მკვლელობა ირაკლის იარაღით თავზე მიადო, შემთხვევითმა ბავშვმა უცნობს უადგილო ადგილას ამოარტყა ნიხლი და გაიქცა. გასროლაც ამის შემდეგ მოხდა.

### ეს შურისძიება იყო?

— ამ ვერსიას, ჯერჯერობით, ვერ დავეთანხმები, რადგან მასალები, რომელიც ამის თქმის საშუალებას მოგვცემს, ჩვენ არ გავყვანია.

### მართალია, რომ 10 წლის წინ მამამისმა ვილაყ მოკლა და შემდეგ მიიმალა?

— ეს ვერსია ჩემთვის ცნობილია, მაგრამ ოფიციალურად საბუთი არ გავაჩნია.

### თვითმკვლელობები რას ამბობენ, ვინმე თუ იცნობდა ეჭვმიტანილს?

— არა, აღწერილობა გვეცავს, რომ არის 30 წლამდე. ვნახოთ, თუ ამოიცნობენ... ფაქტია, რომ მკვლეელი ჩასაფრებული იყო, ახლა მის ადგილსამყოფელს ვამოიხილო. რა თქმა უნდა, სახლიდან გაქცეულია. ყოველ შემთხვევაში, მანიაკურ გამოვლენებთან არ გვაქვს საქმე.

### ბავშვი იცნობდა?

— ირაკლი ჯერ არ დაგვიკითხავს. ისე, ეჭვი მეპარება, რომ იცნობდეს. ვერსიებს ვამოიხიებთ და მე გოგონი ერთ კვირაში ყველაფერი გაიკვლევა.

### რამდენადაც ვიცი, შემთხვევის ადგილიდან მასწა ვერ ამოიღეთ.

— ამოღებული ტყვიის გულა და ბავშვის ტანსაცმელი ექსპერტიზაზეა გაგზავნილი. პასუხის მიღების შემდეგ შეგვიძლია დაუხსნებლად წავუყვინოთ ბრალი და ძებნა გამოვაცხადოთ.

### მასწა რატომ ვერ ამოიღეთ?

— მოგესხენებათ, არსებობს ისეთი იარაღი, რომელიც გასროლის შემდეგ მასწას არ ტოვებს. ბარანინი იარაღი მასწას არ ისვრის...

„კვირის პალიტრა“ ასევე დაუკავშირდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის უფროსს **გოგი ნებიერიძეს**, რომელმაც სატელეფონო საუბარში არ დაგვიმალა, რომ ირაკლის მამა ავთანდილ ჭხანის ძებნილია როგორც ვაჩალობისთვის, ისე მკვლელობისთვის. თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ დააკონკრეტა მომხდარი მკვლელობის მოტივი. გოგი ნებიერიძის განცხადებით, ისინიც ახლა იმ პირობებშია ადგენენ, რომელმაც ირაკლი ჭხანს ესროლა.

გვერდი მოამზადა მარიანა მამისაშვილმა

**3**ერც ერთმა დემოგრაფმა, ვისაც კი ვე-საუბრეთ, ვერ გაიხსნებ, გასულ საუკუნეში საქართველოს ხელისუფლებას რაიმე ქმედითი ღონისძიება გაეჭიროებინოს ქართველების გამრავლების მიზნით. მხოლოდ ერთხელ, ისიც აფხაზეთის ომის დროს, ზოგიერთმა ქართველმა ოჯახმა აიტაცა მონოდება, ომში დაღუპული ქართველი ბიჭების სანაცვლოდ დამატებით კიდევ ერთი შვილი გაეჩინათ. ეს იყო და ეს. ამით ყველაფერი დამთავრდა. დემოგრაფიული პრობლემის უგულვებელყოფამ ის გამოიწვია, რომ 2000 წელს საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობა რამდენიმე ათასით აღარაა დასაბუთებული საერთო ჯამს. მდგომარეობა არც შარშან და არც წელს შეცვლილა. მეტიც, დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ წელს კიდევ უფრო უარესი მაჩვენებელი გვექნება. ერთი სიტყვით, დაიწყო ქართველების ბუნებრივი კლების პროცესი და თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, დაახლოებით ორი დემოგრაფიული ციკლის, ანუ 56 წლის შემდეგ ქართველი ერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. მას გადაშენების საფრთხე ემუქრება. — გვაფრთხილებენ ქართველი დემოგრაფები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ანზორ თოთიაძე** — საქართველოში უახლოეს მომავალში უთუოდ დაიძლევა სოციალურ-ეკონომიკური სიღრმეები. ხალხი გაცილებით უკეთეს პირობებში იცხოვრებს, მაგრამ ყოველივე ეს ეროვნული თვალსაზრისით ფუჭი იქნება, თუ ახლავს არ მიემართეთ დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრულ რადიკალურ ღონისძიებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია საქართველოს მოსახლეობის და, უპირველესად, ქართველი ერის კატასტროფულად შემცირება, რომლის შეჩერება მოგვიანებით შეიძლება ვერც მოხერხდეს. საქართველოში საქმე გაქვს პარადოქსულ მოვლენასთან, — ჩვენი ქვეყანა ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარებადია, ხოლო დემოგრაფიულად განვითარებულ ქვეყანას მიეკუთვნება. საქართველოში ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მსგავსად, მცირდება შობადობა და გარკვეულწილად იზრდება სიკვდილიანობა.

— **საშუალოდ, რამდენი ბავშვი იბადება ამჟამად საქართველოში და რამდენია მათ შორის ქართველი?**

— 1961 წელს 104 ათასი ბავშვი დაიბადა. 2000 წელს ეს რიცხვი 2,6-ჯერ შემცირდა და ახალშობილთა რაოდენობამ მხოლოდ 40 ათასს შეადგინა. აქედან ქართველების რიცხვი 30 ათასზე ოდნავ მეტი იქნება. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში სიკვდილიანობის დონეც მნიშვნელოვნად გაიზარდა და ბუნებრივმა ნამატმა დაიწყო კლება. ჯერ კიდევ მაღალი რჩება ჩვილთა სიკვდილიანობის საერთო რაოდენობა. ყოველწლიურად საქართველოში ერთ წლამდე ასაკის ათასამდე ბავშვი იღუპება. უფრო მეტია მკვდრად შობილთა რაოდენობა. ქვეყნის მოსახლეობის გამრავლებას მნიშვნელოვნად აფერხებს ქორწინებათა რიცხვის შემცირება. თუ ოცი წლის წინ ყოველწლიურად დაახლოებით 52 ათასამდე წყვილი ქორწინდებოდა, 2000 წელს ეს მაჩვენებელი თითქმის 13 ათასამდე შემცირდა. სამაგიეროდ, გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი.

ამის გარდა, უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი არსებობს. პირველი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ის არის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არაფერს აკეთებს მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად და უსახსრობას იმიზეზებს. მე წინადადება წამოვაყენე, რომ თითოეული გაყიდული სიგარეტის კოლოფი და ღვინო ზედმეტი ერთი თეთრით დაეგირავებოდა. ეს თანხა წლის მანძილზე სულ მცირე ათ მილიონ ლარად იქცეოდა — ამ ფულით 10 ათასი ბავშვი დაიბადებოდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ოჯახს რომ მისცე თითო ბავშვზე ათასი ლარი მაინც, უაქცილებლად კიდევ ერთ შვილს გააჩენს. სახსრების მოძიება სხვა გზებითაც შეიძლება, მაგრამ თავის შენუხება არავის უნდა. ვის რაში სჭირდება ან ნაყოფისადაც, ან აბრეშუმის გზა, თუ საქართველოში ქართველობა არ იქნება? ხელისუფლებისათვის ეს უნდა იყოს უპირველესი სტრატეგიული ამოცანა. შორს არ არის ის დრო, როცა საქართველოში წლიდან წლამ დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე ათასით განისაზღვრება და შესაბამისად, პრობლემაც აღარ იარსებებს, — ხალხი აღარ იქნება... კანონით მრავალშვილიან დედას უნდა უფრო მეტი სხვადასხვა სახის შეღავათია გათვალისწინებული, თუმცა რეალურად არც ერთი არ არსებობს. ერთი სიტყვით, დემოგრაფიული სკიპის სახადში ანტისახელმწიფოებრივ მიდგომასთან გვაქვს საქმე. არის

— **რას აკეთებს თქვენი დეპარტამენტი?**  
— რა უნდა გავაკეთოთ? შარშანწინს შემდეგ ერთი კაპიკი არ მიგვიღია ბიუჯეტიდან. რისთვის არსებობს დეპარტამენტი, თვითონაც არ ვიცი. თუ ასე გაგრძელდა, კავკასიის რეგიონში დაირღვევა დემოგრაფიული ბალანსი, რის შემდეგაც საქართველოს გაუჭირდება თავისი სტრატეგიული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და, საერთოდ, ეროვნული ამოცანების გადაჭრა კავკასიაში. საფრთხე შეექმნება მის სულიერ და ტერიტორიულ მთლიანობას და ერთიანობას. სახეს დაკარგავს ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები. ასეთ ვითარებაში გარდაუვალი იქნება ეროვნული ცნობიერების დაქვეითება, საბოლოოდ კი მოხდება ერის გენოციდის განადგურება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, ამის ნათელი მაგალითია ქართველების ხვედრითი წილის შემცირება კავკასიის რეგიონში. მაგალითად, თუ გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართველები სომხებს 250 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელებს 108 ათასით აღემატებოდნენ, 1989 წლის აღწერის მონაცემებით უკვე სომხები აღემატებიან ქართველებს 107 ათასით, ხოლო აზერბაიჯანელები თითქმის მილიონ-ნახევრით.


გარდა დემოგრაფიული დეპარტამენტისა, სახელმწიფოში არსებობს საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება. სწორედ მის პრეზიდენტს **ილია ზაზიაშვილს** ვთხოვეთ კომენტარი: — ჩვენ დემოგრაფიული საფრთხის

## დემოგრაფიული კატასტროფის წინასწარგაფრთხილება...

### რეკეტი მრავალშვილიან დედაებსაც ჰყოლიათ



წინაშე ვგვაგვართ — ჩინოვნიკები კი ამის მიფუჭებებს ცდილობენ. არსებობს ქართველების გადაშენების საფრთხე რეალური სამიშროება. ქვეყანაში შექმნილია განუკითხაობა, სამართლებრივმა ვაკუუმმა გამოიწვია ეროვნული ცნობიერების დეგრადაცია, ისტორიული ტრადიციები ნასაზრდად ერთი ერის ფსიქოლოგიური წყობის დეფორმაცია და ეს ცხოვრების ყველა ასპექტში აისახა. ქართველი ერი კარგავს თავის ისტორიულ საცხოვრისს და ამ პროცესების შეჩერება შემდგომში შეუძლებელი იქნება. რაც შეეხება ჩვენს საზოგადოებას, — არც ერთი ხელისუფლების დროს, არც ერთ ძალას ისეთი თავიერი და უზნეო ბრძოლა არ გამოუცხადებია საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოებისათვის, როგორც ქალაქის მერმა და ვიცე-პრეზიდენტმა გამოუცხადეს. ბატონების: ზოდელაძისა და შერაძის ძალისხმევით საქართველოს დემოგრაფიულ საზოგადოებას თბილისის ცენტრში ყჩაღების დახმარებით წაართვეს ცენტრალური ოფისის შენობა და ამჟამად ქუჩაში ვართ. მრავალშვილიანი ოჯახებისა და ობოლი ბავშვების სრულყოფილად მომსახურების მიზნით, საქართველო



## დემოგრაფიული კატასტროფის წინასწარგაფრთხილება...

წოდება „ქართველის დედა“ საკანონმდებლო აქტია, მაგრამ ის მხოლოდ ქალაქდება დაფიქსირებული და რეალურად არ მოქმედებს. ეს ხომ საკანონმდებლო ცინიზმია.

— **ახლახან ქალაქის მერის მხარდასაჭერად მრავალშვილიან დედას აქცია მონაცვლეს იმნიშვნელობა გამაოგნებელი მიღებული დახმარების და შეღავათების გამო.**

— 30 მრავალშვილიანი დედის „ყიდვას“ მართლაც გზავს მრავალშვილიან დედებს. მეტიც, ხელისუფლებამ დემოგრაფიული კონცეფციის შესამუშავებლად 30 ათასი ლარი გამოყოფს. ეს თანხა საქართველოს დემოგრაფიის ინსტიტუტში ზოგიერთებმა გაინანია. წავიდნენ მოსკოვში, გადანერეს რუსული დემოგრაფიული კონცეფცია, თარგმნეს ქართულად და ფული ჩაიჯიბეს. ასე გაიყიდა „ქართველის დედათა“ ინტერესები 30 ათას ლარად...

ჩვენ საქართველოს დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ **ლარა ჩიბაძეს** დავუკავშირდით. მისი განცხადებით: — გარდაცვლილთა რაოდენობა ახალშობილთა რაოდენობას რამდენიმე ათასი კაცით აღემატება, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა გვაძლევს. შობადობის შემცირება უწყობს ხელს პროსტიტუციის, რომელიც საქართველოში ძალზე გაახალგაზრდავდა. საიდუმლო არ განსაზღვრის ფაქტი, რომ ზოგიერთი ოჯახი პროსტიტუციის 13-14 წლის ასაკიდან მისდევს. ხელისუფლებამ რაღაც უნდა ილიონოს, ასე გაგრძელდება აღარ შეიძლება.

— **მით უმეტეს, როცა საქართველოში სხვა ერების რაოდენობა სწრაფად იზრდება ქართველებთან შედარებით.**

— იცით რატომ ხდება ეს? მუშობელი ქვეყნების ხელისუფლება არა მარტო ზრუნავს თავის სახელმწიფოში მცხოვრები ძირითადი ერის გამრავლებას, არამედ სხვა სახელმწიფოშიც უწყობს ხელს თავისი ერის გამრავლებას. გაიხსენეთ სომეხთა კათალიკოსი ზაზენი, რომელმაც მთელი საქართველოს შავილესიპირეთი სომეხი ეროვნების ოჯახებით აავსო (და არა მარტო შავილესიპირეთი). ეს პრობლემა საქართველოსთვის ნომერ პირველი უნდა იყოს...

ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ავეთალი სულაბაძე** — საქართველოს დემოგრაფიული პროგრამაც და კონცეფციაც ჩემი დანერგვა. ვერაინ იტყვის, რომ იგი საიდნალაც გადაწერილია. ამას მხოლოდ ილია ბეგიაშვილი დამახარალებდა, რომელიც ერთხელ უკვე გადავიჩინეთ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტობიდან და ხალხმა მე ამირჩია პრეზიდენტად. მერე სასამართლოს გადაწყვეტილებით ისიც აღადგინეს და პარადოქსია, მაგრამ ამჟამად დემოგრაფიული საზოგადოებას ორი პრეზიდენტი ჰყავს. ბეგიაშვილმა ბევრი გააკეთა, მაგრამ მეტი ლობობა დაიწყო და საქმეს თავი ვერ გაართვა. სწორედ ამიტომ წაართვა მერიამ ოფისის შენობა და მალაზიები დემოგრაფიული საზოგადოებას. მე ხელთ მაქვს სამართალდამცავ ორგანოებთან მუშაობის, კორუფციისთან ბრძოლისა და ადამიანთა უფლებების დაცვის კოორდინაციის საქალაქო სამსახურის ინფორმაცია, სადაც ვკითხულობთ: „1999 წლის თბილისის ქონების მართვის სამმართველოში შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალია დემოგრაფიული საზოგადოებისათვის ბალანსიდან ბალანსზე გადაცემული მუნიციპალური საკუთრების საფარო ობიექტების მიზნობრივად გამოყენების საკითხის შესწავლა. შემომხიდა ვაიკვა, რომ დღიდან გადაცემისა მალაზიებს არავითარი ჰუმანიტარული ან სხვა სახის დახმარება თბილისის რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებსა და ობლებზე არ გაუციათ, ხოლო მათ მიერ საზოგადოების საღაროში შეტანილი თანხები არ გადანაწილებულა დემოგრაფიული საზოგადოების რაიონულ ორგანიზაციებზე“. ეს უმართლესადაა და დემოგრაფიული საზოგადოებას მალაზიები წაართვეს. ამაში „დიდი დამსახურება“ ბეგიაშვილს მიუძღვის.

— **თქვენ რას აკეთებთ, როგორც საზოგადოების პრეზიდენტი?**

— რაც შემიძლია. ვებეჭად დემოგრაფიულ ჟურნალს, ვატარებ დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. სახელმწიფო არ გვაფინანსებს და ფულს მეგობრებისა და ახლობლებისგან ვესხვებო. ვატარებ დემოგრაფიულ კვლევებს, სხვა რა შემიძლია, როცა ხელისუფლება გვერდში არ მიდგას.

— **ნუთუ ამ პრობლემით საქართველოს პარლამენტი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე არ დაინტერესებულა?**

— გგონიათ ნინო ბურჯანაძესთან შეიძლება ადვილია? ვცადე, მაგრამ მასთან არავინ შემიშვა. რამდენიმე დღის წინ მერიასთან ოცდაათამდე მრავალშვილიანმა დედამ რომ ზოდელაძეს მხარდაჭერა გამოუცხადა და აქცია მონაცო, თავი ძლივს შევიკავე... მარტო 30 დედა თბილისში მრავალშვილიანი? რატომ აძლევს მარტო ამ 30 დედას დახმარებას ქალაქის მერი? თბილისში 6-7 ათასი მრავალშვილიანი დედა ცხოვრობს. აი, ეს ხალხი უნდა გამოეყვანა მერიასთან და ვნახავდით, რა მხარდაჭერა აქციათ გაუმართავდნენ ქალაქის მერს დედები...

— **რას იტყვით საზღვარგარეთ ბავშვების გაშვებებზე?**

— ერთმა მეგობარმა გინეკოლოგმა დეტალურად ამიხსნა საქართველოში დაბადებული ახალშობილის საზღვარგარეთ გაშვების მიქანზმები: საზღვარგარეთიდან ჩამოღის შვილის აყვანა მუხრანის უცხოელი ქალი. ფირმის მეშვეობით თბილისში წინასწარ მონახულია ფემშიმე ქართველი დედა. ორივე წევრა სამშობიაროში, თუმცა საზღვარგარეთის მოქალაქე ფემშიმე არ გახლავთ. ქართველი დედა მოილოცინებს, ბავშვს ექიმები, როგორც მკვდრადშობილს აფორმებენ, სინამდვილეში კი სალ-სალამათ ბავშვს უცხოელ მთარმევეს, თითქოს მან გააჩინა ბავშვი და შემდეგ, როგორც თავისი შვილი, ისე მიჰყავს საზღვარგარეთ. არის მეორე ხერხი: ფემშიმე ქართველი ქალი საზღვარგარეთ მიჰყავს. ჩვენი ქართველი საკონტროლო-გამგებები პუნქტი არ აფიქსირებს ფემშიმე გადადის ქალი საზღვარზე თუ ჩვეულებრივ მდგომარეობაში. იმობიარებს საზღვარგარეთ და შემდეგ ყველა პრობლემა, რა თქმა უნდა, მოხსნის. ქართველი ბავშვი იქ რჩება და იმ ქვეყნის მოქალაქე იზრდება...

ჩვენ დემოგრაფიული დეპარტამენტის გამოკვლევებიც ვნახეთ, სადაც დიდი ადგილი ეკავა თემას სათაურით: „შეკვეთილი გრძობებით დაღლილი ვნებები, ანუ თბილისური ვარიანტი პროსტიტუციისა“, სადაც ვკითხულობთ: „პროსტიტუცია მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ამჟამად ძალიან გავრცელდა თბილისში და აშკარა საფრთხეს უქმნის ერის, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ჯანმრთელობას, მის მომავალს, ქართული ტრადიციული ცხოვრების წესს. ეს თვალნათლივ ცხადყო ჩვენ მიერ ამას წინათ თბილისში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ. უწინარესად ყურადღებას იპყრობს ის, რომ მეტაფორა შორის საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული სხვადასხვა ასაკის, განათლების, პროფესიის, წარსულის, სოციალური და ფეხსიერი მდგომარეობის ქალი. მათ უმეტესობას არ ჰყავდათ მშობლები ან მშობლები გაცილებული იყვნენ და მეტწილად არაჯანსაღ გარემოში და კონფლიქტურ ოჯახში იზრდებოდნენ. გამოკითხულთა საქმარა ნანა ილის პირველი სექსობრივი კავშირი ძალადობის, სტრესულ ვითარებაში მოუხდა...

მრავალი მათგანი 13-14 წლის ასაკში იქნა მოტყუებული და შემდგომ მუდღეს გაცილებული. ყოველმა მესამე გამოკითხულმა სექსობრივი კავშირი 13-15 წლის, ყოველმა მეხუთემ 16-17 წლის ასაკში დაამყარა. ყველა მათგანი თავის საქმიანობაზე უარყოფითი აზრისა...

(გაგრძელება იხ. გვ. 24)

**2000 წელს საქართველოში გარდაცვლილთა რაოდენობა რამდენიმე ათასით აღარაა დასაბუთებული საერთო ჯამს. მდგომარეობა არც შარშან და არც წელს შეცვლილა. მეტიც, დემოგრაფები ვარაუდობენ, რომ წელს კიდევ უფრო უარესი მაჩვენებელი გვექნება. ერთი სიტყვით, დაიწყო ქართველების ბუნებრივი კლების პროცესი და თუ მდგომარეობა რადიკალურად არ შეიცვალა, დაახლოებით ორი დემოგრაფიული ციკლის, ანუ 56 წლის შემდეგ ქართველი ერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. მას გადაშენების საფრთხე ემუქრება.**

ლოს დემოგრაფიული საზოგადოებას ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა 20 სავაჭრო ობიექტი. მიღებული მოგებით უნდა დაეხმარებოდით მრავალშვილიან დედებს, მაგრამ მერის დადგენილებით ყველა მალაზია ნავგართვეს და გაყიდეს. არ დაგვიტოვეს რაიონული ოფისებიც... ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება საქართველოში დემოგრაფიული მოძრაობის საღიკვიდაციოდ.

— **არსებობს საბატო ნოდება „ქართველის დედა“, აგრეთვე საკანონმდებლო კოდექსით მრავალშვილიან დედებზე გათვალისწინებული შეღავათები. თუ მოქმედებს ეს კანონი?**

— არ მოქმედებს. საქართველოს საბატო

**ბ**ასულ კვირას მამუკა ხაზარაძეს აგრძობინებს, შენი „პირველხარისხის ბიზნესმენობის“ ხანა დასასრულს უახლოვდება. ამ თამამი განცხადების ავტორი მესტიელი მაჟორიტარი ლევან პირველი იყო, რომელიც მავანთა თქმით, იმ შემთხვევაში „მრეწველებს“ „ბორჯომულ“ ინტერესს ლობობდა.

ვინ და რატომ დაუპირისპირდა მინისა და მინერალური წყლების კომპანიას და რა კონტრდარტყემების გაცემებს აპირებს ელიტარული ბიზნესმენი, ამის გარკვევა მის თანაშემწესთან, კომპანიის ვიცე-პრეზიდენტ ბადრი ჯაფარიძისთან ვცადეთ.

— შეტევა ჩვენს კომპანიაზე ყოველწლიურად ხორციელდებოდა. ბოლოდროინდელი კამპანია კი მას შემდეგ დაიწყო, როცა უარყოფითი განწყობა გამოვხატეთ ნავთობსადენის მარშრუტის შერჩევას პროცედურის მიმართ. რაკი ნავთობსადენი ბორჯომის ხეობაზე გადის, მივიჩნიეთ, რომ ამ პროცედურაში აუცილებლად უნდა ჩავრთულიყავ-



## „კიდევ ერთხელ შევიჩხვით მერაბოვასა და სისრუას“

„თეთრი ბიზნესის განადგურების საშუალებას არავის მივცემთ...“

ით, მაგრამ საქმის კურსში ბოლო ეტაპზე გადავიყვანეთ და ჩვენი კრიტიკული შენიშვნები და ალტერნატივის ძიება რუსების ინტერესების გამოხატვად შეფასდა. ლაპარაკი იყო საერთო რუსულ-სომხურ და ავტორულ ინტერესებზე. კონკრეტული პირები არ დაუდინაშუალებიათ უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებაში, მაგრამ პროცესი აბსოლუტურად მართლრი იყო.

### ვის მიერ?

— ვისაც არ მოეწონა ჩვენი კრიტიკული შენიშვნები. ეს ალბათ ის ჯგუფია, რომელიც თავის დროზე ამ მარშრუტის შერჩევაში მონაწილეობდა. პატონი გია ქანტურიას თქმით, ეს გადაწყვეტილება მას არ მიუღია, კანცელარიაც სხვებისკენ იშვერს თითხ და ა.შ.

— **ითქვამს, რომ თქვენთვის ჯერ კიდევ ორი წლის წინ იყო ცნობილი ნავთობსადენის მარშრუტი, მაგრამ სხვათა რატომაც ახლა ატყვევებ?**

— კულუარებში 4 სხვადასხვა მარშრუტი განიხილებოდა. ჩვენ 27 ივლისამდე არაფერი ვიცოდით. ეს ეჭვის საფუძველს ნამდვილად ქმნის. ნავთობსადენის კონსორციუმის წარმომადგენლებმა ჩინში მოგვაცხადეს, — ან დაეთანხმებით ამ მარშრუტს, ან ნავთობსადენი საერთოდ არ იქნება. შემდეგ მავანთ გაუჩნდათ მოსაზრება, — მოდი, ეს კომპანია დავასუსტოთ, ან სულაც გავაძევოთ საქართველოდან.

### ვინ არის ეს ხალხი?

— ხალხი, რომელიც პარლამენტში საკომიტეტო მოსმენაზე განსაკუთრებით აქტიურობდა, შემსრულებელია. სინამდვილეში ყოველივე კულუარებში სხვათა მიერ იგეგმება.

— **ასეთი რეპლიკაც გაისმა, „ნაციონალური მოძრაობის წევრები ხაზარაძეს ბიზნესს არბიზენო“.**

— „ნაციონალები“ იქ არ ყოფილან, მხ-

ოლოდ ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი ნოდარ გრიგალაშვილი იყო მათი მხრიდან და ისიც იმ შემთხვევაში პარტიის მოსაზრებას არ გამოხატავდა. ჩვენი პარტიორების დამსახურებაა, რომ ბიზნესიდან აქამდე არ გაგვამეფეს. სამაგიეროდ, დღეს ჩვენთვის ლიცენზიის ჩამორთმევისაც ცდილობენ.

— **მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ „ბორჯომის“ ბიზნესს თავს ანებებს.**

— კომიტეტის მოსმენაზე ჩვენ კიდევ ერთხელ შევეჩხვით ვერაგობასა და სიცრუეს. 7 წელია ამას ვუძღვებით, მაგრამ ბოლოდროინდელი კამპანია ძალზე ბინძურად აგორდა. ზოგ პარლამენტარს წილი აქვს ბორჯომის ჩამოსხმულ წვილს სანარმოში, ზოგს — ლიცენზია და მისი სარფიანად გაყიდვა უნდა. გარდა იმისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ გალაშქრება წარმატებული ბიზნესმენების მიმართ სიძულვილის გამოხატულება იყო, შიშაც გახლდათ — ვაითუ, მისმა წარმატებამ ჩემი გეგმები ჩაშალაო.

— **ითქვამს, „ბორჯომით“ ბადრი პატარკაციშვილი დაინტერესდა და ხაზარაძეს სწორედ მისი მონაწილეობით ებრძვიანო.**

— ამ საქმეში უფრო ნავთობსადენისა და მცირე მენარბეების ხელი ურევია, ვიდრე ბადრი პატარკაციშვილის. თუმცა სხვა ვერსიასაც გეტყვით, — თითქოს ჩვენი კომპანიის 75% ბორის ბერეზოვსკის ეკუთვნოდეს. შესაძლებელია, ის ხალხიც გვებრძვის, რომლებსაც ჩვენი განდევნით „ბორჯომის“ წარმოების ხელში მოგდება, ან „ბორჯომის“ გაკონტროლება სურთ. თუ ჩვენთვის ლიცენზიის ჩამორთმევის მცდელობები კვლავ გაგრძელდება, სახელმწიფოს განხორციელებული ინვესტიციების ანაზღაურებას მოვთხოვთ და სამართლებრივად დავიცავთ თავს. საქართველოს ლეგალური თეთრი ბიზნესის განადგურების საშუალებას არავის მივცემთ.

იზო რიკაძე

## სხინვალის სხინვან ორი ქართველი კაპიტალი გათავისუფლდა

შეიძლება ითქვას, რომ გასული კვირა, ქართულ-ოსური ურთიერთობების მოწესრიგების თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესო და შედეგიანი იყო. კვირის დასაწყისში, თბილისში განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მოწესრიგდა ოს და ქართველ ჟურნალისტთა შეხვედრამ შედეგი გამოიღო. თუ ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციებს დავუჯერებთ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ სოკოითს „გული აუწყდა“ და თბილისში ოსების სტუმრობის შემდეგ ცხინვალში მიიწვია ქართველები, კერძოდ, განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელი ლალი მოროშინა და სტუმარს „საჩუქარიც“ მიუძღვნა. კოკოითმა ხელი მოაწერა ქართველი პატიმრების გათავისუფლების შესახებ დოკუმენტს (შენიშვნის აქტს) და ცხინვალის საპრობოლდანი ორი პატიმარი — გივი კუბლაშვილი და რუსიკო ცინცაძე გამოაყოლა ქართველებს. ცხინვალში წარმატებული სტუმრობის შემდეგ, **ლალი მოროშინას** ვესაუბრეთ.

— **რას ნიშნავს ოსების მხრიდან ასეთი თბილი ფესტი, ვითომ ქართულ-ოსური ურთიერთობაში ცინვალის გულაღვა?**

— ოსი ჟურნალისტების თბილისში ყოფნის შემდეგ ცხინვალში ძალიან თბილი სტატიები დაიწერა და ტელეეთერში საინტერესო გადაცემა გავიდა. კოკოითი კმაყოფილია, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების დასარეგულირებლად საქართველოს ხელისუფლებასგან ნაბიჯი გადაიდგა ყოველგვარი მესამე ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების გარეშე. ისინი მტკიცეწულად განიცდიან

ამ პრობლემის მოგვარებაში მესამე პირის ჩარევას.

— **თქვენი საუბრიდან გამომდინარე, ოსების პრობლემა სრულყოფილად არ შეგვადგინა და თითქოს სწრაფად მოგვარებადიც კია.**

— ვერაფრით შეგვადარებ ამ ორ პრობლემას ერთმანეთს. ოსებმა სურვილი გამოთქვეს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობისა და გვთხოვეს უახლოეს პერიოდში ცხინვალში ვესტუმროთ ქართველ ჟურნალისტებთან ერთად. თუ ერთად ყოფნა გვსურს, ერთად უნდა ვიყოთ კიდევ, საერთო სატყვევარსაც ერთად უნდა მოვუაროთ — ამბობდნენ ისინი და არა მგონია, სიტყვა გადაიქვანა.

— **ამ ბოლო დროს ოსებთან პრობლემის მოგვარების საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ვახტანგ რეჟულიშვილმა (როგორც შეიცვალა, სოციალისტების ლიდერი პეზიდენტმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში კიდევ ერთ წარმომადგენლად დანიშნა, მოგესვენებათ აქამდე ამ პრობლემით მხოლოდ ირაკლი მაჭავარიანი იყო დაკავებული). ერთად მოქმედებთ თუ?**

— განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს მიესალმება ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა ჯანსაღ ძალას და ისინი ჩვენთან ერთად იქნებიან თუ ცალკე, შეუძლებელია კონკრეტული გადაწყვეტილება. თუმცა, კონკურენტია ქვეყნის კეთილდღეობისათვის შრომაშიც მისასალმებელია.

ეკა ლომიძე

## „რაზე თბილისელი ვიპოვითავე, ხასტილასავე დაგანგრავთ...“

ინტერვიუ სამ ახალ ვიცე-პრეზიდენტთან

ქალაქის ახალი საკრებულოს დაყენებული მოთხოვნით, დედაქალაქის მმართველობაში ახალი ხსეები და სახელები გამოჩნდა. საგარეულ-მეურთყვევლ ძველ მერს, ვანო ზოდელავას ახალი მოადგილეები ჰყავს. დედაქალაქის სასიკეთოდ გამრჯე ჩინოვნიკებს გადაწვეული თბილისელები სასწაულს არც ახლებისგან მოელიან, თუმცა ქალაქის ახალი ხელისუფლება გვიამედებს, ცოტა გაგვიჭირდება, მაგრამ თუ ერთად ვიქნებით, ყველაფერი კარგად იქნებაო. ვნახოთ, „საქმენი მათინ“ გამოაჩენს ჩვენს დამაიმედებლებს.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ან თბილისის ერთ-ერთი ვიცე-მერი **გიორგი კარბელაშვილი** ძველ საშუალო კაბინეტში მოვიხსნულ:


— რომელი შენობის დანგრევისაც მოითხოვს სამოგადოებრივი აზრი, დავანგრევთ. დამნაშავეები პასუხს აგებენ კომპენსაციის გადახდით თუ სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიხედვით. როცა პარიზის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ბასტილია დანგრეულიყო, დანგრეეს. რაზეც თბილისელები მიგვითითებენ, ბასტილიასავე დავანგრევთ.

— ურთულესი ფუნქცია დამეკისრა, ძალიან მძიმე სამუშაოს შესრულება მომიწევს; თუ აქამდე პრობლემები უბრალოდ თვალში მხედებოდა, ამიერიდან მათ მოგვარებაზე უშუალოდ მომიწევს ზრუნვა. ასე რომ, ელენერგის, გაზის,

წყლის, დასუფთავების, სადარბაზოების, შესაკეთებელი სახურავების, ლიფტების, გამწვანების და სხვა პრობლემები ახლა უშუალოდ შეჩებება. ბავშვების გასართობი შესანიშნავი სპორტული მოედნები რომ წარსულს ჩააბარდა, დღეს ესეც ჩემი საფიქრელი გახდა.

— **ფიქრობთ, რომ თავს გაართმევთ მართლ სომ არ აღმოჩნდებიან?**

— არა, არ აღმოჩნდები მართლ. სამი



გიორგი კარბელაშვილი

ვიცე-მერი ვართ. თქვენ რა გგონიათ, ვანო ზოდელავას არ უნდა, საქმე რომ გააკეთოს? თუ პრინციპულად არ ვიქნებით, ათასი რომ ვიყოთ, მაინც არაფერი გამოვა. მთავარია პრინციპულობა და არაფერი აღარ გაჭირდება. დღეს უკანონობაზე პასუხი რომ მოსთხოვო ვინმეს, მოგიტანს საბუთებს და კანონიერებაში დაგარწმუნებს. მაგრამ...

— **დაბა, ამ „მაგრამმა“ დაგვალა, არადა არ გამოილია მისი გამოცენების მიზეზები.**

— მისაღებია კანონები, რომლებიც უკანონობას არ დააკანონებს. მერე კი ეს კანონები უნდა განხორციელდეს. უკანონოა უნდა დავანგრეოთ, საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს რადიკალურ გადაწყვეტილებებს. საკუთარ თავს მივეცი ექვსი თვე. თუ ამ დროში ვერ შევძლებ ჩემ მიერ გამოცხადებული გეგმების შესრულებას, ნავალ. თუ თვეში 10 მინიმოდანს არ გავაყვებ უზენებში, თუ ყველა ენობში ბავშვთა კუთხეების თუ ლიფტების და სახურავების მონტაჟისგან არ დავიწყებ, ავადგები და უარს ვიგვიჩემს თანამდებობაზე.

— **ირაკლი რუსთომავშილი, პროფესიით არქიტექტორი ახალ თანამდებობაზე დანიშნამდე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლად მუშაობდა. მისი საუბრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ახალ საგარეულში თავს ლაღად გრძობს, თბილისის მთავარი არქიტექტორის თავის სამომავლო გეგმებს ასე აყვავებთ:**

— უკვე მოფიქრებული მაქვს, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ქალაქის არქიტექტურული სამსახური, რომ მან თავისი ფუნქცია შეა-

სრულოს. ამიტომ ახალი თანამდებობის გამო თავს ჩვეულებრივად ვგრძნობ და ყოველგვარი მღელვარების გარეშე ვეზადები საქმის დასაწყებად.

— **თანამდებობაზე მოსვლისთანავე სერიოზული ნაბიჯი გადადგმის, როცა ყველა თანამშრომელს შესთავაზეთ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დანერგა. ეს „ახალი ცოცის“ აქტიურობის ბრალად თუ უბრალოდ ძველ აპარატს არ ენდობთ?**

— ეს ნაბიჯი მხოლოდ იმდენად გადადგმა, რომ მიმართა — არც ერთი სამსახურის სტრუქტურა არ უნდა იყოს კონკრეტულ პიროვნებებზე მორგებული. ის უნდა მოქმედებდეს საქმიდან გამომდინარე. შესაბამისად, საქმის მიხედვით უნდა შეირჩეს მომსახურე პერსონალი, ცალკეული პიროვნება. ამავე პრინციპით შეირჩევიან ჩემი მოადგილეებიც. კონკრეტულად ერთი მოადგილე გენერალური გეგმის კურირებას გასწევს, ძალიან გამოცდილი არქიტექტორია საჭირო ამ თანამდებობაზე. აუცილებლად იქნება მოადგილე მონიტორინგის სფეროში. იგი გააკონტროლებს ყველა მშენებლობას, გადახრას თუ უკანონობას და ა.შ. ამ საქმისთვის გვჭირდება ახალგაზრდა არქიტექტორი



დიდი საინჟინრო ცოდნით. მოადგილე დანიშნება ხელშეკრულებების და შეთანხმებათა დარგშიც, რომელიც აღზრდილი იქნება საბაზრო პრინციპებზე. აუცილებელი არ არის, რომ მაინცდამაინც არქიტექტორი იყოს. მთავარია, მენეჯმენტი იცოდეს. იქნება მოადგილე დიზაინის კურირების დარგშიც.

— **ეი. ძალიან ბევრი მოადგილე გეყოლებაო.**

— რამდენიც აქამდე იყო, იმდენივე იქნება, უბრალოდ, შევცვლით მათი მუშაობის მიმართულებას. თანაც არ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ არქიტექტორები გვყავდნენ სამსახურში. ეკონომისტები, იურისტები გვჭირდება. არქიტექტორის ადგილი მაინც კლანშეტან და სახელსნოში მგონია, სადაც ხელსაყრელი პირობებია შემოქმედებითი მუშაობისთვის.

— **უკანონო მშენებლობების შესახებ რას იტყვით? უკვე ისმის საზოგადოების ნაწილისგან პროტესტი კატეგორიული მოთხოვნით, რომ უკანონოა უნდა შეწყდეს და რაც ქალაქს ამბინჯებს, უნდა დაინგრეს.**

— რომელი შენობის დანგრევისაც მოითხოვს საზოგადოებრივი აზრი, დავანგრევთ. დამნაშავეები პასუხს აგებენ კომპენსაციის გადახდით თუ სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიხედვით. როცა პარიზის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ ბასტილია დანგრეულიყო, დანგრეეს. რაზეც თბილისელები მიგვითითებენ, ბასტილიასავე დავანგრევთ.

— **შეძლებთ ამ პათოსით მუშაობას? დაზღვეული ხართ ზენოლისაგან?**

— რაზეც ვსაუბრობთ, მხოლოდ მთავარი არქიტექტორის პრობლემა არ არის, მთელი ქალაქის პრობლემაა და თუ საზოგადოებრივი მხარდაჭერა იქნება, ვერათარი ზენოლა ჩემზე ვერ იმოქმედებს.

ქალაქის მთავარი არქიტექტორისაგან განსხვავებით, თბილისის ვიცე-მერი, მანამდე კავკასიის ბიზნესკოლის დირექტორი **პანბე შინბელი** ერთი შეხედვით, არ ლეღავს, თუმცა, როგორც ჩანს, გულგრილად ვერ უყურებს სიახლეს მის ცხოვრებაში და ჩვენთან საუბარში კატეგორიულად აცხადებს:

— მე მივედი ომში და უნდა ვიბრძოლო, თუმცა, ჩემი ასეთი განწყობა სრულყოფილად არ ჰგავს დონ-კიხოტის განწყობას. სირთულეები იქნება, მაგრამ არა დაუძლეველი. უამრავი პროექტი გვაქვს განსახორციელებელი, თუნდაც ქალაქის ჯანდაცვის სისტემაში, მისი მუშევრობით მოსახლეობას საშუალება ექნება მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას. შევებები განათლების და სხვა სფეროების პრობლემებსაც და თუ ხალხის მხარდაჭერა იქნება, მალე შეძლებთ სიტუაციის ლოკალიზებას.

— **თქვენ „სვალნიდელი დღის“ ერთ-ერთი მფლობელი ყოფილხართ. ჩინოვნიკური საქმიანობის გამო, გაზუთის თავს ხომ არ დაანაბებთ.**

— არა, რატომ უნდა დავანებო? გავით მუშაობაში დამეხმარება, მისი საშუალებით უკეთ დავამტკიცებ, რომ რაღაცის გაკეთება შეიძლება ამ ქალაქში.

ეკა ლომიძე





# შინაგანი ჯარები პანკისში ჩინების იარაღს ეძებენ, თბილისში კი საკუთარს ჰპარავენ

(დასაწყისი იხ. გვ. 8)

როდის დათვალდება საგამომძიებლო ჯგუფმა შეტყობვის ადგილი?

ფაქტობრივად, შეტყობვის მომენტიდან სამი დღის დაგვიანებით. თუმცა 9 დეკემბერს იქვე, ნანის ტერიტორიაზე, მიტოვებულ შენობაში, ნაგავში აღმოვაჩინეთ გატაცებული იარაღიდან ორი ავტომატი.

ექვმიტანილები თუ არსებობენ?

უკვე 10 დეკემბერს, დღით, დაგვიკავთ ორი ექვმიტანილი — ყარაულის უფროსის თანაშემწე, რიგითი ზერბეე ბლაგიძე და იმ დამეს სანყოფირი მდგარი ყარაული, რიგითი დათა კვარაცხელია. მათ დასახელებს ის პირები, ვისი ნაქვებიც მოხდა ეს დანაშაული და ვინც იარაღი გაიტანა. ჩვენ მათი ვინაობაც ვიცით, ისინი სამოქალაქო პირები არიან. რა სამხედრო დისციპლინაზეა ლაპარაკი, როდესაც დახურული სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე უცხო და თანაც სამოქალაქო პირები ასე თავისუფლად დასერიან? ახლა ექვმები დანარჩენ დამნაშავეებს და გატაცებულ იარაღს, გვაქვს გარკვეული მონაცემები მათ გამოვნილად.

რა ემუქრებათ ექვმიტანილებს?

მათ წარედგინათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 257 მუხლის 1 და 3 ნაწილით — ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, რაც საკმაოდ მძიმე დანაშაულად ითვლება და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 12 წლამდე. თუმცა ჩვენ მართლაც ირგითების დასჯა არ გვინტერესებს, შეიძლება მათ უკან იდგეს პირთა ჯგუფი, ან რომელიმე მაღალი თანამდებობის პირები, რომელთა მიზანია ასეთი უკანონო გზით ცეცხლსასროლი იარაღის ხელში ჩაგდება.

რის გამო შეიძლება დათანხმდნენ ექვმიტანილი რიგითები ამ საქმეში მონაწილეობას, ფულის გამო თუ ვინმემ აიძულა?

როგორც მე ვიცი, ფინანსური დაინტერესება არ ყოფილა, მათ შორის სხვა მოლაპარაკება იყო — ჯილდოდ მიიღებდნენ ავტომატებს. ეტყობა, ამიტომაც გადაამალეს ნანის ტერიტორიაზე ზუსტად ორი ავტომატი („კვირის პალიტრის“ ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ბოქლომი გადაჭრეს და იარაღი საწყობიდან გამოიტანეს, ორი ავტომატი გამტაცებლებმა ჯარისკაცებს დაუტოვეს — აბა, კარგად იყავით, ბიჭებო, და ღობიდან გადაეჭრნენ).

**ჩვენი ღონი:** იარაღის დატაცებასთან დაკავშირებული ყველაზე ტრაგიკული შედეგი სამხედროდ, კვლავ ვინაა ჯარებს უკავშირდება: რამდენიმე წლის წინ, საგარეჯოსთან, ნავთობსაქარის დაცვაში მდგარმა ორმა ჯარისკაცმა ჯერ პოსტზე მყოფი 5 თანამშრომელი მოკლა, შემდეგ ავტომატები გაიტაცა და გზაში ორი სამოქალაქო პირიც გამოასალმა სიცოცხლეს. 1998 წლის 12 ნოემბერს შინაგანი ჯარების რიგითმა კურტიანძემ სამხედრო ნაწილიდან 255 ცალი ავტომატის ვაზნა მოიპარა; 1999 წლის 15 დეკემბერს შინაგანი ჯარების ოფიცერმა მახვილამე ნაწილიდან წაიღო ავტომატი და ქუთაისში მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე სამ პოლიციელს ცეცხლი გაუხსნა; 2001 წლის 6 ნოემბერს შინაგანი ჯარების ერთ-ერთი ბრიგადიდან გატაცებულ იქნა „მკაროვის“ სისტემის პისტოლეტი და სისტემა. ეს საქმე დღემდე გაუხსნელია.

როგორც მკითხველი მიხვდება, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის საქმე სამხედრო ნაწილებში სავალალო მდგომარეობაშია და ეს მართლაც შინაგანი ჯარების რიგითებს ეხება. გატაცებული იარაღი შემდგომში შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში (სულაც ჩეჩნეთში) ხვდება, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ მათ ის კილბრებიც იყენებენ, რომლებიც ბოლო ხანს ასე მომრავლდნენ საქართველოში. სამხედრო ნაწილიდან გატაცებული ცეცხლსასროლი იარაღის მეტ ნილს ჩატარებული არა აქვს ბალისტიკური შემოწმება, ამიტომაც დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი ჰილბრით ან ტყვიის გულით კონკრეტული იარაღის იდენტიფიკაცია ძალიან ძნელია. ეტყობა, ამიტომაც, საქართველოში მოქმედი კილბრები დანაშაულის ადგილზე არ ადგებენ მკვლელობის იარაღს, როგორც ეს ხშირად ხდება საზღვარგარეთ.

როგორც აღმოჩნდა, შინაგანი ჯარებიდან მართლაც იარაღი როდი იკარგება. ერთი თვის წინ, 2002 წლის ნოემბრის დასაწყისში, უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურმა ოპერატიული ინფორმაციით დაადგინა, რომ შინაგანი ჯარების ორმა თანამშრომელმა, ქიმიური სამსახურის უფროსმა პატრიკიძემ და საინჟინრო და ქიმიური საწყობების უფროსმა ზემდეგმა კახაძემ 200 ცალი ქიმიური დამცავი ლაბადა ფარულად გაიტანეს საწყობიდან. მათ ლაბადები ნავთობის ბაზარზე მოვაჭრე ინდივიდუალურ მენარმეს ნარამანიძეს მიჰკარგეს და თანაც ჩალის ფასად — თითო 3 ლარად!

შეიძლება საქართველოს არ ემუქრებოდეს გლობალური მესამე მსოფლიო ომი და მასობრივი განადგურების იარაღისგან თავდაცვა, მაგრამ ვინ არის დაზღვეული, რომ მსოფლიოში ასე მომრავლდებოდეს ათასი ჯურის ტერორისტმა არ მოისურვოს ვაშინგტონის მხარდაჭერი თბილისის დასჯა? განა არაფერში გამოგვადგებოდა ის ქიმიური დამცავი ლაბადები, რომლებიც ნავთობის ბაზარზე მითევნებებს უნდა ეყიდათ?

მთავარმა სამხედრო პროკურატურამ შინაგანი ჯარების სარდლობას სთხოვა შეივსებინა რეგისტრაციის კომისიის შექმნა ქურდობით გამოწვეული მატერიალური ზარალის ოდენობის განსასაზღვრავად, თუმცა პასუხი არ მიუღია.

## საერთაშორისო განგაში „სკადების“ გამო



**ჩვენი ღონი:** გემის ტრიუმფში, ცემენტის ქვეშ, აღმოჩნდა ბალისტიკური რაკეტის 15 კონტეინერი. მათგან ნაწილი მოქველებული, ოპერატიული ტაქტიკური დანიშნულების Scud-B-ს ტიპისა იყო, რომლის ფრენის სიშორე 300 კმ-ს არ აღემატება, დანარჩენები კი, საშუალო სიშორის მოდერნიზებული Scud-D იგივე „ნოდონ“-ები გახლდათ, რომელთა მოქმედების რადიუსი 1300 კმ-ს აღწევს.

გასულ კვირას სპარსეთის ყურის სიახლოვეს ბალისტიკური რაკეტებით დატვირთული გემის დაკავება კინაღამ საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა.

სწორედ ბალისტიკური რაკეტა რჩება დღეს ერთადერთ შორი მოქმედების იარაღის სახეობად, რითაც შეიძლება სადამპყსენმა ამერიკელთა შემოჭრის საპასუხო დარტყმები განახორციელოს ახლო აღმოსავლეთის მეზობელ სახელმწიფოებზე, პირველ რიგში კი ქუვეითსა და ისრაელზე.

არადა არაბეთის ზღვაში, ნეიტრალურ წყლებში, სწორედ ამ კლასის რაკეტებით დატვირთული უდროშო გემი გააჩერა ესპანელთა საჰაერო დესანტი. მხოლოდ შემდეგ გაირკვა, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და პენტაგონის სამხედრო დაზვერვა ჯერ კიდევ ჩრდილო კორეის საზღვაო პორტიდან, სადაც რაკეტებით დატვირთა გემი „სო-სანა“, ადევნებს თვალს მას კოსმოსური სადაზვერვო თანამგზავრების საშუალებით. ამერიკელებს ეჭვი ჰქონდათ, რომ კორეელებმა კომუნისტებმა „სკადის“ ტიპის რაკეტები სადამპყსენის მიზნად დაგეგმილ ერაყისკენ ჰქონდა გზები აღებულნი.

მხოლოდ დანვრის შემთხვევით და დიდი პოლიტიკის ჩარევის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ჩრდილოკორეული „სკადები“ მიემართებო-

და არა ერაყისკენ, არამედ იემენისკენ, რომელსაც ისედაც აქვს შეიარაღებაში „სკადის“ გასაშვები 21 მობილური დანადგარი. ის გარემოება, რომ „სკადები“ გემის ტრიუმფში გასაშვები დანადგარების გარეშე მიჰქონდათ, უფრო ამტკიცებს იემენელების პოზიციას.

სხვა, ამ რეგიონის სახელმწიფოს მიმართ თეთრი სახლი უფრო კატეგორიული იქნებოდა, მაგრამ იემენის რესპუბლიკა, ისევე როგორც საქართველო, ვაშინგტონში აღქმულია, როგორც საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში მოკავშირე ქვეყანა. ამიტომაც ამერიკელებმა იემენს დაუბრუნეს ნაყიდი „სკადები“, თუმცა სიტყვა ჩამოართვეს, რომ მესამე ქვეყანას არ გადასცემდნენ. სამაგიეროდ, თეთრი სახლის მთელი რისხვა კომუნისტურ ფუნქციონირებას დაატყდა თავს — აშშ-მა ჩრდილო კორეა კიდევ ერთხელ დაადანაშაულა სარაკეტო ტექნოლოგიის უკანონო გავრცელებაში, რასაც მალე შეიძლება ახალი საერთაშორისო სანქციები მოჰყვეს ამ აზიური ქვეყნის მიმართ.

საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტების შემდგომი გავრცელება სამხრეთ კავკასიის რეგიონის საზღვარსა და საქართველოს ინტერესებში შედის. დღევანდელ არეულ მსოფლიოში არავინ იცის, ერთ მხვენიერ დღეს რომელი ტერორისტი ჩაიგდებს ხელში „სკადის“ გასაშვებ დანადგარს, რითი დატენის „სკადს“ და საითკენ გაუშვებს მას.

## შინაგანი ჯარები უკვე „კალაშნიკოვებს“?

ბრძოლა ლეგენდარული ავტომატის წარმოების პაგენისთვის ახალ ფაზაში შედის

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საპატენტო კომისია აკვირავს მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ ვის ექნება „კალაშნიკოვის“ წარმოების უფლება.

ამ ლეგენდარულ ავტომატს წელს 55 წელი შეუსრულდა, მაგრამ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მის კონსტრუქტორს, მიხაილ კალაშნიკოვს არ გააჩნდა პატენტი ავტომატზე, რის გამოც მსოფლიოს ათობით ქვეყანა მას თამამად უშვებდა და საბჭოთა კავშირი მილიონებს კარგავდა.

ამჟამად პატენტის მფლობელი პოლდინგი „იჟმაში“ (სადაც კალაშნიკოვი მუშაობს), რომელიც ვოლგისპირეთის ქარხანა „მოლოტისგან“ ითხოვს როიალის (ინტელექტუალური კუთვნილების პატრონისთვის პროცენტს) გადახდას.

ეს კი დაახლოებით 380 მლნ რუბლია, რომელსაც „იჟმაში“ „მოლოტს“ იმიტომ ედავება, რომ ამ უკანასკნელმა „კალაშნიკოვის“ სისტემის ტყვიამფრქვევებისა და სანადირო კარაბინის „ვეპრის“ დამზადებისას AKC-74 ავტომატის წარმოების პატენტით დატვირთული ტექნოლოგია გამოიყენა.

თავის მხრივ, „მოლოტს“ ჩივის — საერთოდ გაუუქმეთ „იჟმაში“ AKC-74-ზე პატენტის რეგისტრაცია, რადგან ამ იარაღს

მანამდე ჩვენც ვანარმოვებდით. თუკი „იჟმაში“ მართლაც გაუუქმებენ ამ პატენტს, მაშინ იგი 380 მლნ რუბლს კი არ წაართმევს „მოლოტს“, არამედ დაკარგავს 16 მლნ დოლარსაც, რადგან მსოფლიოს სხვა ქვეყნები აღარ გადაუხდიან როიალს.

„კალაშნიკოვის“ გამოშვებაზე პატენტი მსოფლიოს 19 ქვეყანას გადაეცა, თუმცა როიალს რეალურად მხოლოდ ჩინეთი, თურქეთი და სლოვენია იხდიან. სულ მსოფლიოში 55 წლის განმავლობაში 70-100 მლნ „კალაშნიკოვის“ დამზადებული, მწყობრში არანაკლებ 50 მლნ მანქანა იქნება. „კალაშნიკოვის“ პირდაპირი მოწინააღმდეგე ამერიკული „შვი შაშხანა“ — M-16 არა

83 წლის მიხაილ კალაშნიკოვის პატენტის ფულს „უტახვენ“



უმეტეს 7 მლნ ერთეულის რაოდენობითა გაკეთებული. რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

## სამხედრო ალიალოსკოპი

### თბილისი რუსულ სამხედრო ბაზაზე „სოფის“ რაუტოვს

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება რუსული სამხედრო ბაზებისგან გადასახადების ამოღების შესახებ, ამ მხრივ საქმე არ დაძრულა. რუსეთი კვლავ აჭიანურებს მოლაპარაკებებს ბაზების გაყვანის შესახებ თარიღის შეთანხმების თაობაზე. ამის გამო თბილისი ერთ-ერთი ულტიმატუმს უტყობს მოსკოვს — თუკი მომავალი წლის პირველ ნახევარში საბოლოოდ არ დადგინდება ამ ბაზების გაყვანის დრო, მაშინ რუსეთმა სულ ცოტა, 700 მლნ დოლარი უნდა გადაიხადოს ბაზების აქამდე ფუნქციონირებისათვის.

სხვა მხრივ, უკვე აღარც NATO მალავს, რომ მას გაუჭირდება საქართველოს სრულფასოვან ნევრად თავის რიგებში მიღება, თუკი აქ დარჩებიან უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები.

გამოდის, რომ ეს რუსული სამხედრო ბაზები, თითის გაუხმრველად, თავიანთი აქ ყოფნით, მნიშვნელოვნად შეუშლიან ხელს საქართველოს NATO-ში განწევრების პროცესს.

### სადაც ჰუსეინი რუსულ „ლუკოილს“ იშორებს და ამერიკულ ომს იახლოებს

კრემლმა ყურს არ დაუჯერა, როდესაც შეიტყო, რომ ერაყელებმა უარი თქვეს ცნობილი რუსული კომპანია „ლუკოილის“ პროექტზე ამ ქვეყანაში ნავთობის მოპოვების შესახებ.

„კვირის პალიტრა“ ადრეც აღნიშნავდა, ერაყში მოსალოდნელი ომი სწორედ ნავთობის მოპოვებასთან იქნება დაკავშირებული. ერთ-ერთი არგუმენტი, რის გამოც რუსეთი, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი, არ ეთანხმებოდა ამერიკელთა შეტყვის დაწყებას ჰუსეინზე, ერაყის ნავთობში ჩადებულ უდიდეს რუსულ ინტერესებს გახლდათ.

სადაც ჰუსეინი არც ისე მომხიბვლელია, რომ მარტო ლაზაზი თვალის გამო დავიკავთო, — აღარ მალავენ რუსეთის მთავრობაში და ექვობენ, რომ ერაყი მოსკოვთან ახალ პოლიტიკურ თამაშს იწყებს. თუ გინდათ ალვადგინოთ და გაგზარდოთ რუსული კომპანიების ნილი ერაყულ ნავთობში, ყველდობე გააკეთეთ, რომ ამერიკამ არ დაგვარტყასო, — მიანიშნებს ბაღდადი.

### ქალი-საიპერი სხეულად „ნანა“ რუსეთის რისხვად იქნა

ჩეჩნეთის სოფელ ცენტროლისთან კვლავ გამოჩნდა საველე მეთაურ მალიკის (იგი ეროვნებით რუსია, თუმცა მასზე დაუნდობელი მტერი რუს ფედერალებს ჩეჩნეთში ნამდ-



ვილად არ ჰყავთ) შეიარაღებული რაზმი, რომელიც აგრძელებს დივერსიულ თავდასხმებს რუსი სამხედროების ავტოკოლონებზე.

როგორც ირკვევა, მის რაზმში ისევ იბრძვის ქალი-საიპერი, სახელად „ნანა“. რუსი მხვერავების ინფორმაციით, იგი ჩეჩნეთში ადრეც იბრძოდა, თუმცა ცოტა ხნით დასავლეთ უკრაინაში ისვენებდა. სახელი „ნანა“ სულაც არ ნიშნავს, რომ ჩეჩნეთის მხარეზე მებრძოლი ქალი-საიპერი მაინცდამაინც ქართული წარმოშობისა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ იგი პროფესიონალია და დღემდე ხელში ვერ ჩაიგდეს რუსმა სამხედროებმა. მის გასანადგურებლად შექმნილია სპეციალური ანტი-საიპერული ჯგუფი, რათა საიპერულ დუელში მაინც შეძლონ ამ ლეგენდარული „ნანას“ ლიკვიდირება.

### ქუვიითი 300 ამერიკელი რაიფარი დაინაშა

საქვეყნოდ არის ცნობილი პენტაგონის მანიაკური შიში, რომ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედი მისი სამხედროები არავინ დანაშალოს. ამიტომაც ამერიკელი ჯარისკაცების ალჭურვილობაში ავტომატური შაშხანის გარდა, აუცილებლად შედის სასმელი წყლის ბოთლებიც, რომელთა მიმწოდებელ ფირმას განსაკუთრებული გულმოდგინებით, ტენდერის შედეგად ირჩევენ. მაგრამ მიუხედავად სიფრთხილის ამ ზომებისა, ქუვეითში განთავსებული 300 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მაინც მოინამლა, მათგან ათზე მეტი მძიმე მდგომარეობაშია. ამერიკული კონტრდაზვერვა ამომებს იმ ფირმას, რომელიც სასმელ წყალსა და საკვებს აწვდის მათ სამხედროებს. პენტაგონში სულაც არ გამოირცხვენ, რომ მონაწილე დეგემ ან ტერორისტთა ჯგუფმა მოწინააღმდეგე ნივთიერება გაურია იმ საკვებს, რასაც სამხედრო ნაწილში მყოფნი მიირთმევენ.

შესავალი, ანუ ფუტკრის ნაკენი

სოფელ ხაბუშესთან, იქ, სადაც ჩხორონწყუსა და ნალენჯიხის რაიონების საზღვარი გადის, მდინარე ხობისწყლის ერთ ადგილას მკვეთრად უხევს და მერე თითქოს არტახებიდან დაიხსნა თავი, ვაკეზე იშლება და წყნარი დინებით აგრძელებს დასურსებულ მოგზაურობას. იქ კი, მოსახვევში, ამ 60-70 წლის წინ მდინარე ვინრო და იმდენად ღრმა იყო, რომ ცხენიან კაცსაც ფარავდა. პოდა, ზაფხულის ცხელ დღეებში დიდი და პატარა წყალში ყურყურებულადა. იმ დღეს კი, საიდანაც ჩვენი მოთხრობა იწყება, სხვებთან ერთად 20-22 წლის სამი ახალგაზრდაც აწონებდა თავს მდინარის ნაპირზე გამოუფენილ გოგონებს წყალში ხანგრძლივი ყვირით, რაც, როგორც ჩანს, კარგად გამოსდოდათ. ამის დასტური გოგონების შემოფოთებულ სახეებზე იკითხებოდა — ე, მანდ რომელიმე არ დაიხრჩოსო. სხვებზე მეტად კი ერთი მათგანი ღელავდა. საბაბიც ჰქონდა — მისი კლიმენტი სხვებზე მეტხანს რჩებოდა წყალქვეშ და გოგოს გული უსკდებოდა შიშით. ერთი პირობა ისე შეშინდა, საფრთხე დაავიწყდა და დახაფრულმა შეპკვილა კიდევ-მეგობრის კითხვაზე — ასე რამ შეგამინაო, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა. — ფუტკარმა მიკბინაო, ძლივს ამოილულა და იქვე წყლისპირას მდგარ მალალ ხეს მიყვარდო. ფუტკარი კი თითქოს მისი სახელის ხსენებას ელოდებოდაო, იმავე წამს ისე დაურია მობანავევებსა და მდინარის ნაპირზე შეყრილ ხალხს, ნივილ-კვილიმა ერთბაშად შეძრა იქაურობა. ეს რომ არა, დაქალები აუცილებლად ჰკითხავდნენ გოგუცას — აბა, ნაკენი გვანახებო და მაშინ? ახლა კი ყველა თავის გადარჩენაზე ზრუნავდა. ვიღაც ხერხეს ამ სანახაობის მოწყობის მიზნით მდინარის ნაპირას, პატარა პლაჟზე, რამდენიმე წვეთი დაესხა. თავლის სუნმა ფუტკარი მიიზიდა, მერე იმ ფუტკარს ვიღაცამ ფეხი დაადგა და გასრისა. ამაზე მეორე ფუტკარი გადართია, რომელსაც ხელი აუქნია. ხელის აქნევა ასე არ უნდაო და ფუტკრის ვეებრთულა გუნდი დაურია იქ მყოფთ. დაფეთებული ხალხი დიდძალ-პატარაანად მდინარეში გადაეშვა. ასე შემთხვევით მოხვდა გოგუცა კლიმენტის მკლავებში. როცა თვალი გაახილა, პირველი, რაც ინატრა, ის იყო — ნეტავ არ დასრულდებოდა ფუტკრის შემოტევაო, მაგრამ ფუტკარმა საკმაოდ მალე დაიხია უკან. ადგილზე კი დაკუნთილ-დასიკვებული მობანავენი დარჩნენ...

— ასე თავპირდასიკვებული როგორ უნდა მივიდეთ ხვალ გამოცდაზე? — შესჩივლა კლიმენტის ორიდან ერთ-ერთმა. — როგორ და ცოდნით შეიარაღებული. ვის აინტერესებს შენი თავ-პირი, ჩემო შალვა, — მიუგო კლიმენტი და თვალი მდინარის დაღმა მიმავალ სატრფოს გააყოლა. მან ჯერ არ იცოდა, რომ ამ წუთიდან ზუსტად თორმეტ წელს უნდა გაეველო გულის სწორთან მომდევნო შეხვედრამდე.

კარელიდან სოლოგეკიმი

ასე დაკუნთილ-დაოსებულ ბიჭები სახლებში დაბრუნდნენ თავიანთ ნივნებთან. ხვალ ისინი ბოლო გამოცდას აბარებდნენ და რამდენიმე დღეში ჩხორონწყუს პედაგოგიური ტექნიკუმის პირველი გამოცდების სხვა მოსწავლეებთან ერთად, დიპლომებსაც მიიღებდნენ, მაგრამ იმ ღამით სამივენი დააპატიმრეს. მართალია, საქართველოში ჯერ არ ამოვარდნილიყო ავადმყოფთა სახლი 1937-ის ქარიშხალი, მაგრამ პირველი სუსხი რამდენიმე წლით ადრეც იგრძნობოდა. ბრალდება ჩვეულებრივი, ძალზე ხანალური იყო. ანტისაბჭოთა ჯგუფის შექმნა. დასმენის პატივი იუნჯებოდა, რომ ორი კვირის წინ, როცა ისტორიის მასწავლებელმა მოსწავლეებს განუმარტა კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებაირასტრე სერგეი მირონის ძე კიროვი ხალხის მტრებმა, ტროცკისტებმა მოკლესო (არადა, კიროვის სიკვდილი დღემდე გაუსხენია. — ვ.გ.), კომკავშირეულმა შალვა ზედანიამ მასწავლებელს ჰკითხა — რატომ უწოდებთ კიროვის მკვლელებს ხალხის მტრებო. ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ შალვა ზედანი და მისი ორი განუყრელი მეგობარი კლიმენტი მამფორია და ვლადიმერ ფორჩხია დაეპატიმრებინათ...

გამომძიებელი ერმინე ციმინტია ხელში ათამაშებდა ტყვიებით დაძევილ რევოლვერს — ახლა არ მითხრო, არ ვიცი და არ გაიგონია, რა ჰკითხა მასწავლებელს ზედანიამ, თორემ შუბლში მოგახლი ამ ტყვიებს, ხომ იცი ეს, ბიჭო? — არა გმონია, ასეთი რამ ეთქვას შალვას. მსგავსი არაფერი მომისმენია მისგან, არც ტექნიკუმში და არც მის გარეთ.

ორი თვე აწაგეს ბიჭები. სამეფო მათგანს ეგონა, მარტო მე დამიჭირესო. მხოლოდ „საქმის დამთავრების“ შედეგად, ზუგდიდის ციხეში აღმოაჩინეს ერთმანეთი. 1931 წლის 7 იანვარს კი კლიმენტი მამფორია კარელიძემ, შალვა ზედანი — ვიატკაში, ხოლო ვლადიმერ ფორჩხია დასავლეთ ციმბირში გადასახლეს სამ-სამი წლით.

კლიმენტი მამფორიას მოგონებინდა: „ღმერთს მადლობას ვნირავედი, ასე იოლად რომ გადავრჩი. ვფიქრობდი, სამი წელი რაა, ოცდახუთი წლის დავბრუნდები შინ და ყველაფერს მოვასწრებ-მეთქი, მაგრამ...“


გამგზავრების წინ ვიღაც ღვთისწიერის დახმარებით მამამ მოინახულა. ის დრო იყო, საქართველოშიც რომ ციოდა და ბოლოდ თბილისი ტანსაცმელით, დედადამე ფორჩხია დასავლეთ და ხელთათმანებით, პირსახოცებითა და საპნით, ნატეხი შაქრით და ათასი წვრილმანით გაკვებული ჩანთა მიუტანა. კლიმენტი მეგრული

კუბატები და ხილი იქვე, ვაგონში, დაურიაგა პატიმრებს და იმ იმედით, მალე დაებრუნდებო, მორჩილად გაჰყვა ბადრას. ვიატკაში პატარა დასახლება ჩორნო პოროვის მახლობელ საკარანტინო ლაგერში გაამწყეს. ლაგერი ალბათ იმიტომ ერქვა, რომ მინსხედა ნაწილი სამმაგი მავთულმალარით იყო შემოზღუდული, თორემ სინამდვილეში ადამიანები პატარ-პატარა მინურებში ცხოვრობდნენ. კლიმენტის ერთ-ერთ ასეთ მინურში უკრეს თავი. ერთბაშად სუნთქვა შეეკრა. წამით იფიქრა, გაზის კამერაში შემაგდესო. ველარაფერს ხედავდა, მხოლოდ ნახშირის ღუმელი ზუტავდა, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, იმ სიმყრადის მიზეზიც გახლდათ, აქ რომ გამეფებულყო. მურა ნახშირის ყვითელ კვამლს ღუმელზე გასაშრობად მიფიცილებული სველი წინდებისა და ფესხავევების სუნიც ემატებოდა.

ღუმლის გვერდით, შემალღებულ ადგილზე ერთიანად გამურული, ნევრანავევლიანი, ასე 40-45 წლის, ტყავში გახვეული ადამიანის-მაგვარი არსება იჯდა. მაგრამ თვალი უპეტან ფართო ნაიარევი აწნდა, რომელიც ნიკაპთან ჭუჭყიან ნევრში იკარგებოდა.

— ვოტ ი პერედაში პალუჩილი! — სიხარულით შეპკვილა დამხედურთაგან ერთ-ერთმა, რომელიც შეგვერას ფეხებთან მიკუნთულიყო და კლიმენტის ჩანთას მიეტანა.

— ოტსტავიტ! — ისე შეუღრინა შეგვერამ, კლიმენტის ერთიანად ააკანკალა. მერე იმავე ხმამ იქვე მდგომ, ჩაცმულობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გაურკვეველი სქესის არსებას უბრძანა, კლიმენტის ჩანთა მომანოდო და თვალის დახამახამებში დააცარიელა იგი.



„იზნაირ სამშობლოს ჩა უთხარი, ამას რომ მოგთხოვს...“

რაც კარგი და ფასეული იყო, თვითონ დაიტოვა. დანაჩენი იქ მყოფთ მიუყარა და ახლა კლიმენტის გაჩრევა ბრძანა. კლიმენტი მხოლოდ ახლა აღმოაჩინა, რომ შეგვერას გარდა, იქ კიდევ შვიდი კაცი იყო. მართალია, ოთხი მკვდარივით მიგადებულიყო იატაკზე და სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ, მაგრამ მაინც მიათავა დანაჩენებს. ყველაფერი გახადეს საბრალოს. ნიფხავ-პურანავიც არ შეარჩინეს. ფესხაცმელსაც კი ლანჩუბი აძვირეს და მერე ისიც, ამ რვიდან ერთ-ერთს ერგო წილად. გაჩრეკვით ყოველ მეორე დღეს ჩსრეკდნენ, მაგრამ ამის მაგვარი ჯერ არ უნახავს. ბანაკის ზედახედეველები აქამდე იმისათვის სცემდნენ, შემთხვევით ჯიბეში ჩარჩენილი ასანთის ღერს ან ქინძისთავს თუ უნახავდნენ. ახლა ამით იმიტომ გალახეს, რატომ ფული ან ოქრო არ გაქვს გადაამალულიო. მოვიგინებთ გონზე რომ მოვიდა და იქაურობასაც თვალი მიაჩვია, აღმოაჩინა, რომ მისი ტანსაცმელი სხვებს ჩაეკვიათ. თავისი გამოწაცვალი ძონძები კი კლიმენტისთვის მიეყარათ. დაპატიმრების პირველი ღამის შემდეგ მეორედ იგრძნო, რა უწესოა მარტოსული ადამიანი მასთან რამდენჯერმე აღმატებულ ძალასთან. არადა, ამ გინების მსგავს არსებებს ერთდროულ-

ტრაცია. მოვიგინებთ, კლიმენტი მამფორია კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში უხტის ლაგერში გადაიყვანეს. ისევ ყინვა, მინურები, ჭლეკი და სიკვდილი, დამცირება და ბრძოლა გადარჩენისთვის. ის ხუთი წელიც რომ ჩაათავა, უთხრეს, — ახლა ომი და როგორ გაგათავისუფლოთ, სანდო არ ხარ, გვიღალატებო და კიდევ ოთხი წელი აყურყუტეს ნავთობის სარეწებში.

კლიმენტი მამფორიას მოგონებინდა: „ვერჯერ ვითხოვეთ ფორჩხის წინა ხაზზე გაგავაგზავნეთ-თქო, მაგრამ სამშობლოს მოლაღატეებს იარაღს ვინ გვანდობდა. პასუხს, გაზაფხული იდგა, ყინვა ძვალ-რიბლში ატანდა. ციხის უფროსის ბრძანებით ათასობით პატიმარი ეზოში გაგვამწყვიტეს. არავინ იცოდა, რა ხდებოდა. რაღაც უბედურების მოლოდინში დაზაფხულები ვიდევქით. ამ დროს ეზოში ცისტერინიანი ურიკები შემოაგორეს. სასტიკ რეჟიმს შექვეულები თითო-თითოდ გადაპყავდათ ურიკებთან, რკინის „კრუშკებში“ არყას უსხამდნენ და ნაჭერ პურს ანვიდნენ. ასე შევიტყვეთ ომის დამთავრება. თუმცა, ჩვენი ომი... გადარჩენისათვის, კვლავაც გრძელდებოდა. 1946 წელს, ანუ 12 წლის შემდეგ, როგორც იქნა, გამათავისუფლეს.“

ხანმოკლე დაბრუნება

როგორც იქნა, განანაშები, ნათრევი და ნაგვენი ოჯახს დაუბრუნდა. თან ერთად-ერთი სიმდიდრე, — 12 წლის განმავლობაში გოგუცას მინერული ყველა წერილი ჩამოიტანა და არც ის დაუმალავს, ამ ბარათებმა გამაძლებინაო ჯოჯოხეთში ამდენ ხანს. პატარა, ხელმოკლე ოჯახს რომ შეეფერება, ისეთი ქორნილი გადამხადეს. ერთი დღე არ გაჩერებულა უქმად. კოლმეურნეობაში 1 ჰექტარის სიმინდი გაიპიროვნა და სარევიდო მოსავალი მოიწია. მერე მუხურის მეფუტკრეობის მეურნეობასაც წააშველა ხელი. ფუტკრებს შეურიგდო, სუმრობდა — იმ 12 წლის წინანდელ დღეს გულისხმობდა, ფუტკარმა რომ უმოწყალოდ დაკბინა. ახლა კი ისე შეგინა ის მწერს, ზაფხულის ცხელ დღეებში ნელ-ნელა მიშველი მუშაობდა სკვებთან. მალე შეამჩნიეს, — რასაც ხელი მოჰკვდა, ყველა საქმე გამოუდისო და ამის გამო ეჭვით დაუწყეს ყურება. ერთი წლის იყო პირველი ბიჭი, რამდენიმე თვეში მეორე შვილიც უნდა შესქნობოდა, მაგრამ 1949 წლის თებერვალში კვლავ დააპატიმრეს (რატომღაც მიღებულა, რომ რეპრესიების წლად 1937 წელი ითვლებოდა, არადა 1949-შიც იგივე განხორცილდა, ოღონდ უფრო მცირე მასშტაბით, რადგან დასაჯებები და დასაჭერი უკვე ცოტა იყო დარჩენილი. — ვ. გ.) ამჯერად, კრასნოიარსკში გადასახლეს... საამუდამოდ. არავის შეუწუხებია თავი აქსნა, მაინც რატომ, რისთვის? კომუნისტურ რეჟიმს 12 წლის ნაცისარი კაცის უმინოდა და თავიდან მოიცილა. ხუთასი კაცი შეჰყარეს მაშინ ემელონში კლიმენტისთან ერთად და კრასნოიარსკში გადაისროლეს. აღარც შინ დაბრუნების იმედი, აღარც ცოლი, აღარც შვილები. მოხუცი მშობლების ანაბარა დატოვა ცოლ-შვილი და ნავიდა... მოუხვედით. თუმცა ერთი იმედი მაინც გაჰყვა. ეს ბელადი იყო, დიდი სტალინი, რომელიც აქამდე არ შეაწუხა, მაგრამ ამჯერად მისწერს და თანაც ქართულად. აბა, ვნახოთ, რა დღეს დააყრის მის დაამჭერებს? ჯერ დამაცადონ, ფიქრობდა დღემდე და კრასნოიარსკში ჩასვლისთანავე მისწერა კიდევ.

არავინ იცის, ნაივითხა თუ არა ვინმემ ქართულად დაწერილი წერილი, ან კი რა წაკითხვა უნდოდა ლაგერიდან გაგზავნილს. პასუხი სტანდარტული იყო: „პისმო, ადრესოვანწო ნა იმია

სტალინა, პოლუჩენო კომენდატურით კრემლია, დელო ვაშე პერსონალურნი, ვი სოუფდენი პრავილნი. სიდიმე ი მოლოჩიტე. სტარში სოვეტნი იუსტიციი — ტიუფავე“. იჯდა და ღუმედა. სხვა რა გზა ჰქონდა, თუმცა არც კი იცოდა რისთვის არსებობდა, რა აზრი ჰქონდა მის სიცოცხლეს. კლიმენტი მამფორიას მოგონებინდა: „1953 წლის გაზაფხული იდგა. ერთ სუსხიან დილით ლაგერის უფროსის ბრძანებით ეზოში გაგვამწყვიტეს. თუმცა ამჯერად რკინის ცისტერინები აღარ შემოუგორებიათ ურიკებით, სუნთქვაშეგუბებულ პატიმრებს გაუწყვეს, რომ გარდაიცვალა დიდი ბელადი. ბანაკში საშინელმა სიჩუმემ დაიხადგურა. ტუსაღების უმრავლესობა მუშაობზე დაეცა, გაისმა ტირილისა და გოდების ხმა. ვიღაცამ ისე იბლაგლა, რომ ყინვისაგან შეჭირბულული ნაივებიდან ყვევებმა სხვა მხარეს გადაინაცვლეს შემზარავი ჩხავილით.“

ცხოვრება კი მაინც გრძელდებოდა... ამჯერად ბელადის გარეშე. თუმცა პატიმრების ყოფა ხელ-ნელა გაუმჯობესდა. ბანაკში რეჟიმი შერბილდა და უკვე ადგილობრივ სარეწებში სამსახურის უფლებაც მისცეს. კლიმენტი მამფორიაც სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და თავი კვლავ ადამიანად იგრძნო. ერთ ზაფხულს, დაწესებულებაში, სადაც ის მუშაობდა, ფუტკრის სანამენე პაკეტები მიიღეს. პაკეტებს გარედან გამგზავნის მისამართი ეწერა: „გრუზინსკაია სსრ, ჩხორონწყუს რაიონ, სელო მუხური, შველოვოდ-ჩესკი სოფოზო, პერენილაუტისია ვ 57 სტრანას მირა“. დაჯდა და იტირა. ის დღე გაახსენდა, ხობისწყალზე რომ დაკბინა ფუტკარმა ის და მისი მეგობრები. საბრალო ვალონია ფორჩხიას 1924 წელს მამა დაუს-

ვრიტეს ბოლშევიკებმა, თვითონ კი დასავლეთ ციმბირში დაიკარგა. შალვა ზედანიასი კი არაფერი იცოდა. ასე დროდადრო ასხენდებოდა თავისი სამშობლო. ოღონდ ეგ იყო, დაბრუნებაზე ფიქრს თავი ანება. სულერთია, სამუდამო გადასახლებაშისიჯილი კაცისთვის აზრი არ ჰქონდა ოცნებას და იქვე შექმნა პატარა, მყუდრო ოჯახიც. სამი შვილი შეეძინა და სამივე ღირსეულ მოქალაქეებად აღზარდა. მერე კი, როცა სამივე შვილი ინსტიტუტი დაამთავრა და თავიანთი ოჯახები შექმნეს, გულმა კვლავ საქართველოზე გამოუწია, მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის გაქმუცხადეს, — რეალიტირებული ხარ, დაგამტყვეო, რომ ბრაბი არ მიგიძღვის საბჭოთა კავშირის სანადალდეგო შეთქმულებაში და სადაც გინდა, იქ წადიო... დიხს, ასე იყო ომობრცდაათწლიანი გაცემბირების შემდეგ.

ეპილოგის მაგიერ

კლიმენტის შვილის, ვახტანგ მამფორიას მოგონებინდა: „...სოფელში არაფერი იმალედა. სოფელმა იცოდა, ვინ იყო მამაჩემისა და მისი მეგობრების დამამენი და დიდი და პატარა ზიზლით უყურებდა ამ ადამიანს. საშუალო სკოლა რომ დაფათავრე, როგორღაც შემთხვევით, ჩემს მეგობრებთან ერთად, ამ კაცს გადავეყარე მეზობელ სოფელში. თუმცა მასთან შეხვედრა არასოდეს მიფიქრია. მომიახლოვდა და სათვალეების მიღმა ბეტი მურა პირდაპირ მე მომამყრო, მიყურა, მიყურა და ბოლოს, გველის სისინით გამოსცხა: აქ რა გინდა, ჩქარა წადი აქედან, თორემ მილიციას დაუშახებო და ცალი ხელით საყლოში დამქაჩა. ვერ მოვიტონე და ისეთი ვუთავაზე სახეში, იქვე, ჩემს ფეხებთან გაგორდა. მერე კი სოფლის ბირჟისკენ გავარდა ყვირილით, მიშველეთ, მალავენიო. არავინ გამოპომაგებია. შეთქმულებებით ყველამ ზურგი აქცია.“

მეორე დღეს მისი საჩივრის საფუძველზე მილიციაში დამიბარეს, თუმცა, არ დაუშაპატიმრებიათ. საქართველოში ჩრუშოვიც „ოტტეკელი“ იდგა.

P.S. ოთხმოციანი წლების ბოლოს მოტეხილი და მოტერებული კლიმენტი მამფორია საქართველოში დაბრუნდა. ის დრო იყო, ეროვნული მოძრაობა რომ აზვირთდა და ყველას გვეგონა, გვეშველაო. თუმცა მალე ამ ამბებს ცხრა აპრილის ტრაგედია მოჰყვა, მერე აფხაზეთის ომი და სამეგრელოში კრიმინალთა თარევი. უყურა მოხუცმა, უყურა და საშველი რომ არ დაადა ქვეყნის დაღაგებას, ადგა და ისევ ნავიდა ყინულებში, ამჯერად უკვე თავისი ნებით, რადგან სამშობლო მას სულ სხვა სახით წარმოედგინა. ახლა ამ სამშობლოს ის მისჯილი სამშობლო ამჯობინა და არჩევანიც მის სასარგებლოდ გააკეთა. მე კი ბრძენი სულხან-საბას იბაგი გამახსენდა რომელიც, თუ არ მეშლება, დაახლოებით ასე იკითხებდა: დიდ ტბაში მარტოხელა იხვი და დაოჯახებული ბაყაყი ბინადრობენ. ერთ ზაფხულს ტამ შრომა იწყა და იხვი მეჩხერ წყალში ვეღარ გაეჭურა. ბაყაყს უთხრა — ხომ ხედავ, ტბა საცაა დამრება, ვიდრე მთლად არ დავეჭურებულვარ, მოდი, მხრებზე შეგისცად შენი ცოლ-შვილიანად და სადმე, სხვაგან წაყლუხვი ტბა მოეჭებნოთო. ბაყაყმა იწყინა — როგორ გვეკადრებათ, ჩემი მამა-პაპა აქ მარხია, მეც აქ უნდა დავიმარხო, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ეს ხომ ჩემი სამშობლოაო. იხვი გაფრინდა. მოძებნა დიდი, წყალუხვი ტბა და ლაღი ცხოვრება დაიწყო. ზაფხულის მინურულს კი გულმა მეგობრის სანახავად გაუწია და თავის ძველ სამოსახლოზე დაბრუნდა. წყლის უკანასკნელ წვეთზე დამკვდარიყვენ ბაყაყი და მისი ცოლ-შვილი. იხვმა ქუდი მოიხადა, არემარე მოათავაღერა და თავისთვის ჩაილაპარაკა: შენ ეს მითხარი, სად გაეცლება, ჩემო მეგობარო, თორემ იმხარი სამშობლოს რა ვუთხრა, ამას რომ მოეცხოვსო. ვიმეორებ, ჩემი სიტყვები არ გახლავთ, დიდმა საბამ თქვა ეს იბაგი.

**ს**აზოგადოებამ ხელისუფლებას განაწინი თითქოს უკვე გამოუტანა. გაჭირვება ხელისუფლების პირშია. თავად ხელისუფლება კი სასჯელი, რომელსაც არც კი ვიცით, რატომ ვიხდით. თუმცა, იქნებ გვეცადა და ამის მიზეზისთვისაც მიგვეგონო?

საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი არეგულირებს. იქნებ პოლიტიკურ ბაზარსაც იგივე პრინციპები მართავს და საზოგადოებაში, ხალხში არსებული მოთხოვნა განაპირობებს იმ კატეგორიის პოლიტიკოსთა სიმრავლეს, რომელთა მოღვაწეობა ასეთ დღეში გვადგებს? უფრო მართივად რომ ვთქვათ, იქნებ სწორედ ასეთი ხალხი გვჭირდება და სინამდვილეში სულაც არ ვართ მათდამი ისე ცუდად განწყობილი, როგორც ეს თავად გვეჩვენება?

## მთავარია „ავტოკრატული“ ავიღოთ, პერა კი რან უნდათ, ის უთქვამთ ქვირის დაჩინილას...

ამ ვარაუდმა შეიძლება ბევრი გააღიზიანოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერთი ცნობიერად გამოხატული აზრი და მეორე, ქვეცნობიერი, ჩვენს სიღრმეში არსებული დამოკიდებულებაა. ის, ვინც ხალხმრავალ შეკრებებზე, ლხინისა და ზოგჯერ ჭირის სუფრებზეც რომელიმე სახელგანთქილი ჩინოვნიკის გამოჩენას შესწრება, საინინალმდეგოს მომსწრე გახდებოდა. შინ და გარეთ, მათი დამანყვარარი სტუმრებიც კი ხშირად ტანში შეკრებებიან იმ ადამიანს, სულ ცოტა ხნის წინ საციხოდ რომ „ამზადდებდნენ“. ხშირად კი დასკვნა ასეთია — დედა, რა კაცი ყოფილა და რას არ ჰყვებიან მასზეო. ეს დასკვნა ჩვენი გულბრუნვის კი არაა, ჩვენში არსებული ფარული სიმპათიის (თუ მათ ადგილზე ყოფნის სურვილის) დასტურია.

კორუმპირებული ჩინოვნიკი ცუდი ჩინოვნიკია. ეს თითქოს აქსიომაა, მაგრამ რა დავარქვამთ იმ პოზიციას, რომელიც არანაკლებ ხშირად გვგვხვდება — ფულის „მკეთებელი“ კატორი კაცია?

იქნებ ადამიანთა უმეტესობა ობიექტური რეალობის წაშლი კი არა, საკუთარი მდგომარეობის გამო უნდა და როგორც კი ამ ყოფის ეშვება რამე (თანამდებობაზე დანიშნება), მალე იდგებიან მამინევი გამოგონილი ღირებულებების იცვლება?

...ერთხანს თბილისში მეტად გადაჭედილი საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობდა. ავტობუსის კართან მდგარი მოქალაქეები ბრანით გასასხოდნენ უკვე ასულთ: შუაში გადაინიეთ, ჩვენც ამოგვივითო. რის ვაი-ვაგაბით ასვლის შემდეგ კი, წამებე იკავებდნენ ადგილს კარის სიახლოვეს და ცდილობდნენ გარეთ დარჩენილებსთვის არ მიეცათ ამოღწევის შესაძლებლობა. კიბეზე ადგილი ერთი ნაბიჯი ამ ადამიანებს წამსვე აქცევდა იმთა მოკავშირედ, ვის მიმართაც წუთის წინ აგრესიას ავლენდა.


იქნებ იმისათვის, რომ თვალი დაეხუჭოთ თათს მანკიერებაზე, საკმარისია, „ავტობუსში ავიდეთ“, მერე კი რაც უნდათ, ის უთქვამთ ქუჩაში დარჩენილებს. ანუ, იქნებ ის პროტესტი, რომელიც ხელისუფლების მიმართ გაცხადდა, პრინციპული პოზიცია კი არა, დისკომფორტი გამოწვეული აგრესიაა, რომელიც, როგორც ვთქვით, მალე ნელდება.

რადგან აგრესიას შეეხეთ, უპირანი იქნება თქმას ცოტა გადაუხვიეთო. ოჯახის წევრების მიერ ერთმანეთის სასიკვდილოდ გაქვება, სამხარობო, შოკო ალარავის აგდება. შვილი მშობელს თუ ცოლი ქმარს განსაკუთრებული სისასტიკით კლავს. საუბარია დანაშაულზე, რომელსაც მარცხისა თუ ყაჩაღობის მიზნით კი არა, უბრალოდ სისხლის ღვრისთვის სჩადიან.

წარმოიდგინეთ, რომ ტელევიზორთან სხედხართ, უცქერით ფილმს, რომელსაც მთელი კვირა ელოდით. ამ დროს შუქი ქრება და სიამოვნების ნაცვლად განზიზღობის იღებთ. როგორ იქცევით? ალბათ ყველაზე ახლო საგანს სწვდებით და ცდილობთ ფორმა შეუცვალოთ, ანდა, სულაც თავგამოდებით ურტყამთ კედელს მუშტს. ამას ფლუსტრაცია ჰქვია. ასე ეწოდება აგრესიის სხვა საგანზე გადატანას, როცა მის გამოწვევით რეალურ მიზეზთან გამკლავება შეუძლებელია. ამ ტერმინით შეიძლება შევასდგეს მთელი საზოგადოების მდგომარეობა. დიას, ჩვენ ფლუსტრირებული საზოგადოება ვართ და კედელს მუშტს ისე ვურტყამთ, როგორც შეგვიძლია ან როგორც გვიჭირს.

რამდენიმე დღის წინ თბილისის ზოობარკ-

ში განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ ორ კენჭურს. მათი ხორცის საკვებად გამოყენება მკვლევებს არც უფიქრიათ. ცხოველები არაადამიანური სისასტიკით იყვნენ ნაცემი და წამებით სულამობილი იქვე ყვარნენ. ისინი, ცხადია, ძველი შულის მსხვერპლი ვერ გახდებოდნენ და ვერც მუდამ თვალწინ ტრიალით გამოიყვანდნენ ვინმეს წყობიდან. ეს ქმედება ფლუსტრაცია აღარ არის. ეს გაცილებით საშიში სიმპტომია. მიუხედავად იმისა, თუ რას ვუწოდებთ სისასტიკის ამ გამოვლინებას, შეიძლება ეს ფაქტი საზოგადოების ახალ ემოციურ მდგომარეობაში გადასვლის ერთ-ერთი პირველი სიმპტომი იყოს. ეს კი ახალ საფრთხეს გულისხმობს. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი კედლებზე მუშტების დარტყმა ვერ



გვიშველის. აი, აქ შეგვიძლია წამოწყებულ საუბარს დავებრუნდეთ. ნორმალური ყოფა კარგი ხელისუფლების პირობებშია შესაძლებელი.

ცხადია, არ ცდებიდნენ ბრძენი ადამიანები, რომ კარგ მთავრობას დამსახურება უნდა. ცუდიც დამსახურებისამებრ გვეჩვენა. ასე რომ, შეუძლებელია საზოგადოება უდანაშაულო იყოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ჩვენ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა გვაქვს და ვეჭვობ, ამას ვაცნობიერებდეთ. მართლაც, კორუფციას ტყუილად არ უწოდებენ ორმხრივ სიახლოვეს. იქ, სადაც ქრთამის ამღებია, აუცილებლად იქნება მისი გამალებიც და ეს უკანასკნელი პოზიცია ხომ ხშირად ჩვენც გვიჭირავს?

70-იან წლებში ჩინეთის ღირსშესანიშნაობების მოსახლეობდა ჩასული უცხოელები საზარელი სურათის მომსწრეები ხდებოდნენ. ქუჩაში დასოცული ადამიანების გავრცელება. უსიციოცხლო სხეულები სტუმრების კი არა, ადგილობრივ მცხოვრებთა ჭკუის სასწავლებლად იყო „გამოფენილი“. ასე ჩინელებმა ქრთამის ამღებინ დასაჯეს. რამდენიმე კვარტალის მოშორებით კი ისევ ცხადრებით იყო ქუჩა მოფენილი. იქ ქრთამის გამალებითავე მოუწყო განკითხვის დღე. ნუ ივიქრებთ, რომ ბროლის ამ ხერხის რამენაირად გამართლებას ვცდილობთ. უბრალოდ, ამ სისხლიანი მაგალითიდან მკაფიოდ ჩანს, თუ რამდენად რთულია საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების შეცვლა. ყოველ შემთხვევაში, ჩინელებმა სხვა გამოსავალს ვერ მიაგნეს. საზოგადოების დაინიება და, შესაბამისად, ფესვგადგმული პროცესის შეჩერება, მათ ამ ბარბაროსული მეთოდით შეძლეს.

რაც შეეხება გამოსავალს, ალბათ მსგავსი გაჭირვებიდან თავის დაღწევის საუკეთესო მაგალითი ისევ ბიბლიური სიუჟეტი — მოსე, რომელსაც უდაბნოდან მხოლოდ გზაში მობილი თაობა გაჰყავს. მხოლოდ ისინი, ვისაც ეგვიპტე არც კი უნახავს, ვინც თავის თავში ფარულადაც არ ატარებს იმ მოზონის დაღს. ეს გზა რთულია, ძნელი და გრძელი. ორმოცი წელი კი შეიძლება ორ საუკუნედაც იქცეს, მაგრამ ესეც რომ არა, ჯერ ისინი უნდა იყვნენ, ვინც ალბათელი ქვეყნისაკენ სიარულს ისურვებს, მერე კი ალბათ მოსცემს გამაჩნდება.

ამისათვის კი სჯობს ხელისუფლებისადმი გამოთქმულ პროტესტს ცოტა თვითკრიტიკაც დაუვუშალოთ, ანუ, საკუთარ თავში შევცვალოთ ის, რისი შეცვლაც გარეთ ასე გვწადია. გვერწმუნეთ, ეს მართლაც, ყველაზე მოკლე გზაა სასურველის მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ცვლილება ფორმალური იქნება და არსებულს ახალი ფორმით შენიღბვას ვერ გასცდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ყველაზე მძიმე ბრძოლა ყოველთვის საკუთარ თავთან გველის და სწორედ ამ ომში გამარჯვებაა ძნელი.

მაია გაბუნია

## უხილობო, რისაუზლიაუი ბეჩაბი არ მოხდეს...

„სამართალდამცავებმა ისიც არ იციან, რომ ჟურნალისტს ვიდეოკამერა არ უნდა დაუმგერიონ...“

იმ დღეს, როცა საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სისტემის თანამშრომლებმა ჩეჩენი ლტოლვილების გაკონტროლება და ჩხრეკა დაიწყეს, ერთ-ერთი თანამდებობის პირი შეშვდა და კითხვაზე — რა ხდება-მეთქი, მიასახა: — ახლახან ჩვენთან, სამსახურში (მის ვინაობას და სამუშაო ადგილს შეგნებულად არ ვასახელებთ. — ზ. ჩ.), უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები მოვიდნენ. სწორედ მათგან გავიგე საიდუმლოდ, რომ თბილისში, ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილზე, ტერორისტული აქტი მზადდებოდა და ვფიქრობ, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხელისუფლებამ გადაამჭრელ ღონისძიებებს მიმართა.

— თუ ნახეს რამე?

— ამას ვინ მეტყვოდა, მაგრამ ვიცი, ერთ ადგილს დიდხანს დასტრიალებდნენ, შემდეგ უცნაურ კომბინიზონებში ჩაცმული ხალხი მოიყვანეს და ორი საათის მანძილზე რაღაცას ჩხირკვედლაობდნენ, მერე რაღაც შეუფუთული გამოიტანეს და სადღაც წაიღეს. ალბათ რაღაც იპოვეს. თუ მართლა ბოში იყო და თან იმ ადგილას დახურული სივრცეა, ალბათ მისი აფეთქების შემდეგ დიდი ტრავმაცია დატრიალებოდა, რაც ჩემი თვალთ ვნახე, იმას გეუბნები.

— ხალხს ვეკუთრება თუ დაინყვს?

— ყველაფერი გვიან ღამით მოხდა. იქ მხოლოდ ხელმძღვანელი თანამშრომლები და ტექნიკური პერსონალი ვიყავით. ყველაფერი რომ დასრულდა, დუმილი გვიბრძანეს და გამოგვეშვიდობნენ. ალბათ ყველაფერი ეს, რაც დღეს ხდება, იმ ამბის გამოძახილია...

მიღებულია ინფორმაცია დავაინტერესა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს დაუუკავშირდით.

უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი **ნიკა ლალიაშვილი**: — ინფორმაცია, რომ თბილისის ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილას (ვერ დავაკონკრეტებ) მზადდებოდა ტერორისტული აქტი, მართლაც იყო. ჩვენ გადავამოწმეთ და ინფორმაცია არ დადასტურდა. იგი მხოლოდ ოპერატიული ინფორმაციის დონეზე დარჩა. ვერ გეტყვით, რომელი შეიარაღებული ჯგუფი ამოიგნდა ამის გავრცელებას. ეს შეიძლება ყოფილიყო საქართველოში დესტაბილიზაციის ნებისმიერი მოსურნე. ამიტომ ყველაფრის ჩეჩენებზე გადაბრუნება არ შეიძლება. მაშინ ვერსიის დონეზე რუსეთის სპეცსამსახურებიც შეიძლება ვახსენო.

— თუ ასეა, რამ გამოიწვია ჩეჩენი ლტოლვილების ჩხრეკა და გაკონტროლება?

— ეს იყო მორიგი ოპერატიული ღონისძიება, რომელიც უნდა ვალიაროთ, ძალზე დაბალ დონეზე ჩატარდა. თურმე ფურცლებზე უნდა ჩამოუნერო ყველაფერი ჩვენს თანამშრომლებს. ისიც არ იციან, რომ ჟურნალისტს ვიდეოკამერა არ უნდა დაუმგერიონ, ოფისში არ უნდა შეუვარდენ ნაირა გელაშვილს. ერთი სიტყვით, ბევრი სამუშაო გვაქვს.

შემოდინა განვაცხადო, რომ ამჟამად საქართველოში არც ერთი შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლი აღარ არის. თუმცა არსებობს ჩეჩენების მრავალრიცხოვანი, ფინანსურად ძლიერი ჯგუფი,



რომელიც საქართველოში ცდილობს დამკვიდრებას. ესენი არიან დანაშაულებრივი ბიზნესის ჩეჩენი წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ყიდულობენ საჯარო ობიექტებს, წილში შედიან ქართველი ბიზნესმენების საწარმოებში და აქტიურად ცდილობენ საქართველოს საბანკო სისტემაში დამკვიდრებას. ისინი საქართველოს კალიასავით მოედნენ და თუ ასე გაგრძელდა და მათ წინააღმდეგ ქედითი ღონისძიებები არ გავატარებთ, დაიწყება ქართველ ბიზნესმენტთან საქმის გარჩევები, ტერორისტული აქტები, ანუ ის, რაც ხდებოდა მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში.

— თქვენ ერთ-ერთი გამოცდილია ბრძანეთ, რომ ლაგადქმი ლიკვიდირებულია შორის იყო ცნობილი ტერორისტი იუსუპ კრიმ შამსალოვი. შემდეგ გაირკვა, რომ ის გადარჩა და რუსეთისთვის გადავიცათ.

— ჩვენ მოვიპოვეთ ოპერატიული ინფორმაცია ყარაჩაელთა ტერორისტული ჯგუფის ადგილმდებარეობის შესახებ. გატარებული ღონისძიებების შემდეგ ჯგუფმა გადაწყვიტა, დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და გადასულიყო აზერბაიჯანში. ჩვენ მათ შეგნებულად მივიციტო კორიდორი და იმ გზით წავიყვანეთ, რომელიც ჩვენ ხელს გვაძლევდა. მათთან ერთად უნდა ყოფილიყო კრიმ შამსალოვიც (რასაც ჩვენ მიერ წინასწარ გაუცხადებულ განცხადებაშიც ვამბობდით), მაგრამ მათი ლიკვიდაციის შემდეგ გაირკვა, რომ მას სხვა გზა აურჩევია. ჩვენ მოვასწაროთ მისი საფარაუდო მარშრუტის დადგენა. იუსუპ კრიმ შამსალოვის აყვანა საქართველოს ტერიტორიაზეც შეგვეძლო, მაგრამ ამას მოჰყვებოდა რუსეთისთვის მისი გადაცემის დაუსრულებელი პროცედურა და მისი თავიდან მოშორება ვარჩიეთ. იქ მივიყვანეთ, სადაც საჭირო იყო და შემდეგ რუსებმა თვითონ ჩაიგდეს ხელთ. ამასთან, დედაქალაქში მომრავლდა ე. წ. „პრიუტები“, ანუ ღამის გასათევები. ეს „სასტუმროები“ კლიენტებს ღამის 50 თეთრად ათვებდნენ. სწორედ იქ იკრიბებოდა საეჭვო პირები და სამომავლო დანაშაულებს გეგმავდნენ. ამ პრობლემას სასწრაფო „ქიურგიული“ ჩარევა სჭირდება. ჩვენ ამ საკითხზე ვმუშაობთ, მაგრამ საინტერესოა, რას აკეთებენ ქალაქის შესაბამისი სამსახურები? ერთი სიტყვით, უსაქმოდ ნამდვილად არ ვართ და მთელი ძალებით ვცდილობთ, რესპუბლიკაში ტერორისტული აქტი არ მოხდეს.

ზვიად ჩაკვტაძე

## რუსეთში ქართველების მიმართ აზრისა აგზულოვს

ჩვენი საზოგადოებრიობა ნამდვილად არ ელოდა, თუ ასეთ სკანდალურ ინფორმაციას ჩამოიტანდნენ ინგლისიდან ლეგენდარული პიტერ შოუს დასაკითხავად წასული ქართველი სამართალდამცველები.

ბიზნესმენმა-ბანკირმა და ვეროკავშირის ექსპერტმა, დღეს კი უკვე მავანთა მიერ თაღლითად შერაცხულმა პიტერ შოუს მის გატაცებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე და „უშუას“ პრეზიდენტი გოჩა ფიფია დადანაშაულდა.

პიტერ შოუ, რომელმაც, წინასწარი მონაცემებით, მაქინაციების წყალობით საქართველოში ზუთამდე ბანკი და რამდენიმე ათეული ფერმერი გააკოტრა, ქვეყნის კუთვნილი 35 მლნ-დან 25 მლნ ააორთქლა და კიდევ ვინ მოთველის, რამდენი შვიი საქმე ჩაიდინა, წესით და კანონით, თაღლითობისათვის ქართულ ციხეს უნდა ხსენავდეს. ჩვენმა სამართალდამცველთა ელიტამ კი „შენი ჭირილი-შენ გენაცვალეთ“ გააცვია იგი საქართველოდან და ახლა ყველაფერი უფრო ეხვეწება — უკან დაბრუნდი, უნდა დაგკითხოთო. შოუს კი ჩვენს კანონდამცველებს ინგლისშიც მოუწყო პატარა შოუ: კითხვებსა (რომელიც მის საბანკო საქმიანობას ეხებოდა) და თითის ანაბეჭდების აღებაზე, ცივი უარი განაცხადა. ცხადია, დღემდე მისი თავისური ეპოპეა დიდად საეჭვო რამ არის. ქართველი სამართალდამცველთა ინგლისიდან დაბრუნების შემდეგ სულ უფრო აქტიულონი ხდებიან ვერსია, რომ შოუს თვითონვე მოაწყო გატაცების ინსცენირება.

„საქმე გვაქვს პირად წყენასთან — ეს იყო გაღიზიანების შედეგი. შოუს თქმით, მან საქართველოში დატოვა მხოლოდ ორი განაწილებული ადამიანი — დავით კირვალიძე და გოჩა ფიფია. მიგვჩანია, რომ ასეთ განცხადებას რეალური საფუძველი არ აქვს“, — განაცხადა უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნიკა ლალიაშვილმა. ბრიფინგზე უფრო ნალისტიკის ნაწილად შუ მინისტრი კობა ნარჩემაშვილიც წარდგა და „ლუკოილის“ ვიცე-პრეზიდენტის მამის, სადი შარიფოვის გატაცებისა და გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით ახალი ინფორმაცია გაასამუხრა. მისი თქმით, აღნიშ-

ნულ საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია რამდენიმე ეროვნებით ქართველი ექსპეტიტი. ორმა უკვე აღიარა ჩადენილი დანაშაული. ნარჩემაშვილის განცხადებით, როგორც ექვმიტანილები აცხადებენ, მათ არ უნდოდათ სადი შარიფოვის გატაცება, მაგრამ სოფლიდან გასაღწევად ჩაიხვეს იგი მანქანაში. მოსუცი გზაში გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი გვამი ბოლნისის ახლოს დატოვეს. კობა ნარჩემაშვილმა დაკავებული ვინაობის დასახელებსგან თავი შეიკავა. ბრიფინგის დამთავრების შემდეგ შუ სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა პაპაა გამოელაურა „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში საქართველოში კრიმინოგენული ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მსგავსი სიტუაცია მართკ ჩვენს ქვეყანაში როდის და ამის დასტურად რუსეთის მაგალითი მოიყვანა, სადაც მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით თურმე 900-მდე ადამიანი გატაცების ფაქტია რეგისტრირებული. პაპაა გამოელაურის თქმით, მოსკოვში, თეატრალური ცენტრის შენობაში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, განსაკუთრებით იმატა ე.წ. „ლიტო კავკასიონი ნაციონალდამცველები“ — მათ შორის მოკლულია 25 ქართველი და რამდენიმე ათეული უგზო-უკვლოდა დაკარგული. დახლოებით ათი დღის წინ ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს ასევე ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი გოჩა ჯიშკარიანი. იმის შესახებ, თუ რა ზომებს მიმართავენ ქართველი სამართალდამცველები მომხდარსა და საზოგადოდ რუსეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მიმართ განხორციელებულ თვდასმა-შევიწროების ფაქტებთან დაკავშირებით, გამოელაურა განაცხადა, — შესაბამისი ნებართვის გარეშე სხვა ქვეყანაში მოქმედების უფლება არ გვაქვს.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, — საქართველოში მსგავსი რამ რომ მოხდეს, იოლი წარმოსადგენია, რა აურზაურს ატეხენ რუსეთის ხელისუფალი და მასმედია. საქართველოს პოლიტიკური ელიტა კი ამ მართლაცდა შემაშფოთებელ ტენდენციას, ჯერჯერობით, მშვიდად შეჰყურებს.

მაბუკა ხუციშვილი

**ინტერნეტი ჩართული კომპიუტერით მონიტორით 375-ლან**

**კომპუსი**

**ტელ: 939-103 250-255**

**აღ. ყაზაბაი 24**

- სკალი გეგმავი სკრინი და პროგრამული მხარდაჭერა (ქსელში, ინტერნეტი და სხვ.)
- გააჩნია 3 წლამდე
- პრინტერი 65-ლან

— ასე დაახასიათა ჩვენი სამშობლოს მომავალი თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ქადაგებში რადიოთი მოციქულთა თავთა, პეტრესა და პავლეს ტაძრის დეკანოზმა, მამამ არჩილმა (მინდიაშვილი) როგორც მორწმუნე მრევლისათვის კარგად არის ცნობილი, მამა არჩილის ქადაგებანი რეგულარულად გადაიცემა საპატრიარქოს რადიოთი და მათ მიმართ შეუწყნებელ ინტერესს იჩენს ფართო საზოგადოებრივად. ქადაგება, რომლის დასკვნითი ფრაზაც წერილის სათაურში არის გამოტანილი, ეძღვნება და მორწმუნე ხატებს, და, სახელდობრ, ფსკოვო-პეტროვის ლავრაში გაცხადებულ სასწაულს — მირონის დენას ერთდროულად რამდენიმე ხატოდან. აღნიშნული მოვლენის შესახებ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანში“ (№ 47, 22-28, X) მკითხ-

ველს დაწვრილებით ამცნობდა ვაკის ყოვლადწმიდა სამების ტაძრის წინამძღვარი ილია ნასიძე, რომელიც გასულ შემოდგომაზე თავად იმყოფებოდა ფსკოვო-პეტროვის ლავრაში. მისი გადმოცემით, მირონის დენა თავდაპირველად იქ ივერიის ღვთისმშობლის ხატიდან დაწყებული და შემდეგ ყველა ხატზე გადასულია — კელენდრის ხატებიდანაც კი მოდიოდა უხვად მირონი. პეტრე-პავლეს ტაძრის ერთ-ერთ მოძღვარს, მამა თეოდორეს, თბილისიდან ჩაუტანია ღვთისმშობლის ხატი — „შენ ხარ ვენახი“ და საჩუქრად გადაუცია სამი მღვდელმსახურისთვის. სამივე ხატიდან დაუწყია მირონის დენა; თვით სულ პატარა, კულონის „შენ ხარ ვენახის“ ხატსაც კი 33 ლიტრი მირონი დასდენია...  
სხენებული თემის ირგვლივ მამა არჩილთან დალოცვს წარმართავს ზუსტად ძარბაღლივილი.



„შენ ხარ ვენახი“

— მამა არჩილ, თქვენმა ქადაგებამ, რომელიც ეხებოდა მირონმდინარე ხატებს რუსეთსა და საქართველოში, ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. თქვენ საუბრობდით ფსკოვო-პეტროვის ლავრაში მომხდარ სასწაულზე, სადაც როგორც აღნიშნეთ, 2 თვეზე მეტია, ათეული ლიტრებით — უხვად მოედინება მირონი ხატებიდან, ვაგრძელებ და სხვა სწავლებიდან თავისთავად, მირონის დენა ხატიდან მართლმადიდებლური რწმენის ქვეყნის მართლებს დადასტურება (რადგან მსგავსი სასწაული სხვა აღმსარებლობის წიაღში არ აღინიშნება), მაგრამ, როგორც საეკლესიო ისტორია მოწმობს, ეს, ამავე დროს, სერიოზული გაფრთხილებაც არის: სწორედ რუსული მატინაგები ცხადყოფენ, რომ მირონის მოხიზრებული დენა და ცრემლიანობა იწყებოდა ხატიდან განსაკუთრებულად, საფარო მსოფლიო მოვლენების კვირბაზე — პირველი და მეორე მსოფლიო ომების დაწყებამდე რუსეთის მრავალ ტაძარში და მონასტერში მირონმდინარეებდნენ და იცრემლებოდნენ ხატები, რომლებიც დამდეგ საშიშროებაზე მოუთხოვდნენ, მაგრამ სულიწმინდის მადლით გაცხადებული ღვთის სიტყვისადმი უფროსი ადამიანები ყურად არ იღებდნენ ზეციურ გაფრთხილებას და მთელი მსოფლიო არაერთგზის აღმოჩენილი კატასტროფის წინაშე ამ ღვთაებრივ ნიშნებს, ალბათ, ჩვენს დროშიც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ხოლო, კიდევ თუ რა საშიშრელებას უქადის უახლოესი მომავალი მთელი მსოფლიოსა და კაცობრიობას, ეს იღუბლებით არის დაფარული. თუმცა, იქნებ არსებობს გარკვეული მინიშნებები, ამ თვალსაზრისით, მათთვის, ვინც უფალმა ღმერთი კანკალის მღვდელად დასაძღვლო საიდუმლოში მიწა-ღვთის უფლებით?



ფსკოვო-პეტროვის ლავრა

ყოველივე ზემოთქმულს, იგი თავის მონაზონ დედებს ტრაპეზიდან დარჩენილ ნაშურს პურსა და თვით კარტოფილის ნაფუქცეებსაც კი არ აყრუვინებს, არამედ აშრობინებს და ანახვინებს, — ეს ყველაფერი იმხანად ოქროზე ძვირი იქნებოდა.  
— თუ გულისხმავთ, რომ ჯვარხატებიდან მირონის მდინარეა რუსეთში ამ ქვეყნისათვის გარკვეულწილად გაფრთხილებასაც ნიშნავს — რას უნდა ნიშნავდეს ქართული ხატი გადმოსული მადლი მირონმდინარეებისა? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფსკოვო-პეტროვის ლავრაში ქართული ხატიდან მომდინარე მირონი გულისხმობს: ერთი მხრივ იმას, რომ საქართველოშიც იმგვარად საშიშროებებია მოსალოდნე-

„საპატრიარქოს უწყებანში“

დრო, როდესაც რუსეთს დაფლეთენ ნაწილებად ჯერ დაიწყო, მერე დაიწყო მისი სომიდრების დატყუება დასავლეთი ყოველმხრივ შეუწყობს ხელს რუსეთის რღვევას... ბევრი ქვეყანა აუშვადრდება რუსეთს თუ რუსი ხალხი არ მივა სინაულამდე, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კვლავ აღდგება ძმა ძმაზე. მოვა დრო, როდესაც არა დენა, არამედ ფული და ამქვეყნიური საიმენი განაშორებენ ხალხს ღმერთისაგან და გაცილებით მეტი სულიერი დაიღუბება, ვიდრე გაცხადებული ღვთისმშობლობის დროს“. არანაკლებ უხედურებს უხვადის რუსეთს კიდევ ერთი წინასწარმეტყველება, სადაც ნათქვამია: „არსებობს საღვთისმეტყველო გადმოცემა მატარებლების სამი ეშელონის შესახებ, რომლებითაც მორწმუნეებს გაასახლებენ ბოლო უამს მოსკოვიდან: პირველით გაგებზაგრებიან ნებაყოფლობით, მეორეთით — ნახევრად ძალდატანებით, მესამეთით — გაამეზაგრებენ იძულებით. თქვენ კი, თუნდა ბოროლებს მოეჭიდებით, ოღონდ ეცადეთ, როგორც გაასწოროთ“ (წმინდან „რუსეთი მეორედ მოსვლის წინ“). ამ აგი წინათგანებით სომ არ არიან შეუკრობლები ის ამჟამინდელი რუსი ბერმონაზვნები, რომლებიც დიდ განსაცდელს მოუღობთ თავისი ქვეყნისათვის?



მადლდირსი დეკანოზი ვასილი

— რაც შეეხება წმ. სერაფიმ ვირიცელისა და არაერთი რუსი მამის წინასწარმეტყველებას რუსეთის შესახებ, ისინი საკმაოდ პირქუშად გამოიყურებიან — რუსეთი შაგრინის ტყავით დაპატარავდება, — ურალს იქით, ციმბირი ჩინელებს დარჩება, ხოლო შორეული აღმოსავლეთი — იაპონელებს და ეს მოხდება არა ომის გზით, არამედ ღია და დაუცველი საზღვრების გამოისობით. ამას ფარულად ხელს დასავლეთი შეუწყობს, მაგრამ როდესაც ჩინელები ურალის გადმოლახვას დააპირებენ, აქ კი შეშინდება დასავლეთი და ამჯერად რუსეთს გაუწევს ერთგვარ დახმარებას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. წინასწარმეტყველებათა მიხედვით, რუსეთის დასასრულს მალევე მოჰყვება ქვეყნიერების დასასრულიც, თუმცა მანამდე თუ რუსი ერი მოინანიებს თავის ცოდვებს, იქაც ექნება ადგილი ხანმოკლე გაბრწყინებას, აღდგება მონარქია, აყვავდება მართლმადიდებლობა და სხვა. მაგრამ ეს მხოლოდ ორი წელი და რვა თვე გასტანს, რომლის შემდეგაც რუსეთსა და მთელ ქვეყნიერებაზე აპოსტასიის წყვდიადი ჩამოწვება.  
ითვალისწინებს რა მამა ვასილი

ლო, როგორც რუსეთში და მირონმდინარეზე ბუდით თანაზარობასაც ნიშნავს? და, მეორე მხრივ, აღიარებდა თუ არა ეს ფაქტი ყველა იმ ცილისწამებთა დამასპარებლად, რომელთაც ხატთან დაკავშირებით პქონია ადგილი (მიუხედავად იმისა, რომ მასა და მის ასლებს მირონი სდიოდათ, — მარტყოფის მონასტერში, ზემო ბეთლემის ტაძარში, ბოლნისში — დიდხანს საეჭვოდ ხდებოდა ხატის კანონიკურობასა და მადლმოსილებას).

რას ნიშნავს მირონის მდინარეზე კონკრეტულ შემთხვევაში თვით „შენ ხარ ვენახის“ ხატისათვის და ჩაითვლება თუ არა ის სასწაულმოქმედ ხატად მისი მეოხებით? — რა თქმა უნდა, საქართველოც, როგორც რუსეთის მეზობელი ქვეყანა, რომელიც რუსეთისა და დასავლეთის ინტერესის საგანს შეადგენს, მოსალოდნელი სამიშროების მიღმა ვერ დარჩება, მაგრამ დენას, როგორც ასეთი, საქართველოში ხანმოკლე იქნება. მასში ანტიქრისტიანული ვერ განიმტკიცებს, რამეთუ ამ ქვეყანას ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იცავს. ასეთია წმ. ლავრენტი ჩერნიგოველის წინასწარმეტყველება, რომელიც ამ უკანასკნელს წმ. ილია თებთელისა და მართალი ენუქისაგან, ასევე წმ. იოანე მახარებლისაგან ემთხვევა. აქვე დავძენდი, რომ საუბრით ვისიარებ საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი X-საგან თქმულს, რომ დარიალის კარი ღვთის ნებით განიხილება და ღვთის ნებითვე დაიხურება, როცა უფალი ამას საჭიროდ ჩათვლის. ჩვენ კი, რატომღაც, ეს კარი ამქარებით გვსურს ჩაგროვოთ ახალი მდინარე ბატონის საამებლად. უკანასკნელ ყამთან დაკავშირებულ

წინასწარმეტყველებათა შესწავლის შედეგად ვსკვნით: რუსეთის დაღუპვასთან ერთად ქვეყნიერებაც დაასრულებს არსებობას. კი, გეტანხმებით, მრავალი წყნანი გვახსოვს მისგან, მაგრამ ვიტყვი: გულმეგობრად სალად განსჯის უნარი არ უნდა დაგვიკარგოს. ისე არ დაგვემართოს, ქართულ ანდაზაში რომაა ნათქვამი: ნავიდა შავი მოხვერი და მოვიდა თეთრი მოხვერი. თუმცა ამაზე საკმარისია...

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს: პირველ ყოვლისა, ვიტყვი, რომ „შენ ხარ ვენახის“ ხატი მირონმდინარეების გამო არ იწოდება სასწაულმოქმედად, არამედ იმ ურიცხვი კურნებისა და შენევისათვის, რასაც დღიდან მისი კურთხევისა აქვს ადგილი. ცილისწამებებთან დაკავშირებით კი ვიტყვი: მას გვერდი თავად მაცხოვრისთვისაც არ აუვლია. დაქვნილი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველთან

ერთად: ჩანს, ღმერთს სათნო-ეყოფა, მეც რაღაცას ვინაწადე, რამეთუ ყოველ ჩემს ნაბიჯს გამადიდებელი ღმერთი აკვირდებოდა. ამ წმინდა ხატს ვეძილავ ვერ დაუფლები, ცოდვილი, — თავად ხატი მჭევრმეტყველებს მტყუან-მართალზე. გამოსაცემად მზადდება კრებული, რომელშიც შეტანილი იქნება როგორც ხატის მიერ აღსრულებული სასწაულები და გამოცხადებანი, ასევე მისი სიმბოლოური მნიშვნელობის განმარტება და მათ შორის გაცხადებული ისიც, თუ რად ავურთხევს ყრმა იესუ მარცხენა და არა მარჯვენა ხელით. ასევე მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ჩვენ მიერ დაინერა ამ სასწაულმოქმედ ხატის საგანგებო აკათისტო (დაუჯდომელი საგალობელი). ხატი-სადმი მიძღვნილი კრებულის თარგმანი დაწამებულია ინგლისურ ენაზე. იგი ითარგმნება, ღვთის შენეებით, ბერძნულადაც.  
— თქვენზე ქადაგებაში აღნიშნული გაქვთ, რომ ილია I-ის მიერ ლაზარეს მკვდრებით აღდგინების სხენების დღეს — ქართული ენის საიდუმლო („ქება“ და დიდება ქართული ენისათვის) დღის დადგენას თვით ზოგიერთი სასულიერო პირიც კი განიკითხავდა თურმე და, რა გასაკვირა, რომ ხატს, რომელიც ვერ ათი წელიც არ არის, რაც შეიქმნა, რომელსაც ავტორად ჰყავს ჩვენი თანამედროვე ხატმწერი ირაკლი ცინცაძე — თუნდაც თქვენი განმარტების მიხედვით, კაპაძეების ხატს ზეგადუნით ღვთიერადმოსილებით იყოს შექმნილი, მაინც გამოუწინებოდნენ განმაქუტლები და უარმყოფელები... ქართველები ხომ იმდენად თვალაჩინოდ გამოვიჩვენეთ უმადურობით და დაუდევრობით, რომ ჯერ კიდევ

გაბორონ საბინი აღნიშნავდა სწავლით, ქართველების დარი სწმინდნი სხვა ქონი მოალოდა, მოვლას და ზრუნვას არ მოალოებდა მათ და ქართველებმა კი, სამწუხაროდ, ჩვენი სწმინდების არც ვეროვანი დავსაგება ვიცით და არც პატივისცემაო. თუკი ეს ითქმება ძველ, აღიარებულ სწმინდებთან მიმართებაში, ახლის მიმართ ხომ ქართველთა ზემოაღნიშნული თვისებებს ემატება კიდევ შური, უნდობლობა, გაუფრთხილება...  
— როგორც თავად დედა ღვთისა, ასევე მისი ხატი „შენ ხარ ვენახი“, გარკვეულ დრო და ყამადის „იფარავდა თავსა თვისსა“, მაგრამ რამდენადაც შუბი ხალთაში ვერ დამი-ალებს, არ იქნა დაფარული არც ამ ხატის დიდება, — მრავალდებოდა არ ამ ხატიდან და მისი უამრავი ასლიდან სასწაულები, მატულობდა მისი პატივისცემებისა და თაყვანისმცემელთა რიცხვიც. დღეს კი ხატის დიდებამ ჩვენი ქვეყნის საზღვრებიც გადალახა. ახლანდ, ივანოვის ეპარქიის მიძინება-ყახანის მამათა მონასტრის სამომ მოგვმართა თხოვით, რომ შექმნილიყო ამ ხატის ზუსტი ასლი იმავე ხატმწერის მიერ. მათი სურვილია, რომ „შენ ხარ ვენახის“ ხატმა დაიკავოს საპატრიარქო ადგილი იქ მშენებარე ღვთისმშობლის შობის ტაძარში, სადაც დაბრძანებული იქნება მსოფლიოში არსებული ღვთისმშობლის ყველა სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლი. ყოველივე ზემოთქმულით დედა ღვთისა კიდევ ერთხელ გვიდასტურებს თავის ღვთაებრივ ძესთან ერთად: მე თქვენთანა ვარო ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სრულსია.

ბუნებრივია, ვხარობდით მრევლთან ერთად ყოველივე ამის გამო და ერთხელაც მოდის ჩვენთან ერთ-ერთი მრევლთაგანი, რომელსაც ღვთისაგან გამოცხადება პქონია და გვეუბნება: უფალი ამბობს, რომ მამა არჩილს ახარებდეს არა ხატისგან აღსრულებული სასწაულები, არამედ ის, რომ ჩემი დედის კიდევ ერთი ასლი სახება, ხატი შეიქმნა, რომელიც დაგიფარავთ თქვენ. ხატი ესე მთელ ქვეყნიერებას მოივლის.  
— რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს საუბარი, ქართველებისათვის ის მუდამ დედაღვთისმშობლის მეოხებაზე მთავრდება — თვით ქართული სუფრა ამის თავდება. თუ რას ნიშნავს ყოვლადწმიდის მეოხება, საყოველთაოდ ცნობილია. დედაღვთისმშობლმა თავის წილხვედრ ქვეყანაში საკუთარი ხატი ვერ მოციქულთასწორი წმინდა ნინო — რათა მათ აქ ქრისტეს სარწმუნოება ექადებოთ, შემდეგ საკუთარი გვარტომის — იესიანდაგითიანი ზაგრატიანი ღმერთი საქართველოს სამეფო ტახტზე ეცხთიბე თორწლს — ყრმასა და ავადმყოფს ჩაუდგა ენა ქართულად უზადოდ მეტყველი და ამ სულწინის მადლით მოწიჭებულ ენაზე გადმოაღებინა წმიდა წერილი; შემდეგ ქართველ გაბრიელ ბერს გამოაბრძანებინა თავისი ხატი ზღვით და ივერიის ღვთისმშობლის ხატად სახელდებულ მგვარველად ექვა ვერ ქართველ ერსა და სამღვდლოებას ხოლო შემდეგ დედამწეს ყველა ხალხისათვის განიდგადა სასწაულმოქმედის სახელით... და დედამდე მოაგზანა საქართველოში სწორედ ღვთისმშობლის ლოცვის და მფარველობის დახმარებით. როგორ გცხადებთ მომავალში დედაღვთისმშობლის მეოხება საქართველოს მიმართ?

— რამდენადაც არსებობს წინასწარმეტყველება ივერიის გაბრწყინებაზე, ამდენად ვფიქრობთ, რომ ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მეოხება თავისი წილხვედრ ივერიისა და ყოველისა სოფლისათვის მომავალში ისეთივე იქნება, როგორიც წარსულში იყო — ამ მეოხების ძალით ქართველთა ერი კიდევ ერთხელ დაადასტურებს კვართისადმი (რომელიც სახეა წმ. ეკლესიის ერთიანობისა და დაურღვევლობისა), ანუ ქრისტეს წმ. ეკლესიისა და თავად მაცხოვრის მიმართ ერთგულებას. წმ. ლავრენტი ჩერნიგოველის წინასწარმეტყველებს ანტიქრისტიანული ხანმოკლე დღის დროს ქართველობა თავისი მოწამებრივი ღვანლით ერთგული დარჩება მართლმადიდებლობისა, ეს მერამდუნედ, სისხლს დასთხევს იგი წმიდა სარწმუნოებისთვის...  
ღმერთს შევთხოვ და დედა ღვთისა, ალაღვინოს ჩვენში მირონცხებული მეფობა, რაც სამღვდლო საწყისთან ერთად განამტკიცებს ქრისტეს ჯვრის ძალას ჩვენს მრავალტანჯულ საქართველოში.  
კართაგენი დაინგრევა, ივერია გაბრწყინდება!

### სწრაფი რეაგირების ელფარდი

საქართველოს სამხედრო უწყებამ გაავრცელა ცნობა, რომელიც ამ სახელმწიფოს ნანატრი ოცნების ასრულებას მოასწავებს: სახელდობრ, ნატოს სწრაფი რეაგირების ჯარები (რომელიც ჯერ მხოლოდ ქალაქდება) საქართველოს „ცხელ ნერტილებში“ ამოქმედდებიან... ისე, სანტერესოა, რის საფუძველზე გაკეთდა ასეთი თავდაჯერებული განცხადება? ნუთუ ნატომ რაიმე გარანტიები მისცა შევარდნაძეს? გამოდის, რომ ჯერარარსებულ ალიანსის სწრაფი რეაგირების ძალებს უკვე კონკრეტული ამოცანა აქვს დასახული, თანაც ეს ამოცანა მას თბილისშია დასაყენებული.

რასაკვირველია, საქართველოს ხელმძღვანელობა არ მალავს, თუ რა მიზანს ემსახურება მსგავსი ცნობები. ამ სახელმწიფოს ხელისუფალთა უპირველესი ამოცანაა აფხაზეთიდან რუსეთის მშვიდობისმყოფელთა და საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილი რუსეთის სამხედრო ბაზების თავიდან მოშორება, რისთვისაც ძლიერი ანაქვეყნისანი ყველა ღონეს ხმარობენ, მათ შორის პროვოკაციულ განცხადებებსაც არ ერიდებიან.

საქართველოს პრეზიდენტს ნატოში 2-3 წელიწადში შესვლის იმედი აქვს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შევარდნაძემ აშშ-ის და ნატოს ხელმძღვანელობის გარანტიები დაიბეჭდა. თუ არა და, მისი განცხადება ბლეფია.

აქამდე ალიანსში შესასვლელად მარტო სურვილი საკმარისი არ იყო. ქვეყანა-კანდიდატს უნდა ჰყავდეს ძლიერი შეიარაღებული ძალები, სოციალურად, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ფესზე მყარად უნდა



იდგეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველო არც ერთ ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, თანაც ისიც საკითხავია, როგორია საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკური პერსპექტივები? თუ ბრიუსელში ოპტიმისტიები სხედან, მაშინ საქართველო ნაღდად შევა 2-3 წელიწადში ნატოში და რასაკვირველია, იმ პირობით, თუ ალიანსი და აშშ დაუხმარებინან, პირველ რიგში, ფინანსურად, თანაც დიდ ყურადღებას არ მიაქცევენ, როგორ და სად დაიხარჯება ეს დახმარება. ეტყობა, ამერიკის კონგრესი ამაზე თანახმაა, რადგან ასე სწრაფად მოიხონა ყოველწლიური 100 მლნ დოლარიანი „ეკონომიკური დახმარების“ წარდგინება... რასაკვირველია, ეს თანხა არ ყოფილა ქართული არმიის ნატოს სტანდარტებამდე დახვნას. მაგრამ მთავარია, დაიძრას საქმე და იქნებ შევარდნაძის ოცნებაც ახდეს. თუმცა, რატომღაც ძნელი დასაჯერებელია, ალიანსმა თითო დაუთქვინოს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საქართველოს პრეზიდენტს სურს!

ბრედვარუ

### განვიღ. საბანაო!

საქართველოს პარლამენტარებს ნარკომანობაზე შეიშინებდა ელით. ასეთი უპრეცედენტო ნაბიჯის გადადგმა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც ხალხის რჩეულმა ჯემალ გოგიტიძემ განაცხადა, — სახელმწიფო უშიშროებისგან მიღებული დოკუმენტებით, ჩვენი დეპუტატების სულ ცოტა, 20% ნარკომანია, ხოლო არაოფიციალური მონაცემებით, თითქმის ნახევარი „ზის“ ნემსზე, ეს კი უკვე კატასტროფაა. სწორედ ამიტომაც იქცევინან ჰომოსაპიენსისთვის შეუფერებლად.

პარლამენტმა, ეტყობა, ამიტომაც არ დაუჭირა მხარი ნარკოდამოკიდებულებზე ტესტირებას და „დაამშვიდა“ წესიერი რეაგირება — თუ შევამჩნევთ რომელიმე ხალხს რჩეულს, რომ „ლოკაშია“, უთუოდ ჩამოვართმევთ რაიმე პოლიტიკური განცხადების გაკეთების მორალურ უფლებას.

...მაგრამ ხელშეუხებლობის მანდატი კვლავ ხელშეუხებელი დარჩება...

ვერსია №47

### მოკავალი ხელი ნაკბილი?



აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული — ძველი ეთნიკური ვენდებულება, ტერიტორიული და ორგანიზაციული დანაშაული. გეოპოლიტიკური ინტრიგას დიდი ნავთობი და შეიარაღებული ისლამიც ემატება. და ეს ხდება არა ახლო აღმოსავლეთისა თუ ბალკანეთში, არამედ კავკასიაში, რეგიონში, რომელიც არ ფიგურირებს ცხელ ნერტილთა მსოფლიო ნუსხაში, თუმცა შესაძლოა სწორედ კავკასიის მიავყროს მზერა უახლოეს მომავალში მსოფლიომ. კასპიის ნავთობისთვის ჭიდილსა თუ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტთან ერთად, კავკასიაში მთავარი ყურადღება ჩვენთვისა და საქართველოზე გამახვილებულია. ჩვენთვის იმმა უკვე 100.000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ომის ექო რუსეთის მეზობელს, პატარა საქართველოსაც მისწვდა. რუსები ზენოლას ახორციელებდნენ საქართველოზე, რათა ამ უკანასკნელს

თავის ტერიტორიაზე თავმჯდომარეობა მიეზღოთ. მდგომარეობის დაძაბვამ ოქტომბერში ორივე ქვეყანა ომის საშიშროების წინაშე დააყენა. სიტუაცია მხოლოდ აშშ-ის ჩარევამ განმუხტა. საქართველოს უშიშროების ჯარები ურჩ პანკისის ხეობაში შევიდნენ და ტერიტორიისგან განმარტდნენ. დაკავებული შორის კი „ალ-ქაიდას“ მაღალჩინოსნებიც აღმოჩნდნენ. ჩვენთა მოკავშირეებმა ავღანეთის ომის დროს საქართველოს შეაფარეს თავი. მოსკოვი განაგრძობს საქართველოზე ზენოლას, მეტწილად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პროდასავლური პოლიტიკის გამო და იმისთვისაც, რომ მან ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები მოიწვია ქართული საეკონომიკური გასაწვრთნელად. რუსები აგრძელებენ საქართველოში სეპარატისტების მხარდაჭერას, რომელიც ანტიგონისტიკური უმოცირობებიდან მოდის (ასეთია აფხაზეთი, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მისი მოსახლეობის 70%-ს რუსული პასპორტი აქვს).

იმ დროს, როდესაც მსოფლიო ყურადღება ავღანეთისა და ერაყისკენ არის მიმართული, არავის უნდა კავკასიის რეგიონში დიპლომატიური კრიზისის წამოწყება, თუმცა შესაძლოა სიტუაციამ, რომელიც აქ შეიქმნა, ყურადღების მთავარ ობიექტად სწორედ იგი აქციოს...

ნუზუიტი

### ჩინება თბილისი მოსკოვთან შიარებას

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ჩინების მიმართ სიმკაცრის გამოჩენის სანაცვლოდ, ვლადიმერ პუტინი ედუარდ შევარდნაძეს თავის კეთილგანწყობას შეჰპირდა — რუსის მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გამოუცხადა „ტერიტორიის ბრძოლაში გადაწყვეტი ქმედებისთვის“. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა, რომელიც ცოტა ხნის წინ სამხედრო თავდასხმით ემუქრებოდა საქართველოს, მაღალი შეფასება მისცა ქართველ სპეცსამსახურებს მოსკოვსა და ევოლუციონის სხდომებზე ავთენტურად მის ორგანიზატორთა დაკავებისთვის.

იმავ დღეს, შევარდნაძემ, რომელმაც ჯერ არაფერი იცოდა ესოდენ



მაღალი შეფასების შესახებ, ტრადიციულ რადიოინტერვიუში მკაცრად მოიხსენია საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ჩინები. იგი განრისხებული ჩანდა.

სამი წლის წინ საქართველომ ათასობით ჩინი შეიფარა, მოეფერა და თვალის დახუჭა იმაზე, რომ პანკისში მყოფ ლტოლვილთა შორის ასობით კბილებამდე შეიარაღებული „ბოვიკი“ იყო და საბოლოოდ გაიფუჭა დამოკიდებულება რუსეთთან, მადლიერების მაგიერ კი უფედურების მუქარა მიიღო: საქართველოს სპეცსამსახურებისთვის ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე აჭადგებდა მსხვილი ტერიტორიული აქტები, მათ შორის, თბილისშიც. კერძოდ, არის ინფორმაცია გენერალურ პროკურორ ნუგზარ გაბრიჩიძეზე თავდასხმის შესახებ, რადგან მან მისცა თანხმობა თბილისის ციხეში მყოფი სამი ჩინების რუსეთში ექსტრადიციას. „თავის დროზე შეცდომა დაეუფე და ყურადღება არ მივაქციე მსგავს გაფრთხილებებს. მერე ორჯერ დამესხნენ თავს. მსგავსი რამ ღირს განმეორდება. ყველა სიგნალი საგულდაგულად შემოწმდება, — განაცხადა პრეზიდენტმა და სამართალდაცვაში ორგანიზაციის იძულებული არიან, შესაბამისი პროფილაქტიკური ზომები მიიღონ.

ნეზავისიბაია.რუ

### ქართული ღვინოები: ლიდაჩები ცნობილი, პროკლამები — რჩება

ნომინაციის ბოლოს რუსეთში ჩატარდა VI საერთაშორისო პროფესიული კონკურსი „წლის საუკეთესო შამპანური, ღვინო და კონიაკი“. ეს კონკურსი ტრადიციულად აჯამებს წლის შედეგებს და განსაზღვრავს საუკეთესო სასმელებს.

ნომინაციაში „ფურსის ღვინოები“, უკვე რამდენიმე წელია, პირველ პოზიციებს იკავებენ ქართული ღვინოები. ბოლო წლების კონკურსების შედეგთა ანალიზი შესაძლებლობას იძლევა, არა მხოლოდ დავაფიქსირებოთ ქართული ღვინოების წამყვანი პოზიციები რუსულ ბაზარზე, არამედ გამოვავლინოთ მათ შორის ლიდერები ხარისხის მიხედვით. რუსეთის ბაზარზე გამოვლინდა ელიტური ქართული ღვინოების ლიდერი. ესაა ცნობილი ქართული ღვინო — „Talisman“-ი. როგორც წინა კონკურსებზე, მან ახ-

უნდა ითქვას, რომ ამჟამად თბილისში მუქარას და „გაფრთხილებებს“ სერიოზულად მოეკიდნენ. ლაგოდეხის რაიონში სამი ტერიტორიისტი ყარაჩაელის განადგურებისა და თბილისში ჩინების „შაბათის წმენდის“ შემდეგ „საბასპორტო რეჟიმის“ გამოცრების“ ანალოგიური ოპერაცია ჩატარდა დასავლეთ საქართველოში — ქუთაისში, წყალტუბოსა და სამტრედიამი. ამოღებული იქნა უახლესი იარაღის დიდი რაოდენობა, დაკავებულნი არიან ძებნილი ბოროტმოქმედები. ასეთივე შემთხვევაა დადგენილი საქართველოს სხვა რაიონებშიც.

შევარდნაძემ კომენტარი გაუკეთა ამ „პროფილაქტიკურ ღონისძიებებს“ და აღიწერა, რომ იგი მიმართულია არა ჩინების, არამედ ყველა უკანონო მიგრანტის მიმართ. ამასთან, პრეზიდენტი აღმფრთხილებულია ჩინი ლიდერების — გელაგვის, ზაკაევის და უდუგოვის მუქარის გამო. „ეს ხალხი ბედავს დაემუქროს საქართველოს, ქვეყანას, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ჩინეთისთვის. მას შემდეგ, რაც მათ აფხაზეთის ომში ჩაიდინეს, ჩვენ ყველაზე ნაკლებადღებულნი ვიყავით, დაგზავნილი და ახლა ის ხალხი, ვინც აფხაზეთში სეპარატისტების გვერდგვერდ იბრძოდა, რატომღაც სწორედ საქართველოს სთხოვს თანადგომას. ჩვენ გულბრძოლები არა ვართ და უზედურებაში ჩავარდნილ ხალხს დავეხმარებთ, მაგრამ საქართველოში ტერიტორიების თავმესაფარი არ ჰქონიათ და არც ექნებათ, — განაცხადა შევარდნაძემ.

„არ შეგიფარებიაო... რა მოგახსენოთ, და ის, რომ ოფიციალური თბილისი ბოლო დროს პირველად განუდგა ტერიტორიებს, ეს მოსკოვმა მამინვე შეამჩნია. რუსის პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა: „რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურების და სამართლებრივი ორგანიზაციის ასეთი ურთიერთქმედება ხელს შეუწყობს არა მარტო ტერიტორიების ბრძოლას, არამედ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის უმაღლეს საფეხურზე აყვანას“.

ეს დაპირებაც ასრულდა: რუსეთის საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენლები თბილისს ეწვივნენ. ექსპერტების დონეზე აღდგება ივანის შემწყვდარი რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებები სამხედრო საკითხების მთელ კომპლექსზე.

ნეზავისიბაია.რუ

### რუსეთის ჯარები მანდატი გაუგრძელებს

რუსეთის ფედერაციის საბჭოს ზედა პალატამ განიხილა რუსეთის პრეზიდენტის მიმართვა ფედერაციის საბჭოსადმი, ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის ზონაში რუსეთის მშვიდობისმყოფელთა უფლებამოსილების გაგრძელების თაობაზე. სენატორებმა ხმათა უმრავლესობით რუსეთის შეიარაღებული ძალების კონტინგენტს (3 ათასი კაცი) მანდატი 2002 წლის 31 დეკემბრამდე გაუგრძელა.

რია ნოვოსტი

### ლონდაში გახიზნა რუსეთის პოპულარული მუსიკანტი

ფურნალისტი გიორგი ლონდაძე 2000 წლის 16 სექტემბერს უგზოუგზოდ დაიკარგა. ორი თვის შემდეგ კი, ტყეში მისი უთავო ცხედარი




აღმოაჩინეს. ექსპერტების მონაცემებით, ფურნალისტი გაქრობიდან 40-60 წუთში მოკლეს, — განაცხადა უკრაინის გენპროკურორის თანაშემწემ ვიტორ შოკინმა. მანვე აღნიშნა ის უამრავი დარღვევა, რაც საქმის გამოძიების დროს იქნა დაშვებული გამოძიებულ სერგეი ბენდისკისა და პროკურორ სერგეი ობოზოვის მიერ. იმ ადგილზე, სადაც ლონდაძის ცხედარი აღმოაჩინეს, მათ ნივთმტკიცებების განლაგება შეცვალეს.

საქმის გამოსაძიებლად უკრაინაში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგანგებო წარმომადგენელი პანს კრიუკერი ჩავიდა.

ლენტა.რუ

### ჰიპოპოტამის სანატორიუმის გახიზნა

სოხუმის მთავრობის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ანრი ჯერგენია მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად



და რუსეთის სამართალდამცავ ორგანიზაციებში აპირებს მუშაობას.

ვლადისლავ არძინაზს ბრძანებულებით, ანრი ჯერგენია პრემიერ-მინისტრის პოსტიდან 2002 წლის 28 ნოემბერს გაათავისუფლეს. როგორც სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, ჯერგენიას გადაცემის მიზეზი გახდა არძინაზს მუხლდის, სვეტლანა ჯერგენიას პოლიტიკური ამბიციები. იგი ანრი ჯერგენიას ახლო ნათესავია. პოლიტიკური არენიდან ჯერგენიას წასვლას აფხაზი პოლიტიკოსები არძინაზს კლანის გამარჯვებულ მიჩნევენ.

ინტერ-ფაქსი



**„კვირის კალიბრის“ 2003 წლის კედლის მოსახევი კალენდარი სარუმერად!**

მათ, ვინც „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემებიდან გამოიწერს ნებისმიერ სამს, მინიმუმ 3 თვით!

- „კვირის კალიბრა“
- „სიბჟუა და საქმა“
- „ბომონდი“
- „კარუსელი“
- „გზა“
- „რევიზიონი“
- „ოჯახის მკურნალი“
- „ფილთაქვი“

**ტ: 33-26-73**

ჯავახეთი ისტორიულად ქართული მიწაა. მართალია, ამ საკითხზე საუბრისას ღია კარის მტვრევა გვიხდება, ანუ იმდენად ნათელია ქვეყნის მდგომარეობა, რომ უნდა ვამტკიცოთ ის, რაც რეალურად დამტკიცება არც კი საჭიროებს, მაგრამ რას იზამ... როცა მეზობელი სომხეთი ირწმუნება, ჯავახეთი ჩემი მიწაა ისტორიულად და თან ყველა ისტორიულ არგუმენტს — საკუთარსაც და სხვისსაც უარყოფს, სხვა რაღა დავაჩვენებთ. ვესაუბრებით საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების გამგეს ბატონ **ლევო ბარბაქაძეს**.

— „არტანუჯის“ მეშვიდე ნომერი მთლიანად მიეძღვნა ჯავახეთის პრობლემას. იქ ოთხ ენაზე ვსწავლით ყველაფერს: ქართულად, რუსულად, სომხურად და ინგლისურად. ჩვენ, მეცნიერებს, სხვა რა შეგვიძლია. სიმართლე გითხრა, არც ეს პოლიტიკა შევლის რამეს. წერე და იკითხე რამდენიც გინდა! აქ მთავარია მოქმედება, თანაც ისე, რომ სწორი შედეგი გამოიღოს. მიღებულია ათასნაირი კანონი, ვითომ „ქეგლების დაცვისა“. ესენი კი ჯავახეთში როგორც უნდა, ისე იქცევიან. ქართულ ძეგლებს ასევე უტყობენ, ამენებენ ქართულ ნაგებობებზე ახალ სომხურ ეკლესიებს და ამისთვის არაფერი ისჯება. ეს გრძელდება წლების განმავლობაში. ჯერ კიდევ 1933 წელს, როცა ნიკო ბერძენიშვილმა ჯავახეთში იმოგზაურა, სომხები ქართულ ძეგლებზე წარწერების განადგურებაში ამხილა. ეს ახლაც გრძელდება. კანონიანი კი დიდი გულსტრეკით აღნიშნავს, ეს შეცდომაა, ნიკო ბერძენიშვილი ივანე ჯავახიშვილის კვლად ცდილობდა, ერთმანეთისთვის დავებისპირებში სომხები და ქართველი მოსახლეობა. არც ის არის მართალი, რომ ჩვენ არ ვცდილობთ რუსულ პრესაში დავებდავით რამე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვაგზავნი წერილებს რუსულ პრესასა თუ მეცნიერულ გამოცემებში, მათ რედაქციებში ყოველთვის მოიძებნა სომხი წარმომავლის რედაქტორები, რომლებიც ამ ჩვენს წერილებს ასხვავებდნენ. კერძოდ, მხედველობაში მაქვს Православная энциклопедия და იქ გაგზავნილი



ტონიოს ხიდი

**ამ წერილის დაწერის საბაზად იქცა „კვირის პალიგრის“ 18-24 ნომერის ნომერში გამოქვეყნებული „ნოვოე ვრემიდან“ ნათარგმნი წერილი; თუმცა ჩვენი გამოხმაურების მიზეზი უფრო სერიოზული და ღრმაც არის... ჩვენი წერილი უფრო მეტია, ვიდრე ერთ პუბლიკაციაზე პასუხი, იგი რეაქციაა ფაქტებზე, რომლებიც უმდიდრეს ხდება ჩვენ ირგვლივ და, რაც მთავარია, საუკუნეებია, ვერაფერი შეცვალა — ვერც ჩვენმა მეცნიერებმა, ვერც საზოგადო მოღვაწეებმა. „ქვეთა დაღალს“ აქტუალმა არ დაუკარგავს. ისევე შეგვიძლია, ილიას სიტყვებით დავიწყოთ: „ჩვენისთანა დაბრეყებული, დაბალ ღობელ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგაგებილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის მურგმდე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოგებს, ან გვექლავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კაკასისი ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანავს, ქართველების სახელი დედამიწის მურგადამ ადგავონ და ჩალასავით ქარს გააგანონ. თითქო არც ოდესმე ყოფილვართ, არც დღეს ვართ...“**

**სომეხი პოლიტოლოგის ალექსანდრე კანანიანის წერილს ბევრი ქართველი გამოეხმაურა. რედაქციაში რეაგონდენ, გვწერდნენ კიდევ.**

წვენი წერილები, რომლებიც გადაკეთეს როგორც უნდა და იმ სომეხი რედაქტორების საამებლად თუ მათი შემოქმედებით ბუქდავენ იმას, რაც სურთ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ასეთ პრესაში ჩვენი წერილების გაგზავნას აზრი არა აქვს.

— **მაშინ სად არის გამოსავალი, რა უნდა გავაქოთ იმისთვის, რომ საქმეს უშველოს რამე დაუშვებია, ყოველ თვეში მოვიწვიოთ მრავალი მაგია საზოგადო მოღვაწეებით, ისტორიკოსებით, პოლიტიკოსებითაც და ვამჯავლოთ ეს სომ არ იქნება გამოსავალი, თუკი დიდი მთავალი გამოცემები ისევ მათ მხარეზე დარჩნენ?**

— მართალია ბრძანება... პრესა, რომელსაც ისინი ასე თავისუფლად ფლობენ საზღვარგარეთ, სომხური დიასპორის გავლენის სფეროა. ამ გავლენას ჩვენ ვერაფრით ვერ მოვსპობთ. დაპირისპირება მხოლოდ იმით შეგვიძლია, რომ გამოვქვეყნოთ ჩვენი აზრი თუნდაც ინტერნეტში.

— **გიცდიათ ინტერნეტში საიტის გახსნა?**

— ამაზე უნდა იზრუნოს იმან, ვისაც ფულიც აქვს და ეს ენება. ჩვენ, ძველი თაობის მეცნიერები, მაკლებდ ვიცნობთ ინტერნეტს, არც გვაქვს საინფორმაციო საშუალება, რომ შევიძინოთ კომპიუტერები და შევიდეთ ინტერნეტში. ამდენად ნაკლებად მიგვიწვდება ხელი.

— **შედეგი კი საავალალოა. ჯავახეთში მოქმედებს ორი სომხური ორგანიზაცია — „ჯავახი“ და „ვირტი“ ამბობენ, „ჯავახის“ გავლენა სამცხე-ჯავახეთზე შემცირდა, მაგრამ „ვირტი“ კი, რომელიც 4 წლის წინ შეიქმნა, გაიზარდა მას 15.000 წევრი ჰყავს და ისინი ნაციონალურ იდეებს აღვიწყებენ საქართველოს სომხურ მოსახლეობაში.**

— ჯავახეთს და იქ შემწილი ვითარებას რაც შეეხება, ვგონებ გამოსავალი ერთადერთია: როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია მიღებული, სკოლაში სავალდებულო უნდა იქნეს სახელმწიფოს ენისა და ისტორიის სწავლება, ამ შემთხვევაში ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება. ჯავახეთში რომ ჩავდივართ და იქაურებს ვუბნებთ, როგორ შეიძლება ქართული ეკლესიის ხელის ხლებოთ, გაკვირვებულნი გვეკითხებიან: **ПОЧЕМУ, ЭТО ЖЕ ДЖАВАХИ, АРМЯНСКАЯ ЗЕМЛЯ.** ასე ესმით მათ სკოლაში, ოჯახში, ყველგან. ჩვენ კი ამის აღსაკვეთად არაფერს ვაკეთებთ, არც საქართველოს ისტორიას ვასწავლით და არც ქართულ ენას ვხდით სავალდებულოდ...

— **მთ უბეტეს, რომ ქართული ენის საკითხი ძველადგადასწავლინ და ფეროზენ, შეიმუშაონ არაქართულენოვანი მოსახლეობათვის შედეგები.**

— აბა, შეიძლება, რომ საქართველოში იცხოვროს უცხო ერი წარმომადგენელმა და ქართული არ იცოდეს? ყოვლად დაუშვებელია.

— **ზემოხსენებულ წერილში კანანიან წერს, რომ ქართველმა მეცნიერებმა გადავარს სომხური ჯვრები მტკვარში, ნიკო ბერძენიშვილის მოგზაურობის დღიურები კი ლამის სადამსჯელია დოკუმენტად იქცა.**

— ეს ქვაჯვრები, რომელზეც კანანიანი საუბრობს, იხელება, რომ მათი ადგილიდან დაძვრა ერთი ადამიანის მიერ შეუძლებელია. ეს ქვაჯვრები აღმოჩნდა თმოგვის ციხის ძირში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სომხურ

სასაფლაოზე. ისინი მაშინაც ადგილზე დარჩნა და ახლაც იქაა. XIV-XV საუკუნეების ეს ქვაჯვრები აღმოაჩინა ქართველმა მეცნიერმა, ქალბატონმა ლიანა დავლიანიძემ. წარმოდგინეთ ახლა, რომ ეს ქალბატონი დაქვინდა და გადაეყარა ისინი მტკვარში. სასაცილოა ამის წარმოდგენა კი. ქართველებს ამ ქვაჯვრებზე წერილიც გამოაქვეყნეს. რაც შეეხება ქართულ წარწერებს, მათ ახლაც შლიან, არ უნდათ, რომ ქართული ეკლესია იყოს იმ ადგილას, სადაც ახლა ისინი ცხოვრობენ. ვითომ ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენენ. ვერ იტანენ იმ აზრს, რომ ისინი XIX ს-ის 30-იან წლებში პასკევიჩმა ჩამოასახლა ოსმალეთიდან, თვლიან, რომ

მათი ეროვნული განვითარება ჯავახეთში დაიწყო. ეს ტყუილია. სომხური წყაროებიც კი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს არის ქართული მიწა. X ს-ის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი პირდაპირ წერს: ეს არის ქართული მიწა. ცურტავის ეპისკოპოსი ჯავახეთიდან იყო, სოფელ სულტრიდან, რომელიც ქართველთა ქვეყანაა. ეს ციტატა იმნომ მოვიტანე, რომ უხტანესი ქართველ ისტორიკოსებთან მოკამათე ისტორიკოსია. ასე რომ, ჯავახეთი რომ სომხური მიწა ყოფილიყო, ამას ხაზგასმით და სიამოვნებით აღნიშნავდა უხტანესი, მაგრამ ვერ ამბობს, იმითომ რომ ასე არ არის. სხვა სომეხი ისტორიკოსებიც პირდაპირ წერენ, რომ ჯავახეთი ქართული მიწა-წყალია. ჯავახეთის სომხურ მიწად ჩათვლა შეუძლებელია.

— **ცნობილია თუ არა თქვენთვის თანამედროვე ან თუნდაც XX საუკუნის დასაწყისის სომეხი ისტორიკოსი, რომელიც ჩვენს ანუ მართალ პოზიციას ემხრობა და სომეხ მეცნიერებს ეკამათება ჯავახეთის საკითხზე.**

— ასეთს მე არ ვიცნობ. თანამედროვე სომეხ მეცნიერთაგან ყველაზე დიდი იყო ერემიანი, რომელმაც გამოსცა სომხური გეოგრაფია და ისიც კი თავის შენიშვნებში ყოველთვის აღნიშნავს, რომ ჯავახეთი იყო გუგარქის შემადგენლობაში, გუგარქი კი სომხური მიწა-წყალია. გუგარქი ქვემო ქართლის მნიშვნელობით იხმარება სომხურ წყაროებში. ქართულ წყაროებში ეს სახელწოდება არ გვხვდება. საუკუნეების განმავლობაში ეს მიწა ხელიდან ხელში გადადიოდა. ბოლოს და ბოლოს, 387 წელს, ქართველებმა საშუალოდ დაიბრუნეს. მას შემდეგ უცვლელად ქართული მიწა-წყალია. დროდადრო სომეხი მოსახლეობა შემოდებდა ქართლში, თვლიდნენ, ეს ჩვენი მიწა-წყალია. სომეხი მეცნიერები ამ საკითხში ერთსულოვანი არიან.

— **თავისუფლ ისტორიულ წყაროებს რას უშვებთ სომეხები?**

— ისინი ასე ხსნიან. IX საუკუნიდან ჯავახეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობა გაქვლავდებოდა, ანუ გაქართველდებოდა. აქ წინააღმდეგობაში მოდიან საკუთარ თავთან. თუ გაქართველდა, მაშინ ახლა რაღომ არის ხელმოწერა გასომხებულნი? 1830-იან წლებში სომეხების შემოსახლება — ეს მათი დაბრუნება დასავლეთიდან თავის მიწა-წყალზე, ამბობენ.

— **რაც მთავარი და საშუალოა, მათი ბუნეს სუფრა, ბერე უცხოელი წინააღმდეგობა განაგრძობენ უმარე სომეხს და მათი ინტერესებს**

**დამცველ გამოცემთა (ეს გამოცემები კი ძალიან ბევრ ენაზე არსებობს) აზრს. მაღე იმ საშუარობის წინაშე არ აღმოვჩნდეთ, რომ ჩვენს ტრეჯერებსაც ვიღარ დავუტყობთ ვერაფერ, არა თუ სხვას.**

— გეთანხმებით, სავალალო მდგომარეობაა. სომეხი ერი დიდი რაოდენობითაა მსოფლიოში მოდებული. ყველა ქვეყანაში არსებობს მათი დიდი დიასპორა. XIX-XX საუკუნეებიდან მათ დაიწყეს სომხური ლიტერატურის გავრცელება, რუკების შედგენა. თვალი რომ გადაავლოთ, მათი წერილებითაა სასვე ევროპის თუ ამერიკის განუთები, სამეცნიერო ლიტერატურა. მათ გამოცემულ რუკებზე სომეხთი გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და მხელთაშუა ზღვიდან ირანამდე. შემდეგ ეს პრეტენზიები XX ს-ის დასაწყისში წარუდგინეს კიდევ მსოფლიო საზოგადოებრიობას და მოითხოვეს, აღედგინათ „სომხეთის მიწა-წყალი“. რა თქმა უნდა, მათი საბუთები მსოფლიო საზოგადოებრიობაში არ გაიზიარა. დიდი სომხეთის იდეა, რომელიც მათ XX ს-ის 20-იან წლებში ჰქონდათ, ჩაიშალა და დაიშხვრა; როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, გასკდა საანის ბუშტივით.

— **მთავარია მოვახერხოთ და თუნდაც იმითი დავიწყოთ, რომ აქ ჩამოსულ უცხოელ ტყუილებს დავაფხვდროთ მათთვის გასკდა ენა თარგმნილი ისტორიული მასალა ჯავახეთის და სხვა კუთხების შესახებ.**

— ჩვენ უკვე გამოვეცი საქართველოს მეზური, რომელიც დავიწყეთ ჯავახეთის ისტორიული ძეგლების აღწერით, ისტორიით. იქ მოცემულია ისტორია, ისტორიული გეოგრაფია ქართულ და ინგლისურ ენებზე. იმავეს ვაკეთებთ „არტანუჯში“, მაგრამ მაინც აუცილებელია, ეს ყველაფერი ინტერნეტში შევიდეს. თუკი ვინმე გამოჩნდება და ისტორიის ინსტიტუტს ამაში დაეხმარება, ეს იქნება ყველაზე კარგი ეროვნული საქმე.

— **კიდევ ერთხელ ვუბრუნდები ადრე ნათქვამს: ნუთუ არც ერთი რუსული გამოცემა არ დათანხმდება, გამოაქვეყნოს ქართველი მეცნიერის საპასუხო წერილი ჯავახეთის თემაზე?**

— რუსული პრესა მიჰყვება რუსული სახელმწიფოს პოლიტიკას. მათ ძალიანაც „ანყობთ“, თუკი სომეხები დამატკიცებენ, ჯავახეთი ჩვენიო. ახლა ისევ დგება საკითხი სამხედრო ბაზების გაყვანისა. იქაურ სომეხებს მიაჩნიათ, რომ ახალქალაქის ბაზას „ამშენებდა“ უზარმაზარი 15 X 3 მ-ზე წარწერა: თითქოსდა პასკევიჩის სიტყვებით: „Владей этой землей без опаски, Российская Армия тебя защитит“. აი, ასეთ ლოზუნგს მიმართავენ და აქვსებდნენ სომეხებს. მაშასადამე, მათ, ორივეს „ანყობთ“ ამგვარი წერილების დაბეჭდვა...

— **ხელი ხელს პზანაო, ისეთი სიტუაცია ყოფილა.**

— სწორედ ეგრეა. ჩვენ ან საერთოდ უნდა ვთქვათ უარი რუსეთში გასაგზავნი წერილების მომზადებაზე, რაკი მათ ცვლიან ან აქ უნდა ვბეჭდოთ და ინტერნეტში შევიდეთ. იყოს ის Православная энциклопедия უჩვენოდ, რაკი ასე სურთ.

... რედაქციაში მოსული ვრცელი წერილებიდან მინდა აქვე ორიოდე ფრაგმენტი შემოგათავაზოთ. ერთი წერილის ავტორი გახლავთ საქართველოს დემოკრატიის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ბატონი ანზორ თოთაძე. იგი არაერთგზის შეხება ამ საკითხებს. თავის დროზე მან უპასუხა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის მანუკ მანუკიანის წერილზე, რომელიც გახუთ „პიროპირნიე“-ში გამოქვეყნდა და „საქართველოს სომხურ კოლონიებს“ — ჯავახ-გუგარქს ეხებოდა. ბატონი **ანზორ თოთაძე** გვწერს:

— ისტორიულად ადრინდებდ ჯავახეთში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. აქაური მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მონაცემები

არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ხანაში (XI-XIII სს) და უფრო ადრეც, ჯავახეთის ქართველობა მცირერიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად ამ პერიოდში არ ამუშავდებოდა ადენი ქარვასლა, ციხე, ეკლესია-მონასტერი, სამეფო რეზიდენცია (დღივი, ღრტოლა, ბოჟანო, ვარძია, ალასტანი).

...საქართველოს სამხრეთ პროვინციის დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ ჩაატარა საყოველთაო აღწერა, რომლის მიზანიც დასაბეგრავი ობიექტების გამოვლენა იყო... „დავთარში“ აღნიშნულია ყოველი კომლის (ოჯახის) უფროსის სახელი, მამის სახელი და ზოგჯერ პროფესიაც. ქართველებით იყო დასახლებული, მაგალითად, სხვილის (ახალციხის რ-ნი), სადაც ახლა სომეხები სახლობენ. „დავთარში“ ვითრელობით აქაურ მკვიდრთა ქართულ სახელებს: პაპუნა, ლომინა, ბეჟან, გრიგოლა, თევდორე, მასარა, კვირიკე, ალდგომელა, ნამალა, შამია. ქართველები ცხოვრობდნენ ახალქალაქის რაიონის ამაჟამდ სომეხთი დასახლებულ სოფლებშიც: ვარეჟანში, ტურცხში, ბურნაშეთში, აზა-ვრეთში, კარტიკაში, აბულში... უკლებლივ ყველა ამ სოფელში გავრცელებული სახელი ყოფილა: ლაშქარა, პეტრე, დემეტრე, იასუკა, თევდორე, მერაბი, იმედა, საბა, ბერო, იანონი, ბეჟანი, ჯიმშერა, ირემა, ზოსიმე...

ასე რომ, „გურჯისტანის ვილაიეთის“ (და არა სომხეთის ვილაიეთის) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ეჭვს არ იწვევს. ამრიგად, XVI ს-ის მინურულს, 1595 წელს, ჯავახეთი თითქმის მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული.

ჯავახეთის პრობლემას გამოეხმაურა ეთნოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი **ლევან-ტი ჯანაშვილი**. XX ს-ის დასაწყისში ბორჩალოს სომხურმა საზოგადოებამ მოითხოვა ახალქალაქის მამინდელი მავრა ჩამოეშორებინათ თბილისის გუბერნიისათვის. იმდროინდელი კომისია (რომელშიც, სხვათა შორის ცნობილი სომეხოვლი — ვორონცოვ-დაშკოვი ხელმძღვანელობდა, კომისიის წევრები კი უმთავრესად სომეხი იყვნენ) იძულებული გახდა, მიეცა დასკვნა: ეს შეუძლებელია, რადგან ეს რეგიონი ძალიან მჭიდროდ არის ეკონომიკურად დაკავშირებული საქართველოსთან. დღეს რა ხდება? არ მოქმედებს ეკონომიკური ბერკეტები, რომლითაც ეს რეგიონი დაექვემდებარებოდა ჩვენს სახელმწიფოს და მოხდებოდა სომეხი მოსახლეობის ინტეგრაცია ქართველებთან. კარგი იქნებოდა, ნათვლითად გაველო ახალქალაქის ტერიტორიაზე... აქედან ჩასულ ქართველებთან ერთად იშრომებდნენ, ანაზღაურებას ლართი მიიღებდნენ. ერთი სიტყვით, ყბადღებელი საკითხი სამხედრო ბაზების გაყვანისა მოგვარდებოდა.

შეგახსენებთ, რომ რადიო „თავისუფლებამ“ გასულ თან კრისტოვ ფოჩის გადაცემაში, რომელიც სამცხე-ჯავახეთს ეძღვნებოდა, „ვირქის“ ხელმძღვანელმა დავით რსტიკიანმა თქვა: „ვი უზრუნველყოფ ჩვენს უსაფრთხოებას გარანტიებით, თუკი რუსები არ დარჩებიან? თურქეთის საიდუმლო სამსახურები მოვლენ და აქ თავის ძალაუფლებას დაამყარებენ. ისინი დაიწყებენ აქ ამერიკული დოლარის გამოყენებას, ჩვენ კი აღარებები ვართ და მოგვიხდება მათთან მუშაობა, ჩვენსავე სამშობლოში ისინი მონებად გვაქცევენ. ამ და სხვა მიზეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის ბაზების საქართველოში დარჩენას მოითხოვს.“



ბუზავეთი საფლავის ქვა

— მეტსაც გეტყვით, XIX ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ცნობილი პიროვნება ივანე ხატისოვი. ის იყო ავტორი პროექტისა, რომლითაც თურქეთიდან სომეხები უნდა გადაესახლებინათ შავიზღვისპირეთში, სადაც ციხეა და მალარია იყო გავრცელებული; ამიტომ რუსები ვერ უძლებდნენ იქ ჩასახლებას. ხატისოვის პროგრამით სომეხები და ბერძენები ჭაობებს ამოამოვდნენ, მერე კი შევიდნენ რუსეთში, მაგრამ სინამდვილეში ხატისოვის მიზანი უფრო შორს მიმავალი იყო. მას უნდოდა შექმნილიყო საფუძველი, რომ შემდეგ აფხაზეთიც ისეთივე სომხური მიწა გამხდარიყო, როგორც დღეს ჯავახეთია. მაშინ ეს პროგრამა გარკვეულწილად განხორციელდა კიდევ 1861 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ გაჩნდა სომხური დასახლებები შავიზღვისპირეთში. როგორც ვიცით, ამან პოლიტიკური პრობლემაც შეუქმნა საქართველოს, ასე არ არის?

აი, ასეთი კარგად გააზრებული პროგრამა ჰქონდათ სომეხებს. კანანიანის დებულებები ამ ტენდენციის გაგრძელებაა. დაუსრულებლად შეიძლება ჯავახეთზე საუბარი... უბრალოდ, ერთ ფაქტს შეგახსენებთ კიდევ: ჩვენ, ქართველებმა უკვე წავაგეთ დემოკრატიული ომი სამცხე-ჯავახეთში, წავაგეთ სინთორმაციო ომი რუსულ სამეცნიერო (და, რა თქმა უნდა, სომხური დიასპორის მიერ მრავალ ენაზე გამოცემულ) თუ საზოგადოებრივ გამოცემებში. რაღა დავგრა ჩა წასაგებზე? მხოლოდ საკუთარი თავი, რომელიც მხრებზე გვაბო. ეს არის ეს.

ლელა ჯიყაშვილი



**3** ლდის წევრზე გამაგნებელი სილამაზის ქალწული ჩამოვადარა, ოქროს თმა გაუშლია და ხან მღერის, ხან ტირის... თუ ვაყვამბო თვალი მოჰკრა, მისი სილამაზით დაბრმავებული ტრფობის ალბი ეხვევა და... ის დღეა და ის დღე — ნადირობის სიყვარულს მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად თუ გამოეთხოვება.

დღემდე სჯერათ სენათში — თუ დალი შეგიყვარდა და უერთგულე, წყალობას არ მოგაკლენს, თუ უღალატე და მის ტრფობაზე უარი თქვი, არ დაგინდობს — ან გადაგჩვენებს სადმე, ან ზეგავში მოგაყოლებს, ან სულაც შემთხვევით გასროლილი ტყვიის მსხვერპლად გაქცევს.

„მომეც ბედი, მომავალევი, ნადირთ სული ხომ მაინც შენია, შენს ჯოგს კი რა დააკლდება!“ — ევედრებიან მონადირეები ოჩოპინტრეს — ისიც უსრულდება... მის სხენებას ღიმილი და ნადირობის მხიარული ისტორიები მოსდევს ხოლმე. თუმცა სულხან-საბა მის სახელს ასე განმარტავს — „ცრუმონადირენი ნადირთ წინამძღვრად იტყვიან“...

დღემდე ლეგენდად დადის თბილისში — საშუა და მიშა იოსელიანებმა ერთხელ სანადიროდ ამ საქმეში გაუცნობიერებელი მეგობარი წაიყვანეს, ნანადირევი კურდღლის ტყავი თავზე დახურეს, აქაოდა მონადირედ უნდა გაკურთხოთო, თან ვითომ ოჩოპინტრეს ფიცი წაუკითხეს. ისიც იდგა დაწვდილი და დათას სისულელეს სერიოზულად ისმენდა...

მონადირეები ხშირად რქების და ფიტულების კოლექციას აგროვებენ — მსგავსი კოლექცია მინახავს იოსელიანების ოჯახში.

ბევრს უყვარს — განა ღირს მთა-მთა და ტყე-ტყე ხეტილი — ერთი ციდა გალუული მწყრისა ან თუნდაც უზარმაზარი დათვისთვის, რომელმაც შეიძლება ისე დაგტოროს, ვერც გადარჩე?

მონადირეები ამ ლტოლვას აზარტს მიანერენ.

ნადირობის სეზონი 15 აგვისტოდან თებერვლის ბოლომდე გრძელდება. ყველა ცხოველს და ფრინველს თავისი პერიოდი აქვს — ჯერ მწყერზე მივდივართ ხოლმე, შემდეგ ტყის ქათამზე, კაკაბზე, ხობხობზე. ნადირსა და გარეულ იხვებზე ზამთრობით ვნადირობთ, — მიყვება გამოცდილი მონადირე...

რომელი თოფით ნადირობთ? ვიყენებთ სანადირო თოფებს, გლეჯულუნიანებს, საფანტით დატყენილს... ნადირზე კარაბინიც მიგვაქვს ხოლმე.

თურმე გარკვეულ ადგილებსა და პერიოდებში ნადირობა აკრძალულია...

რა თქმა უნდა... ნაკრძალებში არ უნდა ინადირო — ეს დამწესმაც კარგად იცის, არ შეიძლება გამრავლების პერიოდში ესროლო ცხოველს ან ფრინველს. აკრძალულია დედალი ხობხის მოკვლა... ათასი რამეა — მონადირეებს საკუთარი დაუწერელი კანონებიც აქვთ.

— მაგალითად? — თუ ფრინველი მოკალი, შენია, თუ ნადირი — ყველას თანაბრად უნდა გაუნანილო, აუცილებლად იქვე უნდა შენვა მწვანე... დამწყებ მონადირეს ზუსტად უნდა აუხსნა ყველაფერი, თორემ შეიძლება უბედურება დატრიალდეს... ადამიანის მიმართულებით თოფი არასდროს არ უნდა დაკეტო... ზევიდან ქვევით არ უნდა ისროლო... თუ შენ წინ კაცი დგას და მასთან ახლოს ფრინველი ფრინველი, არ უნდა დაასწრო სროლა — არ შეიძლება. თუ დიდ ცხოველებზე — შველზე, დათვზე ან ღორზე ნადირობ, ტერ-

## გაღნიერ ნადირობას გისურვებთ, ქართულ მიუნაუზენებო!

იტორია ინომრება, ყველამ თავისი ადგილი იცის. არ უნდა განიძრე, შეიძლება 2-3 საათიც მოგიხდეს ლოდინი. სიგარეტი არ უნდა მოსწონო — ცხოველი გემს იღებს და აღარ მოდის. თუ ღორს ჩაუსაფრდი, მოულოდნელად გამოჩენილ კურდღელს არ უნდა ესროლო...

— არ გეცოდებათ ხოლმე შველი, ან თუნდაც დათვი?

— ამ გრძობას აზარტი გობნის...

— რა ჯიშის ძაღლები დაგყავთ სანადიროდ?

ფრინველებზე უფრო მეტხარია ძაღლები მესმარებიან — პოინტერი, სეტერი... ნადირზე — მდევრები ჯობია. არიან სიროს ძაღლებიც — ტაქსები, ფოქსტერიერები, იაკტერიერები...

— ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ დაჭრილი ნადირი აქეთ გადმოსულა შეტევაზე?

— დაჭრილმა ღორმა სხვადასხვა დროს რამდენიმე ძაღლი მოგვიკლა. ერთ ღემს მეგობარს კი, რომელმაც დათვს ესროლა, დაჭრილი ცხოველი ღრიალით მოუბრუნდა. მეორედ თოფი ალარ გაიხსნა. კიდევ კარგი, ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ნადირი ხუთი-ექვსი ნაბიჯის შემდეგ დაეცა...

... როცა ამ თემაზე საუბრობ და წარმოიდგენ აზარტში შესულ თოფმომარგვებულ მონადირეებს, საკუთარ ძაღლებს რომ უხმობენ, არ შეიძლება ილარიონის ტყვიით გულგანგმირული საცოდავი მურადა არ გაგახსენდეს... კარგი ძაღლი კარგად დაგვირგვინებული ნადირობის ნახევარს ნიშნავს — ნათქვამია. პატრონს ყველაფერს ურჩევნია საკუთარი ბიძები, დანოები, მარგოები, ჯულიები, ჯინები... ჯული ძაღლისთვის რამ დაგარქმევინაო, ჰკითხეს ერთ ცნო-

ბილ მონადირეს. საყვარელსაც ჯული ჰქვია და ლამე რომ მბობდებს, ცოლს ჰპონია ძაღლს ვეძახიო — უბასუხა.

ცხოვრობდა თბილისში სიმარჯვით სახელგანთქმული ძაღლი ბემბო, რომელიც წლები მანძილზე ერთგულად ემსახურა პატრონს — რამდენი მწყერი აუფრენია, რამდენ ნადირს ჩადგომია კვალში, ვინ იცის... დაბერდა ბემბო, დაყრუვდა, მაგრამ ვინ მოეშვა... ბოლოს სულ დაკარგა ნადირობის ინტერესი — ბალახზე წამოწებოდა, ყვავილებს ყნოსავდა, პეპლებს დასდევდა. თვითმხილველები ჰყვებიან,



ერთხელაც ტბაზე იხვებზე სანადიროდ წაუყვანია პატრონს და მის მეგობრებს. გასაბერ ნავში ჩამსდარან ყველანი და ბემბოც ჩაუსვამთ. ძაღლს თათი ჩაუყვანა წყალში, ჭკვიანი თვალებით მუხუხდავს იქ მყოფებისთვის, თავი გაუქნევია, ნავიდან გადმომხტარა და მანქანის ქვეშ შეუყუწულა — ძალიან ცივა და ამ ნავს ვერ ვენდობო — „მიუხლია“ პირში პატრონისათვის. მართლაც, ნაპირთან ახლოს ნავი გამსკდარა და გაყინული წყლიდან ძლივს გამოუსწრაიათ მონადირეებს. დღემდე უუბნებიათ მის პატრონს — ბემბო შენზე ჭკვიანი იყო.

მონადირეების კიდევ ერთი თვისება — ტრახახი და ერთმანეთის შესახებ სასაცილო ისტორიების მოყოლა... ამიტომ ქვეყნად არ არსებობს დალის კულტის მსახური, ცოტათი ბარონ მიუნაუზენს რომ არ ჰგავდეს... თანაც — საკუთარ მარცხს სხვებზე ჰყვებიან, სხვების წარმატებულ ნადირობას კი თვითონ მიინერენ ხოლმე...

ერთხელ, კაკაბზე ნადირობისას, ერთმა მონადირემ ფრინველს გაარტყა. დაჭრილ კაკაბს გაქცევა სცოდნია, ამ დროს განცალკევებით მომავალ ჯგუფის მეორე წევრს შეჰფეთებია გზაში. მასაც პაუზი უსვრია, დაჭრილი კაკაბი აუყვანია და ყვირილით აუკლია იქაურობა —

აი, რა მოვალეო...

— დადე მანდი! — უცებ დაუძახია იქვე ჩასაფრებულ წარმატებულ სროლის ავტორს, რომელიც თურმე თვალს ადევნებდა ყველაფერს... აქედან მორალი: მონადირე არ უნდა იყოს მატყუარა და ხარბი — ასევე მისი მეგობრები...

ერთ დღეს მონადირეთა ჯგუფს უცხო წევრი შეუერთდა, თურმე ირწმუნებოდა, ამ საქმეში გამოცდილი ვარო. ზემოთ მოთხრობილი ისტორიის მატყუარა პერსონაჟს ამ ამბის შემდეგ ასეთი თვისება დასწმედა თურმე — ვინმე რომ არ შედავებოდა, ისროდა თუ არა, მაშინვე ნანადირეისკენ გარბოდა — აი, რამხელა მწყერი მოვალეო. ერთხელაც, აფრენილ მწყერს რომ ესროლა და ჩამოაგდო, ასაღებად მისკენ გაიქცა. ამ დროს მეორე მწყერიც აფრენდა. იმ „ახალბედა“ არ დააყოვნა და მწყერის ასაღებად დაკუზული მონადირე იმავე პოზაში გამემდა თურმე. სასერიოზო ჰქონდა საფანტისაგან საჯდომიო — იცინოდნენ და აქვე კიდევ ერთ დასკვნას აკეთებენ — მონადირე არ უნდა იყოს ბაქია და ამპარტავანი!

კიდევ ერთი შემთხვევა: გარეულ ღორს ჩაუსაფრდნენ მეგობრები, ანუ როგორც თვითონ ამბობენ, ნომრებზე დადგნენ. ცივა... ყინავს... სირჩუქა... ერთ-ერთმა იგრძნო, როგორ ეყინება სისხლი ძარღვებში... დიდხანს არ შეიმჩნია, მაგრამ როცა მიხვდა, რომ შეიძლება, მართლაც მომკვდარიყო, საშინელი სროლა ატეხა — „ნომერი დაიშალა“ (ესეც სამონადირეო ტერმინია). დაწარჩენებს ეგონათ, რამე მოკლა და იმითომ გვიხმობსო — დაინახეს ფერდაკარგული, გალურჯებული და შეშინებული მონადირე, რომელმაც მუდარის თვალით შეხედა მეგობრებს და მხოლოდ ეს ამოილულულა — „დამბრუნეთ ცივილიზაციაში“. მას შემდეგ ეს სიტყვები მონადირეების ტერმინად გადაიქცა და ამ ამბის მორალი ასეთია: რისი გაკეთების თავიც არ გაქვს, ნურასოდეს შეეჭიდები!

აი ასე, სხედან და ჰყვებიან თავგადასავლებს დალისა და ოჩოპინტრეთა მსახურები, ხან ცოლებთან ტრახახობენ, ხან შეიძლება, შიგადაშიგ ასწავლიან — ერთ ჯერზე 25 მწყერზე მეტის მოკვლა არ შეიძლება, ერთ ცალკვალზე ორზე მეტი დიდი ნადირის მოკვლა ცოდვაა, ნადავლი ათასს რომ მიაღწევს, თოფი მინაში უნდა ჩაწყა და თავი დაანებო ნადირობასო...

არავინ იცის, ვინ მოიგონა ეს წესები...

მონადირეებს კი გასახსენებელს რა გამოუღვებს... მათი მოსმენისას სულ ბარონ მიუნაუზენის რჩევა მახსენდება: თქვენც გირჩევთ — როცა ცეცხლის დანთება მოგინდებათ და კაუი თან არ აღმოგაჩნდებათ, თვალზე მუშტი მიირტყით, ნაპერკლბები გადმოყარეთ, თოფის წამალიც მამწინვე იფეთქებს და ერთ ჯერზე შეიძლება ათი ისეც გამოასალმოთ ნუთისოფელს...

ბედნიერ ნადირობას გისურვებთ, ქართველო მიუნაუზენებო!

ეკა მახარაშვილი

**8-14** „ქართული ნების ქაზინო“  
**გაზაფხულის სეზონი**  
**თბილისის ნებისთიან გულგანგმირებს**  
**ასევე მოხილვას გეუფრენებდას**  
**ესაუბრეთ მსოფლიოს!**  
**საერთაშორისო ქაზინოს ოპერატორი**  
**საქართველო - საერთაშორისო ქაზინოს ოპერატორი**  
**სემლუბერულებით:**  
 \* მარდალაშხა სატელეფონო ჩაზეხები (პ-ქვეთრდასხა სთაქრდა);  
 \* ტერსიონალური კოდები;  
 \* სატელეფონო მარდალაშხა; სატელეფონო;  
 \* ობიექტისთრთი (24 საათი)  
**გადასტავ ქონააწილის ოფისში**  
**მის: მამე ურბანუას ქ. ტაყაშენი: 25-65-65; 65-65-24**

## ბათურა-ბიძის... ადამიანური სეზონი!

(P.S. რაც აუცილებლად უნდა გვახსოვდეს!)

არ ვიცი ახლანდელმა ბავშვებმა იციან თუ არა ამბავი ძაღლისა, რომელიც თოვლივით ქათქათა იყო და მხოლოდ ყური ჰქონდა შავი, სახელად კი ბიძი ერქვა. ჩემი თაობისთვის გაბრიელ ტროეპოლსკის ნიგნი „შავყურა თეთრი ბიძი“ ნამდვილად სა-მაგიდო იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მის მიხედვით ფილმიც გადაიღეს და ფიქრებში წარმოდგენილი საოცნებო ორფეხა მეგობარი რეალურ არსებად იქცა. უფრო სასურველი საჩუქარი არც არსებობდა მაშინ ჩვენთვის, ვიდრე ლეკვი, რომელსაც ბიძის ვარქმევდით და სიყვარულით ვზრდიდით. იმ დიდი სიყვარულით, ტროეპოლსკის პუშინურ ნიგნი რომ დავინახეთ და რომელიც ასე აუცილებელია ადამიანებისთვის, მით უფრო ბავშვებისთვის.

ბიძის გახსენებით რატომ დავიწყებ ამ წერილის წერა, მაღე მიხედვით, მანამდე კი კიდევ ერთი საოცარი ნაწარმოები მინდა გაგახსენოთ — ეგვიპტურის „პატარა უფლისწული“ — დილოგი უფლისწულსა და მელაკუდას შორის: „ადამიანებმა დაივიწყეს ეს ჭეშმარიტება, მაგრამ შენ არ უნდა დაივიწყო იგი: შენ ვალდებული ხარ იზრუნო იმაზე, ვინც მოიშინაურე!“ — ამბობს უფლისწულთან მოსალოდნელი განსივებით შემფოთებული მელაკუდა.

...ქუჩები კი უბატრონო ძაღლებით და კატებითაა სახე, რომლებსაც სცივობა, შიათ და ადამიანებზე სტიკივით მარტობა, თუმცა არც მითოვებულ ცხოველებზე ვაპირებ ახლა წერას და ან კი რა უნდა გითხარათ ახალი, ისეთი, რაც თავადაც მშვენივრად არ იცით?!

ბიძიც და პატარა მელაკუდას სევდაც ერთი ძაღლის ტრავგიულმა სიცოცხლემ თუ განწყობილებამ გამახსენა. ის ქართული ნაგაზია, თუმცა მთლად წინდა სისხლის და ჯიშის არ არის, ხასიათით მაინც თავის სახელოვან წინამრებს ჰგავს: დინჯი, ავისა და კეთილის გამრჩევი, საქმიანი და მოსიყვარულე. ისეთი თვალეით აქვს, გეგონება, საცა ლაპარაკსაც დაინყებს და მოგიყვება... თავისი სიყვარულის შესახებ...

ბათურა დაბადების დღეზე აჩუქებს. სამწუხაროდ, გოგონა ძალიან ავად იყო და მისი უზარმაზარი სიყვარულის დამტევი პატარა გული იმ ექვსი წლის „ნიმშივას“ ვეღარ უძლებდა, სიცოცხლეში მოსვლიდან რომ აითვალა. პირველ სექტემბერს სკოლაში ვერ წავიდა და როცა ფანჯარასთან

მდგომმა ცრემლიანი თვალი გააყოლა თავის ტოლებს, რომლებსაც პირველკლასელები ერქვათ, ბაბუამ თხოვა: ოღონდ ნუ იტირებ და რაც გინდა მოხოვე, ციდან ვარსკვლავებსაც ჩამოგიკრეფო!...

— ვარსკვლავი რომ მოწყვიტო, ჩაქრება და ვეღარ იციმციმებს, იყოს ცაში, იცოცხლოსო! — თქვა დაფიქრებულმა და თუ არ იტირა, მხოლოდ იმითომ, რომ ბაბუას არ ატკინა გული, საყვარელ ბაბუკას, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა, რით გაეხარებინა შეილიშვილი.

სამ სექტემბერს იყო დაბადების დღე და უამრავი საჩუქარი, რომელთაც გულგრილად ათვალეიერებდა პატარა ქალი... რატომღაც არასოდეს უყვარდა ცივთვალეა დედოფალეები და პლუმის დათუნებები... მოწყენილმა სავარძელში მოიკალათა და საყვარელი ნიგნი გადმოიღო: „ბიჭი და სახურავის ბინადარი კარლოსის“ გვერდი მოტყნა, სადაც მასვლით მოწყენილი ბიჭუნა საკუთარ დაბადების დღეზეც კი ვერ იყო ბედნიერი, რადგან არ აჩუქეს ის, ვისზეც ამდენს ოცნებობდა — ლეკვი, პატარა, ფუმფულა ლეკვი...

— ბაბუ-ა-ა! — დაიძახა ისე ხმაილად, ერთად შემოვივდნენ ოთახში დედაც, მამაც, დეიდებიც და რა თქმა უნდა, ბაბუა: „აი, რა მინდა... ის... მეგობარი მჭირდება, ნამდვილი მეგობარი!“ — სათქმელს თავი ვერ მოუყარა „აღმოჩენით“ დაბნეულმა გოგომ.

— ვინ მეგობარი?! — მხრები აიჩეჩა მამამ.

— ლეკვი... მაჩუქეთ ცოცხალი ლეკვი და აღარ ვიქნები უბედური! — ასე უცნაურად შეაფასა ქეთი თავისი განწყობილება და ბაბუასთვის საკმარისი აღმოჩნდა ესეც. შინაურების წინააღმდეგობის მიუხედავად, პიჯაკი მოიცვა და ღამის სიბნელეს შეერია. იცოდა, მეგობრის ძაღლს გაუჩნდა ლეკვები სამიოდე კვირის წინ...

ბათურა წითური იყო და ისეთი პატარა, ქეთის უცებ შეშინდა კიდევ მისი ხელში დაჭრა. ლეკვიც კანკალედა და წკუტუნებდა, დედას ეძებდა, შიშით გუბეც კი დააყენა ხალიჩაზე და ისე გადაიკისკისა ქეთიმ, ამ ერთ გაცივებად ღირდა ბათურას საზოგადოება აეტანა ბუბიას, რომელსაც არასოდეს უყვარდა ცხოველები სახლში. იმ ღამეს მშვიდად ეძინა ქეთის...

(გაგრძელება იხ. 83-22)





ქიხლი ან მკვლევარი

ქიხი... მკვლევარი... მკვლევარი... მკვლევარი...

წარდგომა

როცა მოკვდები და ჩემს სხეულს ცივ სამარეში ჩაასვენებენ...

რეკისორი და მწერალი გოდერძი ჩოხელი ახალი ლექსებით

საქართველოში, რომელიც მთელი სახელია... მთელი სახელია...

მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ...

მიყვარხარ, სამი დღის მთავრად... მიყვარხარ, სამი დღის მთავრად...

მე კი დავრჩები

მე კი დავრჩები ქვეყანას... მე კი დავრჩები ქვეყანას...

ერთი დრო არც შენ

მტერი, წამართვი მამული... მტერი, წამართვი მამული...

სურვილი?!

ისეთი ძლიერი მინდა მეცინოს... ისეთი ძლიერი მინდა მეცინოს...

იმედი, წარწერილი საფლავის ქვაზე

იქნება ის ქვეყანა სკოლის... იქნება ის ქვეყანა სკოლის...

მესაქმე

მიმოდიოდა სული წყალთა და ხმელთა ზედა... მიმოდიოდა სული წყალთა და ხმელთა ზედა...

სად გაგონილა

მეც მქონდა ჩემი მამული... მეც მქონდა ჩემი მამული...

ნუ შეშინდები

სწორედ იქ უნდა გვეკრიფოს... სწორედ იქ უნდა გვეკრიფოს...



გურამ რერვაკე "ნაკურჩხლის ტყე"


მრეკელი კანონები, ოდნავ დაუმთავრებელი წინადადეგებით...



დრამატურგი რეზო კლდიაშვილი: 15 წელიწადში ბოთლავის ნახვალად, ყველას ბავიბს გვესპირიან ის ბიჭები...

ნიგინი რომ გაჩნდა, მერე დავფიქრე... ნიგინი რომ გაჩნდა, მერე დავფიქრე...

ეს მარტო ჩემი ტრაგედიაა? ამას ხომ ყველა ხედავს? ხედავს და უნდა თქვას...



სახეტილო და სათქმელი? რამდენიც გინდათ... სახეტილო და სათქმელი? რამდენიც გინდათ...

დავარქვი მოთხოვნების კრებულს... დავარქვი მოთხოვნების კრებულს...

ეთერ ერადე

რა პაპიური აქვს გიორგი ყიფშიას პოლიტიკა...



„ას ნათვის ახალი ხილია...“

გეორგი ყიფშია, რომელიც დღის სინათლეს იპყრება თბილისში...

შეუთავიანებენ სტენარი დაწერეს სუბარ მადიანი და კიდევ უფრო...

ერთივე დროს კინოშიაბოლოა თვინი, რომელიც თქვენ მოედინათ...

როგორც კიორგი მარცხელაშვილი შეგვამარა, სარემონტო სამუშაოები...

ქვეყნებს და ზნაზ სინემატიონის უმაღლეს დონე გადმოიხსნა...

საგარეო უკუღმდეგობა საკმაოდ ცუდაა... საერთოდ, გგონია, რომ ჩვენში...

ქვეყნებს და ზნაზ სინემატიონის უმაღლეს დონე გადმოიხსნა...

როგორც ვიცი, ლეან ზაქაროვილიც გიჟიდა და ფლანო...

მათარ სამსახურში სიბრძნით, მაგრამ ვაჭარებს ზერი რამეში არ უყო...

Table with 5 columns: მთავარი კურსები (Main Rates), დამატებითი კურსები (Additional Rates), and other financial indicators. Includes exchange rates for various currencies and commodities.

Table with 5 columns: მთავარი კურსები (Main Rates), დამატებითი კურსები (Additional Rates), and other financial indicators. Includes exchange rates for various currencies and commodities.



„გულნიკი“ გიორგი ბუკიაძის შუამდგომლობა

2002 წლის მიწურულს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ კიდევ ბერიკა გული...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

„არსული ვაჭარი“ სად გაიშარა? ისე მომხერხდა დაიწყო ამ თვანზე...

Advertisement for 'კარტული და უცხოური მუსიკალ-გაზეთების გამოცემა' with contact information and a cartoon illustration.









**თარაზულად:**




7 მარკიზა, რომლის კრედოც იყო: „ხელმწიფემ არასდროს არ უნდა მოიწინოს“



8 ფაშისტა მიერ საბჭოეთზე თავდასხმის საიდუმლო გეგმის კოდური სახელწოდება



10 ბერკეტი



11 პირველი „ჯიპის“ შემქმნელი ფირმა



12 გამდნარ ყველში ჩაწობილი პურის ნაჭრები (კერძი)



16 ძნელი ამოცანა



18 მომაზებრებლად მოლაპარაკე




19 ფირმა, რომლის მობილურს გააჩნია ორი კლავიატურა და შეუძლია 4096 ფერის გარჩევა



20 საუკეთესო მწვადი დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით




21 პატარებისთვის შეთხზული ამბავი



25 სიყვარულის გამოხატულება



26 დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი



27 უძველესი ინგლისური საკვირაო გაზეთი, რომელიც 1791 წლიდან დღემდე გამოდის



30 ცხოვრების მხატვრულად, დრამატული მოქმედებით განსახიერება



33 ელევანტურობის განსახიერება კლარკ ...




34 მოგზაურობის მოყვარული (თუნდაც კოსმოსში)



35 ფოტოაპარატის ძირითადი ნაწილი

36 ორგანიზმის შეუვალლობა დასნებოვნების მიმართ



1 დაუფინყარი დღე




2 ერთფეროვანი გარემოდან გამორჩეული ადგილი



3 ცურვის სტილი



4 მწვობრი ნაბიჯით სვლა



5 ესპანელი კონკისტადორი

6 წარმოდგენათა შორის ისეთი კავშირი, როდესაც ერთის წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით



9 მშენებარე ნაგებობა




13 სკულპტურა




14 ბრტყელი ქელი



15 უფროსის „მარჯვენა ხელი“



17 სპორტსმენი




22 საჯარო გამოსვლა




23 სუპერკონტინენტი



24 ეთერზეთების შემცველი სწრაფად მზარდი ხე



28 სასუნთქი მილის განშტოება



29 სახელმწიფო ევროპაში



31 სასროლი მასალა



32 ხილი

**კროსკორდი შუადგინა რამაზ ალანიამ**

„კვირის პალიზა“ №46 კროსკორდის პასუხები: თარაზულად: 5. კაზანოვა; 6. ბალატონი; 9. შლიახტი; 10. ოკენე; 11. „ასტიკა“; 15. ანტიკვარი; 17. მდელი; 18. მარტი; 19. ატაკამა; 20. ბრეტონი; 24. კენი; 25. აკაკი; 26. ევპატორი; 29. სტუდია; 32. პენსია; 33. რექტორი; 34. იორკ-შირი; 35. სტავრიდა.  
შეუღლა: 1. ბარონი; 2. ოვალი; 3. იახტი; 4. სტელსი; 5. კონკორდი; 7. ინოკენტი; 8. ვალენსა; 12. გუნდარევა; 13. სტიპენდია; 14. პლატინა; 16. ბარტოკი; 21. ბარონი; 22. ბატისტი; 23. რკინიგზა; 27. პიჯაკი; 28. დეკორი; 30. შეფრო; 31. კრიტი.

# შვირსნი



## თევზი ხსენება ტვინი

თქმულების მიხედვით, თევზი ხსენება ტვინი. ეს სრული სიმართლეა, — მიიჩნევს ცნობილი ინგლისელი დიეტოლოგი მაიკლ კროუფორდი. მისი აზრით, ტვინის მნიშვნელოვანი სტრუქტურული კომპონენტია ამინომჟავა ომეგა-3-ის შემცველი ზღვის პროდუქტი, რომელიც ნაყოფის განვითარების პერიოდში გადაცემა ბავშვს დედისაგან პლაცენტისა და რძის მეშვეობით. დოქტორ კროუფორდს და ზოგიერთ მის კოლეგას მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ ნივთიერებას აკისრია დიდი პასუხისმგებლობა ადამიანის ინტელექტის განვითარებაში. მათი დასკვნით, ადამიანის საკვებში ამინომჟავის დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს

გონებასუსტობა და შიზოფრენია.

თევზისა და თევზის პროდუქტების ხშირი მიღება ხსენება მეტყველებაადარდვეული ბავშვის ქცევას, ჰიპერაქტიურობასა და კარგი პროფილაქტიკური საშუალებება აუტიზმის დროსაც.

დიეტოლოგი ურჩევს ფენომიმე დედებს, მიიღონ ამინომჟავა ომეგა-3-ის შემცველი პროდუქტები, განსაკუთრებით, თევზი.

ტრუდ-7 №120

## სინაზე — ნამაღია

ალმოჩინა, რომ ადამიანის განსაკუთარი იმუნური სისტემა განაჩნია, რომელიც ორგანიზმს მყარად იცავს ვირუსებისა და ბაქტერიებისგან. ხოლო საყვარელი ადამიანის ნაზი შეხება საგრძობლად ზრდის ეპიდემიისის დამცავ თვისებებს. ექიმი-იმუნოლოგი დარწმუნებული არის: სინაზე ნამაღი ვითარდება და შეუძლია ადამიანს გრიპი და გაცივება აარიდოს. კოცნისა და ალერსის მიმართ არც ტვინი განსაკუთრებით მგრძობილი. ის აქტიურად იწყებს ბედნიერების ჰორმონის — ენდორფინის გამოშვებას. ალერსი ებრძვის სტრესს, გმამბებთ ძალას, გა-



ჯანსაღობა, გაახალგაზრდავებთ. აი, ამიტომ, ამბობენ მედიკოსები, ვინც ალერსიანი და კონცა-მოფერება უყვარს — მეტსანს ცოცხლობსო.

კალეიდოსკოპი №47

### სისხლი შაჰის სახომი აპარატი

შან „კონტაინი“  
გოგამიის 4  
☎ 35-44-05;  
899-19-60-55

**95 ლ.**



## „ქვირის კალიზრა“ ნარმოვიღანთი! განახლებულ ჟურნალს



**თქვნი და თქვნი ოჯახის ჯანმრთელობისათვის!**



**გათხოვნი მოგვითხროთ ბრტყელტერფიანობის შესახებ. როგორ ავიცილოთ თავიდან, მისგან გამონწვეული დისკომფორტი?**

**კ. ყვანია, თბილისი**

## ბრტყელტერფიანობა



ქცევას, ხსნის ტკივილს. ეს გახლავთ აგრეთვე მეორეული დეფორმირებადი ართროზის პროფილაქტიკაც. საგულისხმოა, რომ ორთოპედიული საშუალების გარეშე არც ერთი შემთხვევაში აღნიშნული პროცედურა ეფექტიანი არ არის. საწყის სტადიაზე საკ-

მარისა ორთოპედიული საფენები, რომელსაც ჩვეულებრივ ფეხსაცმელში ათავსებენ. მაგრამ თუ დეფორმაცია ძლიერია, ექიმი-ორთოპედი ტერფის ინდივიდუალური ზომის გათვალისწინებით ნიშნავს ორთოპედიულ ფეხსაცმელს.

თუკი კონსერვატიული მკურნალობა შედეგს არ გამოიღებს და ტკივილი კვლავაც გრძელდება. დგება ოპორაციული ჩარევის საკითხი. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია ბრტყელტერფიანობის განვითარების პროფილაქტიკა, რომელიც ადრეულ ასაკში უნდა დაიწყოს. მიეცით ბავშვს ნება, დახმობდეს იაროს ბალახზე, მოლზე, აცოდეს თოვზე; კარგია ცურვა, თბილაშუბრებით სრიალი. სამკურნალო ტანჯარჯის დროს გააძვირეთ ყურადღება ტერფის გაძლიერებაზე.

### როგორ შევარჩიოთ ფეხ-შვირსნი

ქვირის კალიზრაში მკურნალობის მიზანმიმართულ ღონისძიებებში უმთავრესი ადგილი უკავია ფეხის სისხლძარღვების დაზიანებას და ტრავმას. ზოგიერთ ადამიანს ბრტყელტერფიანობა სქესობრივი მომნიშვნის პერიოდში უვითარდება. ტერფის დეფორმირება ხდება იმ ადამიანებშიც, რომელთაც მუდმივად მოუხერხებელი ფეხსაცმელი აცვიოთ — ძალზე ვიწრო ან მაღალქუსლიანი. ამ დროს ფეხის სიმძიმე ტერფის ნინა ნაწილზე გადადის.

ბრტყელტერფიანობა ადრეულად ვლინდება ფეხის მომავლელ დალილობის შემგონებით, ზოგჯერ შემთხვევითაც.

ბავშვობაში ფეხბურთის თამაზის დროს მოვლენი დალიონის ძალი მკურნალობის შემდეგ ძალი შეხორცდა, მაგრამ მკონდა გარკვეული დეფორმაცია. ახლა უკვე სტუდენტი ვარ და სწორად ვფიქრობ აზის შესახებ. გათხოვნი, მიხარია, რა გართულდა შეიძლება მოჰყვეს დალიონის არასწორი შეხორცება?

კლინიკურ პრაქტიკაში ხშირია დალიონის არასწორი შესორცების შემთხვევები. როგორც წესი, ეს არ იწვევს ხელის ფუნქციის სერიოზულ დარღვევებს და ქირურგიულ კორექციას არ საჭიროებს. დალიონის მოტეილობის კონსერვატიული მკურნალობის დროს მოტეილი ნაწილების დაფიქსირება საკმაოდ ძნელია. იდეალური შეხორცება მხოლოდ ქირურგიული მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი. მაგრამ ოპერაციას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე, როცა დალიონის მახლობლად მდებარე ნერვულ-სისხლძარღვოვან ნსულს ექმება დაზიანების საშიშროება. სხვა შემთხვევებში ოპერაცია არაა ნაჩვენები. დალიონის არასწორი შეხორცებით მიღებული დეფორმაცია რაიმე მძიმე გართულებებს არ იძლევა.

თქვენ არ გაქვთ სწორი ინფორმაცია. დასავლეთში არსებობს დიაგნოზი — „პერინატალური ანუ პოსტნატალური (ყინბადის ნაკლებობის შედეგად განვითარებული) ენცეფალოპათია (ტვინის განვითარების მანკი). თვით ტერმინი ამერიკელმა მეცნიერმა სორმატმა შემოიღო. მანვე შეადგინა ბავშვის მდგომარეობის შესაფასებელი სკალა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული დავადება ხარისხება შეიძლება დაყოფოს. სულ სხვა საქმეა ის, რომ ჩვენში ამ დიაგნოზს მართლაც ძალიან იოლად სვამენ და შესაბამისად იოლად ნიშნავენ სათანადო ნამაღებს.

მოამზადა თამარ მამაცაშვილი








# ცხოვრებისეული კურიოზები

## დეცას არ დაუჯერა...



ჩემი მეზობლის პატარა ბიჭი, ზურა ერთ მშვენიერ დღეს ეკითხება მამას, რომელიც დღე-ღამე ტელევიზორს უყურებს (სადაც ამ ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ჯეოსელის ლატარიის რეკლამა გადის).

— მამა, ვახტანგ გორგასალმა არ იპოვა ცხელ წყალში ჩავარდნილი ხოხობი და იქ არ დააარსა თბილისი?

— მამაააააააა, ეს რა კითხვებს იძლევი! — გაგულისდა ჩემი მეზობელი. — სკოლაში არაფერს სწავლობ და ტელევიზორს მაინც უყურებ! ვერ ხედავ, დუტა ამბობს, თბილისი დავით აღმაშენებელმა დააარსაო!..

კიდევ კარგი, ზურა გონიერი ბიჭია და არც მამას დაუჯერა და არც დუტას...  
ზ. ჩ., თბილისი

## ცეცხლოვარების შიში

ბებიაჩემი როზა ჩხეიძე ჩაის ფაბრიკაში მუშაობდა. ფაბრიკაში რემონტი მიმდინარეობდა და ბუბოს უფროსმა საბუღალტროსა და ფისი, ანუ გულდრონი მოეტანა. ბებია საქვარები მივიდა და ცეცხლოვარებს, ალიოშა ს.-ს უთხრა, — ალიოშა, ფისი მინდაო. გადარიდა ალიოშა, — ქალო, რაღა ჩემს „კაჩიგარიაში“ მოგინდა ფისი, სხვაგან ადგილი ვერ ნახეო?! აქეთ ბებიაჩემი გახდა თურმე გასაკავებელი, — ამხელა ქალს ასეთი რამ რავა მკადრაო!..

ნოსო ბილიზოძე, სოფელი შრომისუბანი



## ძალად ავადმყოფი



ქარელელი ელექტრომონტიორი ტატო ხიტიაშვილი საქმის კარგ ცოდნასთან ერთად ოინბაზობითაც გამოირჩეოდა და ამით ერთგვარი სიხალისე შექმნიდა კოლეგებში.

ერთხელაც, ღამის მორიგეობისას ელექტრობოძიდან ჩამოვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად არაფერი დაშავებია და თავსაც ნორმალურად გრძნობდა, ბრიგადირმა თავის დაზღვევის მიზნით მინც გამოიძახა სასწრაფო დახმარება და რადგან (როგორც ყოველთვის) ექიმები იკვირებდნენ, მათ „საძებრად“ გაეშურა...

სამორიგეობაში მხოლოდ დაზარალებული და მისი მენეჯერი ზურაბ გ. დარჩნენ. ეს უკანასკნელი ტახტზე მინოლილიყო და ტკბილად ეცინა...

ამასობაში თეთრხალათიანებიც მოგრიდდნენ (ბრიგადირი გზაში ასცდნოდათ), გამაყურებელი ხსნარით სავსე შპრიცი ხანჯალივით შემართეს და რომელია ბოძიდან ჩამოვარდნილი ავადმყოფი, რიხიანად იკითხეს.

ტატომ ოინბაზობა არც ახლა მოიშალა და თითი არხეინად მიძინარე კოლეგისკენ გაიშვირა...

შედეგად, მობრუნებულ ბრიგადირს „დაზარალებული“ სიცოცხეს ჩაბურთული დახვდა, ლოგინზე პირქვედამხობილი, დამაწყნარებელი ნემსგარჭობილი ზურა კი — მკვნესარი...

შოთა ქელესხაშვილი, ქარელი

## „სერიოზული“ კაემანი

ეს ამბავი ჩემს მეგობარ დათო ზ.-ს შეემთხვა. რამდენიმე წლის წინ დათო რუსეთში წავიდა სამუშაოდ მეგობრებთან ერთად. მცირე ხნის შემდეგ დათომ ცოტა ფული იშოვა, მანქანაც იყიდა, თან ახალი საბურავებიც მოაყოლა და საბარგულში ჩააწყო. ბიჭებმა გადაწყვიტეს ეს ამბავი აღნიშნათ და სახელდახელო ქეიფი გამართეს. ქეიფს რუსი გოგონებიც შემოემატნენ და დაწყვილდნენ. მხოლოდ ერთი მოქეიფე დარჩა კენტად.



შუალაღმე მოატანა და წყვილები განმარტოვდნენ. კენტად დარჩენილი კი იძულებული გახდა მანქანაში დასაძინებლად წასულიყო.

დათოს პარტნიორმა გოგონამ ჰკითხა:

— უ ვას იესტ რეზინა?

დათომ იფიქრა, საბურავების ამბავი გაუგიაო და სასწრაფოდ გაიქცა მანქანიდან. მივიდა, ამოიღო ერთი საბურავი და ის-ის იყო, უკან უნდა დაბრუნებულიყო, რომ მეგობარმა ჰკითხა, ეგ საბურავი სად მიგაქვსო?

— რა ვიცო, რეზინას მთხვებს ის უპატრონო, რათ უნდა ვერ გავიგე, მაგრამ მაინც მივუტანო.

— ერთი არ გეყოფა, მეორეც წაიღეო, — „დაარიგა“ მეგობარმა. დათომაც დასტაცა ხელი მეორე საბურავს და კიბეს აუყვა. ოთახში არაჩათგამოცდილი შევიდა და საბურავები ხმაურით დაყარა კუთხეში. შემინებულმა რუსის გოგომ კივილი მორთო...

ასე დასრულდა დათოს პირველი „სერიოზული“ პაემანი...  
ანზორ დგალიშვილი, წყალტუბო

## ვისია რკინის ბოძი?



მე და დედაჩემი შრომისუბნის ავტობუსში ავედით, რომელიც მგზავრებით ისე იყო გადატენილი, რომ ძლივს შევალწიეთ. ასასვლელში ავტობუსს გრძელი რკინის ბოძი ჰქონდა თავის შესამავრებლად. დაიძრა თუ არა მანქანა, ნავბორძივდით და სხვა მგზავრებთან ერთად ხელი ვტაცეთ ბოძს, რომელმაც აქეთ-იქით ქანაობა დაიწყო. დედაჩემი და სხვა მგზავრები აბუზლუნდნენ და მძღოლს უსაყვედურეს, — რა არის, ამ რკინას წესიერად ვერ გაამავრებთო? საპასუხოდ გულიანი ხარხარი ატყდა და ყველანი ჩვენ წინ მჯდომ ჩასკვნილ მამაკაცს მიაშტერდნენ. უნებლიეთ ჩვენც რკინა-ბოძი ავტობუსის კი არა, იმ კაცისა ყოფილა, თავის წინ აყუდებინა და შინ მიჰქონდა.

ავთო ბილიზოძე, სოფელი შრომისუბანი

# ლობიანი ბირჩენიათ თუ ხაჭაპური? ტესტი



## პაროდიის კუთხა

- 1. დიდებული სუფრა გაიმართა. ყველანი დასხედით. თქვენ:**
  - ა) პირველად იღებთ ხაჭაპურს (1 კგ ყველი).
  - ბ) პირველად იღებთ ლობიანს (1 კგ ლობიო).
  - გ) აკვირდებით სუფრის დანარჩენ ნევრებს (1 კგ ფქვილი).
- 2. რას იტყვიან კარგი სუფრის შესახებ:**
  - ა) სუფრას ხაჭაპურიც არ აკლდაო (1 კგ ყველი).
  - ბ) სუფრას ლობიანიც არ აკლდაო (1 კგ ლობიო).
  - გ) სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდაო (1 კგ ფქვილი).
- 3. შემთხვევით მოხვდით უდაბნოში. თქვენ:**
  - ა) ინატრებთ ხაჭაპურს (1 კგ ყველი).
  - ბ) ინატრებთ ლობიანს (1 კგ ლობიო).
  - გ) ინატრებთ წყალს (1 კგ ფქვილი).
- 4. მეგობართან ერთად შედისართ კაფეში. თქვენ:**
  - ა) შეუკვეთთ 2 ხაჭაპურს და 2 ჭიქა წვეს (1 კგ ყველი).
  - ბ) შეუკვეთთ 2 ლობიანს და 2 ფინჯან ჩაის (1 კგ ლობიო).
  - გ) შეუკვეთთ ერთ ხაჭა-

პურს, ერთ ლობიანს, ერთ ჭიქა წვენს და ერთ ფინჯან ჩაის (1 კგ ფქვილი).

**5. თქვენი აზრით, რა ნაუღო წითელქუდას ბუბიას კალათით?**

ა) ხაჭაპურები (1 კგ ყველი).  
ბ) ლობიანები (1 კგ ლობიო).  
გ) ნაუშუქები (1 კგ ფქვილი).

**6. თქვენ რომ პროკურორი იყოთ:**

ა) გახსნიდით კრიმინალურ საქმეებს (1 კგ ფქვილი).  
ბ) გახსნიდით სახაჭაპურეს (1 კგ ყველი).  
გ) გახსნიდით სალობიეს (1 კგ ლობიო).



## დაითვალოთ კილოგრაფები:

**თუ თქვენ დაბაროვით 6 კგ ყველი, მაშინ ძალიან გვეარებათ ხაჭაპური. შეგიძლიათ ახლაც დაინწყით ხაჭაპურის გამოცნობა. 2 კგ ყველით რაც გამოგივით, ახლა გამოაცხვით, სოლო დანარჩენი 4 კგ შემდეგისთვის შეინახეთ. რა ვიცო, მე თქვენთვის ვამბობ, თორემ თუ გინდათ, დანარჩენი ყველიც ახლაც დაჭერით სუფრაზე მისატანად...**

**თუ თქვენ დაბაროვით 6 კგ ლობიო, მაშინ ძალიან გვეარებათ ლობიანი. მაგრამ გირჩევთ, ჯერ არ დაინწყით ლობიანის გამოცნობა, დაელოდეთ იმას, ვინც ხაჭაპურს აცნობს. მიირთვით ჯერ ხაჭაპური და მერე დაინწყით ლობიანის გამოცნობა, შეგიძლიათ ცოტა იმასაც გაასინჯოთ, ვინც ხაჭაპურით გაგიმასპინძლდათ. რას იზამთ, ვალს გადახდა უნდა...**

**თუ თქვენ დაბაროვით 6 კგ ფქვილი, მაშინ ძალიან გვეარებათ ფქვილი. გირჩევთ, 3 კგ ფქვილი მისცეთ ხაჭაპურის მცნობელს, სოლო 3 კგ — ლობიანის მცნობელს. სანამ ხაჭაპური და ლობიანი გამოცნობა, მანამდე შეგიძლიათ მკვირვრობა და ტყუილობა.**

# მკიხველის საყვარელი ანეკდოცი



— ბიჭო, მიხო, რათა ხარ ეგეთი შავი, ჰა? — ეკითხება მიხოს მოხუცი ვანუა.  
— რავი, ვანო პაპა, დედაჩემი ფეხმძიმედ რომ ყოფილა ჩემზედა, ზანგი დაუნახავს, შამინებია და გაქცეულა!..  
— რაღაც არა მგონია, ი ზანგი დედაშენს არ დასწეოდა!  
ა. ნ., თბილისი



მიხოს ეკითხებიან:  
— შენი უფროსი ბიჭი რას იტყვია?  
— რითვის მეკითხებით მაგასა?  
— რავი, ტანი ნორმალური აქვს და თავი კი რამხელა გაზრდი!  
— ჰოო, ეგა, ბავშვობაში ნიტრატები შეჭამა, ამ შობელმალმას!  
ვანო შავდათაშვილი, თბილისი

**ბატონო მკითხველო, რედაქცია კურორტებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მზიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შეარქვებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაცან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოავაქვებთ. მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.**















მკითხველის პრემია \* მკითხველის პრემია \* მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზიარება და რადგან ასეა, „კვირის პალიტიკის“ უწყვეტად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, თქვენთვის სასურველ საკითხებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ სმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს გამარჯვებულს ვინაობის მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

№49 (323) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 480 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. რეიტინგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არასწორად შევსებულად ჩაითვალია ის ბარათებიც, რომელთა ავტორებმაც ყველა გრაფა ერთიანოთ შეაფასეს, ანუ კითხვაზე — „რომელი პირი უნდა იყოს პრემიაზე“ — მათი პასუხები ასე გამოიყურება — არც ერთი აქ ჩამოთვლილი პიროვნება არ არის თავისი პოსტის შესაფერისი.

საკონკურსო იყო 166 ქალისა და 302 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათები.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, ყველაზე მეტად პარლამენტის თავმჯდომარე შეეფერება თავის პოსტს. 6,98 საშუალო ქულით ნინო ბურჯანაძე პირველ ადგილზეა. რეკორდდენტია 35-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით.


შემდეგ ადგილებს სულხან მთავრული, საშუალო ქულა 5,56. რეკორდდენტია 11 თვის მას თავისი პოსტისათვის ყველაზე შესაფერისი პიროვნებად.

ჩვენი მკითხველების აზრით, საკუთარ სავარძელში ასევე ბუნებრივად გამოიყურება ლადო ჭანტუაძე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე რეკორდდენტია 9-ისაგან დამსახურა მაქსიმალური შეფასება და 5,26 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა.

რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, რეკორდდენტია 24 მიიჩნევს მას ღირსეულ პრეზიდენტად. დღევანდელ რეიტინგში პრეზიდენტი რამდენიმე მახასიათებლითაა გამორჩეული: 1. საერთო ქულების რაოდენობის მიხედვით იგი მეოთხე ადგილზეა, ხოლო მაქსიმალური ქულების რაოდენობით მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს ჩამოუვარდება. 2. შევარდნაძე მკითხველთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ შეაფასა მაქსიმალური (24) და მინიმალური (23) ქულით. 3. შევარდნაძე ყველაზე მეტი მინიმალური ქულების მფლობელია.

რეკორდდენტების აზრით, საკუთარ პოსტებს შედარებით ნაკლებად შეეფერებიან დავით თევზაძე, მირიან გოგიასვილი და ავთანდილ ჯორბენაძე.

პოსტისთვის შესაფერისნი



საპრიზოს უსუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არ დაფიქსირებულა არც მასთან მიხლოებული ვარიანტი. ეს კი, როგორც ვიცით, იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი 200 ლარს შეადგენს.

№50 (324) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტიკა“ თავისი მკითხველების აზრით გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზო, საპრიზო ფონდით — 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტიკის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგის დაემთხვევა საშუალო.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დანიშნული ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიხლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიხლოებული ვარიანტი არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

\* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგების დაზარალებული, მოსალოდნელია მიიღოს მკითხველის პრემია.

№50 (324) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაოდენობა განთავსებული „კვირის პალიტიკის“ საფოსტო ყუთებში ჩაგდეთ ოთხშაბათს, 18 დეკემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 19 დეკემბრის 13 საათამდე.

© თბილისი

მკითხველის პრემიის ქულები

მრავალჯამიერი პირველია!

Table with 2 columns: სახმარებელი სალსური (Category) and ძარბოული სიფერა (Percentage). Categories include: 1. მრავალჯამიერი (28.3%), 2. ჩაკრული (18.9%), 3. წინწყარო (15.2%), 4. გაფრინდი, შავი შერცხალი (5.9%), 5. შაკლექო (5.6%), 6. ურმული (2.7%), 7. იაყანა (1.3%), 8. ხოსბის ყვლით ღამაზი (0.8%), 9-10. ტყე შეუნახე შეფლებსა (0.5%), 9-10. ტიბლი დარბალი (0.5%).

მკითხველის რეიტინგში 375 მკითხველი მონაწილეობდა.

თქმა №50 (324) — იოლად მისაღებელი თქვენი აზრით, რა დანაზალ მიუძღვის უფრო იოლად მალაბი სახმარებელად იანას (ჩამოთვლილთაგან)? დაუნერეთ მას 8 ქულა, მომდევნო — 7 და ა.შ. 1-მდე.

№50(324) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

Form for the poll with 8 numbered categories and checkboxes for selection.

მკითხველის პრემია დაახსენეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

Form for the prize question with fields for name and address.

მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

- 1. ზედად ჩაკლექაძე — ყველა დღის უკან დიდი ხალხი დგას“ — 86 სმა
2. ვაჟა გავაშვილი — „მადალი კლახის აფერისტი და არა ქურდი“ — 73
3. თამარ კახანაძე — „მე მასც მიყვარს ჩემი წარსული...“ — 58
4. ზედად ჩაკლექაძე — „სამშობლო საჭაპური არ არის, მარტო ყველი რო გიყვარდეს, შიგ და ქერქი არა...“ — 35
5. დანი გრძელიშვილი, რუსუდან სუბლაკა — „არავს ვანცხადებებს არ ვუგდებ ყურს!“ — 20
თქვენს პრემიას — 50 ლარს უფრადისტი
ზედად ჩაკლექაძე მიიღებს.
მკითხველის პრემიის მფლობელი 361-მა რეკორდდენტმა გამოავლინა.

ზ მ მ ა ნ ა ს ი ა ს ა ნ ი • ფოტოკალიბრა •



აბა, ვინ ვარ ახლა მე? — ამ გამოხიზიდანაც ვიტყვით, პოლიტოლოგი რომ გავსდებოდე

სიმღერა „ლონდონი და თბილისი“ (ცმღნება პიტერ შოუს) იამაპასთან ა. იოსელიანი მღერის ორივე: აგერ უკვე ერთი თვეა, რაც დატოვე „იამა“, ვერსად ვნახეთ მის ძებნაში, კობამ ბეჭრი იარა, შენ ინგლისში დასეირნობ, ვინც გაგიშვა, იმისი... ახ, ნეტავი ერთად იყოს ლონდონი და თბილისი. ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო

ერთს აფხაზი ჰყავს მეტოქე, მეორეს კიდევ ჩეჩენი, ორივეს „ჯიხადს“ დაასწრებს უკვდავი! ბაბუაჩენი. გუგუა კალმასელიძე, საჩხერე



ავთანდილ იოსელიანი, ვალერი ხაბურძანი

3.5. — ავთო, პიტერ შოუს გამტაცებლის ფოტორობოტს რაღაც საეჭვოდ ნაგაგზარ?! ა.ი. — ხო, კაცო, ჩემი დახატულია, სარკესთან ვიჯექი. პაატა ნაზლაძე, რუსთავი

ეკონომიკის მინისტრი ჩეჩნებით ვაჭრობის დარგში და მისი მოადგილე ფასების დარეგულირების და მომარაგების დარგში. კახა ლულუაშვილი, ქვიშეთი

ა.ი. — უნდა მიშველო, ვალერი! პალტო გამერდვა და მახათი მჭირდება ამოსაკურად. 3.5. — პარლამენტში მიდი, იქ უმეტესობა მახათით ერთობა და ერთ ცალს როგორ არ გათხოვენ, შე კაცო. ლადო დარასელია, ზუგდიდი

